

სამჭრთხ სელოვნეე

ГОВЕТЪ ГРОЕ
УКРЪГГТВО

SOVIET
ART

SOWJETKUNST

ART
SOVIETIQUE



1970

საგჭოთა სელოვნება



თენტნი
მუსიკა
მხატვრობა
კინო
რეჟიტეატურა
ქორეოგრაფია



საქართველოს სსრ კულტურის სამინისტროს საზოგადოებრივ-პოლიტიკური,
ლიტერატურულ-მხატვრული, მცენიერულ-თეორიული უძველესიური ჟურნალი

1970



შ. კაპანაძე.

სერიიდან „ლენინის დღეები“.



შ. კაპანაძე.

სერიიდან „ლენინის დღეები“.



მ შიის აზნაგებმა ვ. პ. შუაფანაძემ, გ. დ. ჭავჭავიძელმა, გ. ს. ძოწნიძემ, პ. ა. როდიონოვმა, შ. ი. ჭანუყაძემ, მ. ა. გოგიაშვილ-
მა, ნ. შ. ცხაიამ, რ. ი. ფრუიძემ, ა. ნ. ინაურმა, შ. დ. კენაძემ, ო. ი. ლოლაშვილმა, ს. კ. კურკოტინმა დაათვალიერეს მემორიალი
დიდ სამამულო ომში დაღუპული საბჭოთა მეთორების ძმთა სასაფლაოზე, რომელიც გაიხსნა ქ. თბილისის ოქტომბრის რაიონში. ტეს-
პუბლიკის ხელმძღვანელებმა გვირგვინით შეამკეს ძეგლი. სურათზე: საბჭოთა მეთორების სამო საულავის გვირგვინის შეტობა.

ხალხური შემოქმედება და თანამედროვეობა

ხმლწმნმის მოყვარულთა ეს პირველი ფართო გამოფენა, რომელიც საქართველოს სურათების სახელმწიფო გალერეაში მოეწყო, მრავალმხრივ არის საინტერესო. უპირველესად კი იმით, რომ იგი ჩვენი ხალხის ხალასი შემოქმედებითი ნიჭის ჭეშმარიტი გამოვლინებაა.

გალერეის საგამოფენო დარბაზებში ათასზე მეტი ექსპონატია, რომელთა ავტორებია ჩვენი რესპუბლიკის თითქმის ყველა კუთხის წარმომადგენელი — სხვადასხვა სპეციალობის თვითნასწავლი მხატვრები, მოქანდაკეები, დეკორაციულ-გამოყენებითი ხელოვნების ოსტატები. ჩვენს მიზანს არ წარმოადგენს ყურადღების გამახვილება ყველა მათგანზე. ზოგადად ვეხებით რა გამოყენების საერთო ხასიათს, მხოლოდ ამა თუ იმ საკითხთან დაკავშირებით გამოყოფთ რამდენიმე დამახასიათებელ ნაწარმოებს.

ქართულ ხელოვნებაში და, არა მარტო ქართულ, არამედ, საერთოდ, თანამედროვე ხელოვნებაში, რაც დრო გადის, სულ უფრო მეტად შეიმჩნევა, რომ ხშირად პროფესიონალი მხატვრები საგანგებოდ ცდილობენ თავიანთ ნაწარმოებებში როგორმე მკვეთრად გამოავლინონ ხალხური ოსტატებისა და ხელოვნების მოყვარულებისათვის დამახასიათებელი თვითმოყოფადობა, დიდი შინაგანი სიმართლე, გრძნობათა მიაშიტური უშუალოება, უბრალოება და სისადავე; თავის მხრივ, ხელოვნების მოყვარულები თავგამოცდებით ისწრაფიან პროფესიონალურად გამოიყურებოდნენ. ყოველივე ამას უთუოდ აქვს თავისი რეალური გამართლება, როცა თითოეული გულწრფელად მიისწრაფის იმის შესავსებად, რაც მას აკლია, მაგრამ, როცა ზოგიერთი დასრულებულ მხატვარი ყალბად, ხელოვნური ძალდატანების გზით, ცდილობს ბავშვური გულბრყვილობის

„გათამაშებას“, ხოლო თვითნასწავლი კი ბრმად იმეორებს ამა თუ იმ პროფესიონალი მხატვრის მანერებს, ეს უკვე ბარათაშვილის მიერ კომიკურის არსის გენიალური განსაზღვრების: „სასაცილოა ბერეკაცი, რომ ყმაწვილობდეს, და საბაბოა, როს ჭაბუკი ბერიკაცობდეს!“ ფაქტიური დადასტურებაა მხოლოდ. ამაში იმითაც ადვილად დავრწმუნდებით, თუ ხელოვნების მოყვარულთა და პროფესიონალ მხატვართა გამოყენების ერთმანეთს შევადარებთ.

ზოგიერთ განსწავლულ მხატვარს ავიწყდება, რასაც იგი ასლა „ბავშვურობის გათამაშებით“ გეთავაზობს, ისტორიულად გაწვილებულია. სხვას რომ თავი დავანებოთ, ამ მხრივ ჯერ მარტო გასული საუკუნის მიწურულში არსებული ფრანგული პრიმიტივიზმის ფუქემდებლის ანრი რუსოს (1844-1910) მაგალითიც საკამრისია. მაგრამ ისიც უნდა ითქვას, რომ, რამდენადაც ხელოვნების გამოცდილი „ბერიკაცების“ სწრაფვა ხელოვნური „გაყმაწვილებისაკენ“, გარდა სასაცილოსი, მიუტყვევებელი შეცდომაა, იმდენად ხელოვნებაში გამოუცდელი „ყმაწვილების“ სურვილი „გაბერიკაცებისა“ მისატყვევლიცაა, თუნდაც იმ არგუმენტით, რომ პირველი გამოცდილი არაინა, ხოლო მეორე — გამოუცდელი.

საგულისხმოა, რომ საქართველოს სურათების სახელმწიფო გალერეაში ხელოვნების მოყვარულთა პირველ ფართო გამოფენაზე წარმოდგენილმა ნამუშევრებმა, სხვადასხვა ზეგავლენის მიუხედავად (რაც რამდენადმე დამახასიათებელია ხოლმე მოყვარულთა ცნობისმოყვარე ბუნებისათვის), ძირითადად მაინც შინაგანი თავისებურებებით მიიპყრეს ყურადღება. ბევრია ისეთი ნამუშევარი, რომელთა შესახებაც ვერ იტყვი ხელოვნების მოყვარულის მიერ არის



საქართველოს

ხელოვნების

მუზეუმისათვის

გამორეზიდა



შ. მარადაშვილი.

ჭარში.

ა. ალადაშვილი.

კალობა.



ვ. რურუა.
რევისორ გიორგი შენგელაის პორტრეტი.



ა. ალადაშვილი.

დოღი.





შესრულებული. ასე, მაგალითად: ზ. კახიანი, ვ. რურუა, ვ. მარსაშვილი, ვ. ვარაზი, ი. ჩაბაიანი, ჯ. კილაოსონია, მ. ფიცხიშვილი, მ. ხუბაშვილი, რ. დღონდი, დ. ნავროსაშვილი, გ. ფუტყარაძე, გ. ჩალაძე, ე. ლუხტაშვილი, ბ. რაჭველიშვილი, ს. ორიავაძე, დ. მაღალაშვილი, თ. დავითაშვილი, გ. ბარაღიძე, ვ. მჭედლიძე, რ. ლუხტაშვილი, ა. ქუთათელაძე, უ. თედორაშვილი და ბევრი სხვა, აშკარად გამოირჩევიან სახვითი ხელოვნების სპეციფიკის ცოდნით.

რ თქმა უნდა, აკადემიურად მკაცრი მოთხოვნების შესაბამისად, არც მათი ნაშრომების შესახებ შეიძლება მსჯელობა მხატვრული სრულყოფისათვის დამახასიათებელი პირობრიცხოვების, პერსპექტივების, რელიეფურობის, შუქ-ჩრდილების, ხაზობრივი, თუ ფერთა კომპოზიციის, ფერთა ელემენტების პარმონიული შესაბამის, ხაზის, ტონის სილამაზის თუ, საერთოდ, ნაწარმოების შინაარსის გამომხატველი კომპოზიციის სპეციფიკური აუცილებლობის მიხედვით. და მაინც, საინტერესოა ის არის, რომ სწორად ბევრი მოყვარულის მიერ საკუთარ თავზე დიდი მუშაობის შედეგად შექმნილი ნაწარმოებებიც კი აღწევს მაღალ მხატვრულ დონეს. მაგრამ თვითნაყოფი მხატვრების გამოფენა განსაკუთრებით მაინც იმით იპყრობს ყურადღებას, რომ, ძირითადად, მას თვითმყოფადი ხასიათი აქვს და უფრო ბუნებრივად ბავშვურ სიწმინდეს, მიაშიტობას, შემოქმედების ინტუიციას ექვემდებარება, ვიდრე ტრეპულ ხერხებს, ნაძალადეგ ხელოვნურობას და მშრალ გიჟებას. ბევრი გენიოსი ამ უბრალოებას და ბავშვურ მიაშიტობაში ხედავდა მშვენიერებას და პოეტურ მომსახიბლლობას. შილერმა საციკალური ტრაქტატები კი შექმნა „მიაშიტობა და სენტიმენტალური პოეზიის შესახებ“ (1794-1796). ამ შრომაში იგი ერთმანეთს უპირისპირებდა მხატვრული შემოქმედების ორ პრინციპს — მიაშიტურსა და სენტიმენტალურს (მიაშიტური — როცა მხატვარი თვითონ არის ბუნები; სენტიმენტალური — როცა ეძებს ბუნებრივს და სინამდვილეს ამაღლებს იდეალამდე) და, ამავე დროს, სრულიადაც არ თმავდა მათ ერთმანეთისაგან მეტაფიზიკურად, რადგან მიაჩნდა, რომ „ადამიანური ტემპირიტება შეიძლება ორივესთან მაღალ დონეზე იყოს აყვანილი და მათი ურთიერთგანსხვავებულობა თუნაც ცალკეულ ცვლილებებს იწვევს, მაგრამ მთლიან კი არა, სახელდობრ, ფორმაში იწვევს ცვალებადობას, მაგრამ შინაარსში კი არა“. მართლაც, ამ ერთიანობის უპირატესობას ადვილად ვიგრძობთ, თუ ზოგიერთ მხატვრულ ნაწარმოებში მიაშიტობასთან ერთად არათანამედროვე განმარტებით (გრძნობაბა გაუგებადების მნიშვნელობით), შილერისებური კარგი გაგებით შევნიშნავთ სენტიმენტალურობასაც. განა სწორედ შილერისეულად საუკეთესოდ გაგებული „მიაშიტობა“ და „სენტიმენტალიზმი“ არ იპყრობენ ყურადღებას ისეთი ტიპიურად თვითმყოფადი მხატვრები, როგორც არიან შ. მარადაშვილი, ე. ზარაფიშვილი, ა. ალადაშვილი, ე. ხუციშვილი, ვ. დავითაშვილი და სხვები? განა კომპოზიციის ბუნებრივი გრძნობა და დიდი შინაგანი სიმართლე არ მტლავნდება შ. მარადაშვილის ფერტილობებსა და ქვის მხა-

ტვრულ დამუშავებაში? რთულად დასამორჩილებელი ქვის მასალა, საკმაოდ გამოცდილი, მაგრამ მაინც „შინაშიტი“ თვითნასწავლი მხატვრის ხელში თემის ორიგინალური გადაწყვეტითა და იდეური გააზრების სიღრმით ამტკველებულა. ცოცხალი სინამდვილისადმი თავისებური, ემოციური დამოკიდებულებით, ინდივიდუალობითა და ცხოვრებით გრძნობებით იპყრობენ ყურადღებას ქვისა და მარმარილოს ბარელიეფები: „ვაჟა-ფშაველა“, „იოლმურნე ჯარმქია“, „ნონა გაფრინდაშვილი“, „ახლოპორტრეტი“, „ნაცარქეჩია“, კვლე „ვაჟა-ფშაველა“. ძნელი შესამჩნევი არ არის, რომ აქ მხატვრული დამუშავების ოსტატობას სძლევეს თვითნასწავლი მხატვრის ბუნებრივი ნიჭი, მდიდარი შემოქმედებითი ფანტაზია.

განა მისმოდებლობა და ემოციურობა აკლია ა. ალადაშვილის ფერტილობებში მიაშიტურად წმინდა თვალთ დახანულ სამყაროს? თემატიკური მრავალფეროვნება ვლინდება მისი სურათების სახელწოდებებშიც კი: „ჩემი სახლი“, „ქედობა“, „დღობა“, „არსენა მამაკაცი“, „ელახის სამბობი“, „ბაზრობა“, „კალოობა“ და სხვ. საკმაოდ გამოცდილი თვითნასწავლი მხატვარი მშობლიური სოფლის ნატურას, როგორც ჩანს, უმთავრესად მხედველობითი მესხიერების საფუძველზე თვისებს შემოქმედებითად. განსზოგადების ხარისხი მის ნება-სურვილსა და უნარს დამორჩილებია. ასევე ნათლად იგრძნობა ვ. დავითაშვილის („თელავური ციკლი“), ე. ხუციშვილის („პატარა დამკერხები“), მედიუნოტუტისის („პაპა“ და რამდენიმე პეიზაჟი) და სხვათა ფერტილობებში კომპოზიციის აგებისა და მისი ძალდატანებითი შესრულების ფორმის სიახლე. მათ ნაწარმოებებში მხატვრულმა და ემოციურობა ბუნებაში არსებული ელემენტების კომბინაციების ორიგინალური შერჩევას და შესაბამის გზით ვლინდება. აქვე უნდა შევინშნოთ, რომ სამყაროს მხატვრული ხედვაში გამოვლენილი, საუკეთესოდ გაგებული მათი მიაშიტური ბუნება, აშკარად განსხვავდება გ. ხაჩატურიანისეული („ზურმუხტისფერი ცეცხლი“, „ყვივილი ბროწეულები“) და გ. ბიჭიაშვილისეული („რუსთაველი“, „სოფლის ეზო“, „თამარ მეფე“) ბავშვური მუსუდელობისაგან. არაფერი კარგის მოტანა არ შეუძლია ზოგიერთი დასრულებული მხატვრის მიერ არ ბავშვური მუსუდელობის, სრული უგემოვნობისა და პრიმიტიულობის განდიდება და, საერთოდ, უნდა აღინიშნოს ისიც, რომ საშუალოა, როცა ჩვენს ესოდენ საამაყო თვითნასწავლი მხატვრის ფიროსმანაშვილის მიმართ საკმაოდ ფართოდ გამოვლენილი „სიყვარული“ ხშირად უფრო სუბკულაციურ ხასიათს ატარებს. არაფერს ისეთი დიდი ზიანის მიყენება არ შეუძლია ფიროსმანაშვილის სახელისათვის, როგორც ზოგჯერ ჩვენს გაუგებდებულ ქებას არაბოიქტური შეფასების საფუძველზე. განსაკუთრებით ცდებიან ისინი, რომელთაც ფიროსმანაშვილის ურდევს ღირსებას თურმე მხოლოდ მის „პრიმიტივიზმი“ ხედავენ. ბუნებრივი მხატვრული ალღო, დიდი შინაგანი სიმართლე და განუსაზღვრელი ჭეშანთში იყო ფიროსმანაშვილის მთავარი ღირსება და არა „პრიმიტივიზმი“, რომელიც მთელი თავისი შენეებული ცხოვრების



მანიძოლე შეძლებისდაგვარად თვითონაც შეუპოვრად ებრძოდა მხატვარი. ჩვენი პრიფიციონალი დასწავლი მხატვრების საკმაოდ თვალსაჩინო ნაწილი კი ამასდ დახარბებისა ამ პრიმიტივიზმს. წმინდა ბავშვი გულბრყვილობასა და უბადრუკ ბავშვურ მუხრულულობას შორის არსებული დიდი ზღვარის დაუნახაობამ შეიძლება მხატვრულად დასხვეწილად და იდურად ღრმა ნაწარმოებები კი ჩრდილიმ დატოვოს.

არ არსებობს ადამიანი, რომელსაც რაიმეს მოხატვა არ შეეძლოს, მაგრამ არა „რაიმეს“ სტიქიურ მოხატვაში, არამედ გააზრებულ მოხატვის მხატვრულ თავისებურებაში მტკიცედდმა შემოქმედებითი ნიჭი. დიდი უპირატესობა აქვს მხოლოდ მხატვრული შთაბეჭდილობით, მომხიბვლელი ნიჭით, პოეტურობითა და ემოციურობით სასვე ჰუმანურ, ლირიკულ შემოქმედებას.

ხელოვნების მოყვარულთა ამ ფართო გამოფენას იმ თვალსაზრისითაც აქვს მნიშვნელობა, რომ იგი საუკეთესო სასაუბრებს აძლევს თვით მასში მინაწილე ავტორებსაც, ღრმა დაკვირვება მოახდინონ, სამსჯავროდ გატარებულ როგორც საკუთარ, ასევე სხვათა შემოქმედების მიმართ. ობიექტური დასკვნებით მათ შეუძლიათ კიდევ უფრო ნაყოფიერი გახადონ თავიანთი შემდგომი შემოქმედებაც. მხოლოდ სარგებლობას თუ მოუტანს ჯერ კიდევ სრულიად მოუწიფებელ, მხატვრულად ჩამოუყალიბებელ, მაგრამ ნიჭიერ მოყვარულებს დაკვირვება და შესწავლა იმისა, თუ, ვთქვათ, როგორ მიადწია დამოუკიდებლად ხაზის, სინათლისა და ფერთა კომპოზიციის ორიგინალურ გადაწყვეტას, მხატვრულ ოსტატობას ზ. კახიანიძე „ქალიშვილის პორტრეტში“, ჯ. კილასონიან თავის გრაფიკულ სურათებში „კახეთის პეიზაჟები“, როგორ ახერხებენ სინამდვილის შემოქმედებით ათვისებით, სიმართლის, განწყობილების, აზრობრივი სიღრმის ლაკონურ ფორმებში გადმოცემას ვ. რურუა („წარმოდგენა“, „ნატურმორტი თევზით“, „ლუკა გამზრდელი“, „რეჟისორი გ. შენგელაიას პორტრეტი“, „ბიჭუნას პორტრეტი“), მ. ხუხაშვილი („ძველი თბილისის ტიპები“, „ლურსაბ თათქარიძე“, „ქვევრების რეცხვა“, „მტრები“), რ. დლონტი („ძველი თბილისის დიდი“), „აქაზრები“, ვ. ვარაზი („ქალიშვილი წაიღეს...“) და სხვ.

რა თქმა უნდა, ხელოვნურად არ შეიძლება მხატვრულობის შესწავლა, მაგრამ აქ ლაპარაკია ბუნებრივი მხატვრული ნიჭის გაღვივებაზე, გემოვნების დასველება და განვითარებაზე და არა არარსებულის ხელოვნურ შექმანაზე. ბუნებრივ მხატვრულ ნიჭს კი შეუძლია თავი იჩინოს ყოველთვის, განზრუნვლად მისი მფლობელის ძირითადი საქმიანობისა. ისიც ბუნებრივია, რომ ძირითადი საქმიანობის ზეგავლენაც ემჩნევა ხოლმე მხატვრულ შემოქმედებას.

საქართველის სახალხო არტისტი, კომპოზიტორი ს. მირიანაშვილი მუსიკალური ტონის პარმონიულობით აქდრებს თავის ფერტილოებს: „თეთრი მთა, შავი ხე და ჭრელი მინდორი“, „საღამო სოფლად“, „ღამის პეიზაჟი“ და სხვ. კიდევ უფრო ძლიერად ასერხებს მუსიკალური ელემენტების გადმოცემას პიანისტი ქ. გოგოლაძე თავის ღრმა-

აზროვან, შინაარსითა და ფორმით ეფექტურ ფერტილოებს. მისი: „მზის მოტაცება“, „ტერმენტი გრანდლი“, „პაპანაქება“. შეისიკასა და პოეზიის შთამავრობებით ძალით გვაღვლებს მისივე გრაფიკული სურათი „ჩანაჭი“.

პოეზია ყველგან და ყველაფერს ანიჭებს მომხიბვლელობას, მაგრამ იგი თავისებურად საინტერესო მიენებებით ხასიათდება პოეტ მ. ფოცნიშვილის სურათებში. ლექსიგოით იკითხება მისი ფერტილოები: „კქედლი“, „იმიღი“, „1942 წელი“. ორიგინალურად უხდის იგი ხარკს უბრალო, გამრჯე ადამიანსადაი ფიროსმანისკულ სიყვარულს გრაფიკულ სურათში „მეგზოზე“. გაცილებით უფრო მეტის მთქმელია მისი ფერწერული სურათი „სიხმარია“, ვიდრე ამ ორიოდვე წლის წინათ ჩვენი პრესის ფურცლებზე ატებილი კამათი იმის გამო, თუ როგორ შეეუნარწოთ ძველ თბილისს თავისი დამახასიათებელი კოლორიტი. პოეტ-მხატვარს სიხმარად მოჩვენება რეალური სახე ჩვენი უძველესი ქალაქისა, რომლის შესახებაც ერთ უცხოელ მოღვაწეს უთქვამს, რომ ვიდრე თბილისი თავისი დამახასიათებელი ერთგულ ორით იპყრობდა ყურადღებას, მისფიციონში მესუეთ ქალაქად ითვლებოდა, ხოლო, როცა იგი ახლა უკვე ათაფრთ გამოირჩევა სხვა თანამედროვე ქალაქისაგან, სათვალავიდან სულაც ამოვარდაო. ალბათ, მშვენიერი მეტყვის ციხის თანამედროვე გაღვივით შემოხრულდვამ ან რამდენიმე ისტორიული ძეგლის უხეშმა „გათანამედროვებამ“ აიქმნინა ეს უცხოელს. ასეა თუ ისე, მ. ფოცნიშვილის „სიხმარია“ შესანიშნავი გამოსატყულება იმისა, თუ როგორ უნდა იქვეც ცხადდეს, რაც პოეტს სიხმარშიაც არ ასვენებს.

ხის, ლითონისა და ქვის მხატვრული დამუშავების ხელოვნებას თითქმის ყველა ხალხის მატყველი კულტურის ისტორიაში უკავია ერთ-ერთი წმყვეანი ადგილი, მაგრამ ქართველი ხალხის მატერიალური კულტურის ისტორიაში ამ სახეიდ მასალის მხატვრული დამუშავების ხელოვნებას მაინც განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება, რომლის გარეშე წარმოდგენულია თვით ჩვენი ხალხის ცხოვრებაც. ეს აიხსნება როგორც ამ მასალების სრუსვით გამორჩეული ადგილმდებარეობით, ასევე თვით ამ მიდღარ ბუნებაში მცხოვრებ მიდღარი ხულიერი კულტურის მქონე ხალხის მისწრაფებით, რაც უშეიძლება მხატვრულად და სრულყოფილად აითვისოს სინამდვილის ყოველი სიმშვენიერე. ეს მით უფრო საგრძობი ხდება ხოლმე, როცა საქმე გვაქვს ხალხურ თვითყოფად ხელოვნებასთან.

ხსენებული გამოფენა საკმაოდ მიდღარია ხისა და ლითონის საუკეთესო მხატვრული ნიმუშებით. რატომღაც ძუნწად არის წარმოდგენილი ქანდაკება. ნაფროსშვილის გრანიტში გამოყვეითი „ვ. ი. ლენინისა“ და „ნატო ვანძაძის“ პორტრეტები, გ. უტკარაძის „წერილი ფროტიდან“ (თაბაშირი), გ. ჭალაძის „მედელო“ და „მეომარი“ (თაბაშირი) და კიდევ ორიოდ ნაწარმოები, მართალია, ყურადღებას იპყრობს შინაარსისა და ფორმის ეფექტურობით, მაგრამ მაინც ვერ ასვენს საერთო წარმოდგენას ჩვენი თანამედროვე ხალხურ ქანდაკების შესახებ. დიდი პატრიოტული ხელისკვეთებითა და ოსტატობით ხა-



ვ. ვარაზი.



ქალიშვილი წითელში.

ვ. რურუა.

სეკტაცილი (მარიონეტები).



გ. რურუა.
ლუკა აღმზრდელით.



დ. მაღალამელი.
ქველი შუამთა.



სიათღებთან დ. მაღალიშვილის მაცკეტები: „თელავის სასახლის შესასვლელი დასავლეთით“, „ალავერდის შესასვლელი სამრეკლოში“, „ერეკლე მეორის კარის ეკლესია“.

დეკორატიულ-გამოყენებითი ხელოვნების ბევრი ნიმუში, რომელიც ხისა და ლითონის მასალისაგანაა დამუშავებული, სახეებით ინარჩუნებს ტრადიციულად განმტკიცებულ ქართულ ეროვნულ თავისებურებას და ახლებურად ამდიდრებს ამ ტრადიციებს. თ. დავითულიანის კომპოზიციებში შესანიშნავად არის გამოვლინებული ქართული ყოფაც და ხასიათიც, სტილიც და სულისკვეთებაც. ხის, ლითონისა და ქვის კომპოზიციურ მთლიანობაში თითოეული დეტალი თავისი მკაფიო გამოხატულებით (საცეცხლური, ჯიხვის თავი, სურა, კეცი...) ქმნის ქართული ყოფის, სილამისა და თავისუფლების, მარად ჩაუმჭრალი ოჯახური კერის პოეტურ შთაბეჭდილებას. თუ დავითულიანი ხის საერთო ფაქტურაში ხალხურ მოტივებზე ახერხებს სხვადასხვა, დეკორაციულ-გამოყენებითი დეტალის შეთავსებას, რ. ლევიშვილი ყურადღებას იპყრობს კერამიკული ნაწარმოების მხატვრული გაფორმებით. ფაქიზი გემოვნებითაა შექმნილი მისი აპლიკაციური ნამუშევრები, მძივებითაა შეკაზმული თეთრი სურა, შავი სურა, მაღალი სურა და სხვა. და, საერთოდ, გამოფენაზე წარმოდგენილი დეკორაციულ-გამოყენებითი ნამუშევრები (დ. შავიშვილის, ა. ქუთათელაძის, სულიკაშვილის, ტატიშვილის, უ. თევდორაშვილის, დ. წიკლაურისა და სხვების) სინამდვილისადმი ჩვენი ხალხის ესთეტიკურ-უტილიტარული დამოკიდებულების სასუკეთეს

მაგალითს წარმოადგენენ. ეს ფაქიზად და გემთგმვით დამუშავებული ნივთები მხოლოდ ფუფუნების საგნებს როდი წარმოადგენენ. სკამებს, მაგიდებს, სურებს, თასებს, სამაზურებს, გულსაკიდებს, ბეჭედებს, ჯამ-ჭურჭელსა თუ საბრძოლო იარაღებს, გარდა უტილიტარული დანიშნულებისა, დიდი ესთეტიკური ღირებულებაც ენიჭებოთ. საგნები სასარგებლონი ხდებიან როგორც გამოყენებითი, ასევე ესთეტიკური მნიშვნელობით.

ჭედურობიდან განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს ბ. რაჭველიშვილის ნამუშევრები: „ტაძრის მშენებლები“, „პეტრე იბერი“, „იკალთოელი ფილოსოფოსები“, „გლესავ და გლესავ, ნამგალო“, „სადღეგრძელო“. თითოეული ჭედურობის დახვეწილ მხატვრულ ფორმებს, პლასტიკურობას, თავისი ღრმა შინაარსიც გააჩნია. მრავალფეროვანი ხერხების საშუალებით აქ ორგანულად ერწყმის ერთმანეთს ხაზი და რელიეფი, გრაფიკულობა და სკულპტურულობა.

როგორც ვთქვით, ამჟამად ჩვენს მიზანს არ წარმოადგენს დაწვრილებით განვიხილოთ ყველა ნაწარმოები. ზოგადი დახასიათების თვალსაზრისით კი, როგორც გვხვდავთ, გამოფენა მრავალმხრივ საინტერესოა. იმედა, რომ ეს პირველი ფართო გამოფენა, რომელიც ამჟამად ვ. ი. ლენინის დაბადების 100 წლისთავს მიეძღვნა, ტრადიციულად დამკვიდრდება და კიდევ უფრო ნათელ პერსპექტივებს დაუსახავს მომავალში ხალხურ ტალანტებს, უფრო მეტად გამოავლენს ჩვენი ხალხის ამოუწურავ შემოქმედებით ნიჭს.

ა. ლისალი.

გამოფენის ერთ-ერთი კუთხე.





პოლარიზები და

სიძლიერის

«ესთეტიზმი»

ხელოვნებაში

ვალერიან ბრეგაძე

ალამინის ცნობიერება, საკმაოდ ხშირად, ხელოვნებას მთლიანობაში აღიქვამს და ხელოვნების ნაწარმოების შეფასებას თითქმის მთლიანობის ასპექტში იძლევა. ამგვარი შეფასებით გამომდინარე, ხელოვნება მთლიანობაში შეიძლება იყოს მშვენიერი, ან პირუკუ — მახინჯი.

ამასთან, ასეთ შემთხვევაში, ნაწარმოების ცალკეული ელემენტი, მაგალითად, იერსახეების სისტემა, სიუჟეტი, კომპოზიცია, გამოსატვის საშუალებანი და ა. შ. შეფასების მომენტში მეორე პლანზე გადადის, მაგრამ, მიუხედავად ამისა, მოცემული კონკრეტული ნაწარმოების საერთო შეფასებისას ძირითად წინამძღვარსა და ბაზას წარმოადგენს. აქედან გამომდინარე, რომ გავიგოთ რის გამო მიიღო ხელოვნების ამა თუ იმ ნაწარმოებმა დადებითი ან უარყოფითი ესთეტიკური შეფასება, საჭიროა გავანალიზოთ ყველა მისი კომპონენტი: იერსახეების სისტემა, იდეურ-თემატიკური არსი, ფაბულურ-კომპოზიციური სტრუქტურა.

განვიხილოთ ისეთი ხელოვნება, რომელიც მთელი, დაუწყვერებელი სახით შეიძლება შეფასდეს როგორც მხო-

ლოდ მახინჯი და რომლის თბიქტური სასოგადოებრივი მნიშვნელობაც შეიძლება იყოს მხოლოდ უარყოფითი. მხედველობაში გვაქვს ბურჟუაზიული დასავლეთის დეკადენტური ხელოვნება, რომლის სიუჟეტი, იერსახეები, ფორმა, შინაარსი და კომპოზიციაც უარყოფითი თბიქტური სასოგადოებრივი მნიშვნელობისა და თავისი თავისადმი მხოლოდ უარყოფით დამოკიდებულებას იწვევს.

თანამედროვე მოდერნისტული ბურჟუაზიული ხელოვნება, მრავალრიცხოვანი სკოლების, მიმდინარებების, მიმართულებებისა და მეთოდების მიუხედავად წარმოდგება ძირითადად ორი, ზოგჯერ ერთმანეთთან ძალზე ახლოს მდგომი და ურთიერთშემავსებელი, მაგრამ მაინც მკვეთრად განსხვავებული ნაირსახეობის ფორმალისმისა და ნატურალიზმისაგან.

განვიხილოთ რა ბურჟუაზიული ხელოვნების ამ ორ ტენდენციას, ცდილობთ ისე ავაგოთ მასალა, რომ უფრო სრულად და თვალსაჩინოდ შევქლოთ მათი გამოვლინება.

ბურჟუაზიულ ხელოვნებასა და ფილოსოფოსთა რეალისტური ხელოვნებისადმი მწვავე სიძულივით გამოიხატება იდეოლოგიური ბრძოლა თანამედროვე ეტაპზე. უკუღებულყოფენ რა რეალიზმს, ისინი ცდილობენ დაამტკიცონ, რომ რეალისტურმა ხელოვნებამ უკვე ამოწურა ყველა შესაძლებლობა, რომ რეალიზმის ესთეტიკა მკვდარი სქემაა, დოგმაა, რომელიც ვერ პასუხობს ადამიანის აზრის განვითარების დღევანდელ დონეს, ბოჭავს და ანიველირებს შემოქმედის ინდივიდუალობას.

ბურჟუაზიული ხელოვნების აპოლევტებმა ეგრეთწოდებულ რეალისტური ხელოვნების დემატიზმს აბსტრაქციონიზმი დაუპირისპირეს, რომელიც მათი აზრით უფრო სრულად გამოხატავს ხელოვნების შემოქმედებითი აზრის თავისუფლებას.

აბსტრაქტული ხელოვნება არ წარმოადგენს შემთხვევით, ნიადაგმოკლებულ მოვლენას. აბსტრაქციონიზმი — არის ბურჟუაზიული კულტურისა და ცივილიზაციის დაკემის სრულიად კანონზომიერი პროდუქტი და საერთაშორისო არენაზე მისი გამოჩენა მჭიდროდა დაკავშირებული ეკონომიურ კრიზისებთან, კლასთა ბრძოლასა და იმპერიალისტურ ომებთან.

აბსტრაქციონიზმის მამამთავრები იყვნენ რუსი მხატვრები: მალეიჩი, კანდინსკი, ლარიონოვი, კლიუნი. მათ შემდეგ აბსტრაქციონისტული ოპუსები გამოჩნდა ევროპის სხვა ქვეყნებში, შემდეგ კი ამერიკაში, რომელიც მომდევნო პერიოდში აბსტრაქციონიზმის ციტადელად გადაიქცა.

აბსტრაქტულმა ხელოვნებამ, რომელსაც არ ძალუძს დააკმაყოფილოს თუნდაც ყველაზე ელემენტარული ესთეტიკური გემოვნება და რომელიც ყოველგვარ მხატვრულ კრიტერიუმზე დაბლა დგას, თავისი მიმდევრები ათასგვარი ფინანსური საქმისნებისა და პოლიტიკური რევაციონირების სახით პპოვა. ბურჟუაზიულ ქვეყნებში იგი ისახებოდა უფრო ხელისუფლების მხარდაჭერითა და წახალისებით სარგებლობს.

კაპიტალიზმის ეპოქის ხელოვნება, რომელმაც კაპიტა-

ლიზმის განვითარების განთიადზე უდიდეს სიმაღლეებს მიადგინა, ინარჩუნებდა რა თავის პროგრესულობასა და სიღრმეს მომდევნო მრავალი საუკუნის მანძილზე, ამაჰამდ დგარატიციასა და გახრწინს პირობებში დამყვამ.

ჩვენი დროის უდიდესი პარადოქსიც სწორედ იმაში მდგომარეობს, რომ აბსტრაქტული ხელოვნება გამოუვალ ჩიხში მოექცევა და უმიჯნოდ გაიხლართა. საზოგადოებრივი განვითარების სწორედ იმ პერიოდში, როდესაც კაცობრიობა ახორციელებს გიგანტურ სამეცნიერო-ტექნიკურ ევოლუციას, უფრო და უფრო ღრმად სწვდება ატომის სამყაროს და კოსმოსური სივრცეების დაპყრობას იწყებს.

აბსტრაქციონიზმი ყველაზე მიოდური და ყველაზე გავრცელებული ხელოვნება დასავლეთში. მისი არსი სახესხეობის შეეფარდება იმ სახესწოდებას, რომლისაგანაც წარმოიშვა. ლათინური სიტყვა „აბსტრაქციო“ ნიშნავს განყენებას, დაშორებას. აბსტრაქციონიზმი ეთიშება, შორდება რეალურ, საგნობრივ სამყაროს, სიცოცხლეს, სინამდვილეს; მას არ გააჩნია ნათელი თემატიკა, ამიტომ ვგვრდს უკლების გონებას და ელემენტარული სიმართლის ასახვას. აბსტრაქციონიზმის ფერტილობები — ეს არის ტილოზე უწყსრივოდ შეთხიპნილი ნებისმიერი ზომისა და ფერის ლაქების, ხაზების აბსოლუტურად უაზრო გროვა; აბსტრაქტული ქანდაკება აგრეთვე წარმოადგენს ნებისმიერი მასალისაგან შეთიხილი ქოტურად დახერგილი უფორმო ლოდებს. აბსტრაქციონიზმის ესთეტიკაში ფერი, ხაზი, სინათლე უსაინო ფერწერის პირველადი ელემენტებია. ამასთან ფერი, როგორც, მატერიალურ სუბსტანციას მიკლებულ „წმინდა“ სახის ფერად ითვლება.

აბსტრაქციონისტთა აზრით სინათლე სპობს საგანთა ნამდვილ ხაზებსა და ფორმებს. გამოსახული ხაზი გამოსახტავს „წმინდა“ მოძრაობას, რომელსაც კავშირი არა აქვს ობიექტურად არსებული საგნების მატერიალურ მოძრაობასთან; საბოლოო კამში, ფილოსოფოს-იდეალისტთა შთაგონებითა და რეკვაპტებით შექმნილი აბსტრაქტული სურათი გამოიყოფება, როგორც შიშველი აბსტრაქტული სიმბოლო. სიმბოლო შეიძლება ჩაითვალოს ნებისმიერი ხაზი, ნებისმიერი ლაქა, ტილოზე დასმული ნებისმიერი და ერთადერთი წერტილიც კი. აბსურდამდე დაყვანილი აბსტრაქციონიზმის თეორია თვლის, რომ ცაყველ ტილოშიც კი, რომელზედაც არაფერია გამოსახული, იმალება სიმბოლური მნიშვნელობა და ასეთი ტილო თავისუფლად შეიძლება ჩაითვალოს ბრწყინვალე ნაწარმოებად. ამგვარ ექსპერიმენტებს ატარებს „ფერწერაში“ ამერიკელი მხატვარი მარკ როტკო, რომელსაც ყოველმხრივ უწყობს ხელს რეაქციული კრიტიკა და პრესა. როტკოს ტილოებზე ან საერთოდ არაფერი არ არის გამოსახული, ან დიდ და ნათელ ფონზე გამოყვანილი რაღაცნაირი მცირე ზომის, სწორხაზოვანი ფორმები. ისეთი კრიტიკოსებიც გამოჩნდნენ, მის ნაწარმოებებს ხელოვნების უნიკალურ მოვლენად რომ თვლიან, რომლებშიც თითქოს თანამედროვე სულის ყოელისმომცველი სიმბოლოა მოთავსებული.

ბურჟუაზიული ხელოვნებაშიოდენობა აბსტრაქციონიზმის წარმოშობას, ჩვეულებრივ, ამა თუ იმ ფორმალისტ-

ტის სახელს უკავშირებს. მაგრამ თვით აბსტრაქციონიზმის მოვლენას უფრო ღრმა ნიადაგი აქვს და არ ძალუძს მოთავსდეს რომელიმე ცალკეული დცადენტი მხატვრის დეკლარაციებში.

აბსტრაქციონიზმი ბურჟუაზიული იდეოლოგიის, მისი კულტურის კრიზისის სრულიად კანონზომიერი ნაყოფია, რომელიც კვრ კიდევ კანტის კონცეფციებიდან („წმინდა“, „დაუნტერტესებელი“ ხელოვნების შესახებ) მომდინარეობს.

კანტიკულ თეზისს, რომელიც ამტკიცებს ესთეტიკური მსჯელობის აბსოლუტურ პრაქტიკულ „დაუნტერტესებლობას“, ბურჟუაზიული ესთეტიკა აღიქვამს მწვენივლად და ხელოვნების თვითკმარი ესთეტიკაციის სახით, რომელსაც არ გააჩნია საზოგადოებრივ-შემეცნებითი როლი და მხოლოდ საკუთარი თავის იდეას გამოსახავს. ბურჟუაზიული ესთეტიკა, დაწყებული რეაქციული რომანტიციისტიიდან და მათავრებული თანამედროვე ინტუიციისტიებით კროჩით და ფროიდით, მკაცრად და თანმიმდევრულად იღტებს, მოსწყობის ხელოვნება გონებას, ინტელექტს, ცნობიერი — ქვეცნობიერს, განუტკიცებს აზრს, რომ მხატვრის ხელოვნების ნაწარმოებს ქმნის ინტუიტიური „გაცისკროვნების“ — ტრანსის მდგომარეობაში და არაფერი აქვს საერთო ობიექტურ სინამდვილესთან.

აბსტრაქციონიზმის ხელოვნება თავისი მსოფლმხედველობის ძირითად ბაზად იღებს თანამედროვე სუბიექტური იდეალიზმის განშტოებებს: პრაგმატიციზმს, ეგზისტენციალიზმს, ლოკიურ პოზიციციზმს.

პრაგმატიკული ფილოსოფია ამტკიცებს სამყაროს შეუცნობადობას; რომ შესაძლებელია გავივით მხოლოდ მისი გარეგნული ფორმატულობის — ფორმების, ხაზების, ფერების, სიბრტყეებისა და სხვათა არსებობის შესახებ. აბსტრაქტული ხელოვნებაც ასევე, უარყოფს საგნობრივ რეალობას და მხატვრული შემოქმედების ძირითად კომპონენტებად ხაზს, ფერს, სიბრტყესა და სხვა ფორმალურ ნიშნებს აღიარებს.

ეგზისტენციალისტური ფილოსოფია ადამიანის სხეულის, მისი ობიექტური ფიზიკური თანაზომიერებისა და გარეგნული მოხაზულობების შესახებ ნორმალურ წარმოდგენას უგულვებლყოფს. ფილოსოფოს ეგზისტენციალისტთა აზრით ადამიანის არსებობა არ იფარგლება მისი ფიზიკური რეალობით, იგი პროეცირდება მის გარემომცველ სივრცეზე და აბსტრაქციონისტიები ისწრაფვიან ხელოვნებაში გამოხატონ უპირველეს ყოვლისა თავისი „მე“, რომელსაც ისინი სამყაროს ცენტრად აცხადებენ.

ლოკიური პოზიციციზმი უარყოფს ობიექტური ქვემარტივის არსებობის პრინციპულ შესაძლებლობას. იგი ამტკიცებს, რომ სამყაროში ადგილი არაა გავუგებარ მოვლენებს და ჩვენი გონებისათვის მიუწვდომელ პროცესებს, რომ ქვეყნად ყველაფერი გაურკვეველი და ცვალებადია.

სამყაროზე ჩვენი წარმოდგენები სხვა არაფერია, თუ არა მათემატიკური „იქსისა“ და „იერკის“ მსგავსი, განყენებული, არაფრისმთქმელი სიმბოლოები. რომლებშიც

ყოველ ადამიანს შეუძლია, თავისი სურვილის მიხედვით, ნებისმიერი მნიშვნელობა იკულისხმოს; აბსტრაქციონისტები ასევე აბტკიცებენ, რომ მათი ხელოვნება სიმბოლურ ხასიათს ატარებს, მაგრამ არ შეუძლიათ თქვან თუ, კერძოდ, რას ატლისხმობს თითოეული მათი ნაწარმოები.

აბსტრაქციონისტები აცხადებენ, რომ ფერწერას არ უნდა გააჩნდეს ფაქტურა, რომელიც ვითომდა თავის თავში მოიცავს ვულგარულ-მეგანობრივ და ნატურალისტური ხასიათის თვისებებს, იგი ოსტატობისა და ნახატის გარეშე იოლად მიდის, ვინაიდან მხატვრის არა აქვს განზრახული რაიმე გარეგნულ ზეგავლენებს დაექვემდებაროს და მხოლოდ გონებრივად ჩამორჩენილ ადამიანს შეუძლია მათ გარშემო საგნობრივი მოხაზულობების დანახვა.

ფერწერამ აუცილებლად გვერდი უნდა აუაროს ფორმას, რადგანაც ტემპორიტად შეგვიერთს, მოხდენილსა და კეთილშობილს გარეგნული ფორმის არა აქვს; წინასწარ მოფიქრებული განზრახვას — იმიტომ, რომ ნამდვილი სილამაზე არ უნდა იყოს პრაქტიკული დანტერესებისა და მიზანდასახული ინტერესის საგანი; ფერს, რადგან ფერი არის საგანთა და მოვლენათა გარეგანი თვისება, რომელიც ვერ მოიცავს მათ არსს. გარდა ამისა, აბსტრაქციონიზმის ხელოვნება დროისა და მასშტაბის მიღმა უნდა იმყოფებოდეს, რადგან ტემპორიტი ხელოვნება მარადიულია, ხოლო აზრებსა და გრძობებს, რომლებიც ებადებათ ხელოვანთ, და რომელთა გამოხატავაც ისინი თავიანთ ნაწარმოებებში ლაშობენ, არავითარი საერთო არა აქვთ ფიზიკურ სიდიდებთან. უსაგნო ფერწერა აუცილებლად მოძრაობის გარეშე უნდა არსებობდეს იმიტომ, რომ მთელი სამყარო ემორჩილება მოძრაობის კანონებს, ხოლო ხელოვნება უნდა იყავდეს სიმშვიდეს; მან არ უნდა გამოიწვიოს არც სიზარბაზი, არც ტაკილი, არც უწიბი, არც კამყოფილება, უნდა იყოს განურჩეველი და გულგრილი ყველაფრისადმი სამყაროში, არ იყოს დაკავშირებული არც სუბიექტთან, არც ობიექტთან, არც მატერიალურ-გრძობათა რეალობასთან და არ შექმნას თავისთავად მხატვრული სახეები.

ამგვარად, ჩვენ ვხედავთ, რომ აბსტრაქციონიზმის ესთეტიკა განსაკუთრებით ძლიერად და მკაფიოდ ვარდება წინააღმდეგობებში, როცა ის ცდილობს იმ მთელი უარყოფითი კომპლექსის ჩამოყალიბებას, რაზედაც ბაზირდება აბსტრაქტული ხელოვნება. გამოდის რა შემოქმედებითი თავისუფლების დამცველად, ის ამავე დროს უუფრეს მას მკაცრ კანონებსა და წესებს, ნერვას დომინანტისა და მფურიგებლობას სხვა მხატვრული მიმართულებებისა და სტილისტური მიმდინარეობების მიმართ. უარყოფს რა ყოველგვარ მოსაზრებას ხელოვნების არსებობის შესახებ, აბსტრაქციონიზმი ამავე დროს ხელოვნების მთავარ აზრად და დანიშნულებად თვლის მხატვრის შინაგან სამყაროს, მის სუბიექტურ „მეს“. აბსტრაქციონიზმი ნიჰილისტურად ხაზს უსვამს ძველი ხელოვნების ყველა ტრადიციას და მიისწრაფვის ხელოვნება ააგოს ცარიელი ადგილზე, ხატუნად რომ ვთქვათ: ადამიანს შიშველ მიწაზე ტოვებს. ბუბუნებრივია, რომ აბსტრაქციონიზმის ყველა ნაწევრები

პრინციპის კონკრეტული განხორციელების შედეგად, ბულობთ ისეთ „ხელოვნებას“, რომელიც განასახიერებს ყოველგვარ სინახინჯესა და საძაგლობას. მაგრამ არც აბსტრაქციონისტებს, არც ხელოვნების სხვა ფორმალისტური მიმდინარეობის წარმომადგენლებს, არც რევიზიონისტებსა და არც ბურჟუაზიული იდეოლოგიის მოხსენებელ მკადამებლებს არ ძალუთ შეეცალონ ხელოვნების ცოცხალი ბუნება, ცხოვრების სურათების რეალისტების აღქმისა და ესთეტიკური სიამოვნების განცდის უნარი.

არანაკლები სინახინჯეა ბურჟუაზიული ხელოვნების მეორე სახესხვაობა — ნატურალიზმი. ცდილობს რა ხალხს გონება გუჟღერდითის ყოველგვარი რეაქციული იდეებით და ამავე დროს ხელიდან არ გაუშვას მსხვილი მატერიალური მოგება, ბურჟუაზიამ მხატვრული ბაზარი გაავსო „მომგებიანი“, „წმინდა ცხოვრებისეული ფორმით“ შესრულებული, ხალხისათვის გასაგები, მაგრამ უფრო ხშირად უკიდურესად დაბალი მხატვრული ღირებულების ნაწარმოებებით. ასეთი ნაწარმოებების ძირითადი დანიშნულებაა ჩამოცილოს ხალხი თანამედროვეობის საჭირობოტო საკითხებს, გამოითმოს იგი კლასობრივი ბრძოლისაგან, ხელი ააღებინოს პროგრესისა და მშვიდობისათვის ბრძოლაზე, აქოს და ადიღოს მვეკლეობა, ამორალიზმი, ყოველგვარი წესობრივი მოვალეობისაგან თავისუფალი — ძლიერი პირუტყვის კულტა. ნატურალიზმის ხელოვნებაში მვეკლეობა, გაუპატორება, მოტყუება, ძარცვა, სექსუალური და უხეში ფიზიოლოგიური მომენტები ზედმიწევნით უზუსტად არის გადმოცემული.

ნატურალიზმი რთული მოვლენაა ხელოვნების ისტორიაში. მან თავი იჩინა მე-19 საუკუნის მეორე ნახევარში ემილ ზოლას, ძმები გონკურებისა და სხვათა შემოქმედებით. ნატურალიზმის ფორმირებაზე დიდი გავლენა იქონია იმდროინდელი მეცნიერების, კერძოდ, ბუნებისმეტყველების სწრაფმა აღმავლობამ. გრანდიოზულმა მეცნიერულმა აღმოჩენებმა შექმნეს მეცნიერების ყოვლისშემძლობის შთაბეჭდილება. ამიტომ მრავალი მწერალი და ხელოვნების მოღვაწე, იმისათვის, რომ შეექმნა მართალი, დამაჯერებელი და სრულყოფილი ნაწარმოები, ისწრაფოდა რათა ბუნებისმეტყველების მეცნიერული პრინციპები დაედო მხატვრული შემოქმედების საფუძვლად. ნატურალიზმის ხელოვნებაზე დიდი ზეგავლენა მოახდინა პოზიტივიზმის ფილოსოფიამაც, რომლის ბრწყინვალე წარმომადგენელი იყო ოგუსტ კონტი. პოზიტივიზმის შესხედლებით საზოგადოების ფორმირება ბიოლოგიური კანონების მიხედვით ხდება. პოზიტივიზმმა საზოგადოებრივი კანონები ბიოლოგიურით შეცვალა და ამიტომ ხელოვნების ის მოღვაწეები, რომლებმაც თავიანთი თვალსაზრისის ამოსავალ წერტილად პოზიტივიზმის თეორია აიღეს, რეალური სინამდვილის დამახინჯებულ სურათებს ქმნიდნენ. ნატურალიზმმა შეტოვა ისეთი დიდი მწერალიც კი, როგორც ემილ ზოლა. მან ვერ შესძლო განზოგადებული რეალისტური სისრული გადმოწმალა კაპიტალისტური სამყარო და მისი დამლუპველი შემოქმედება ადამიანებზე. რა თქმა უნდა, დასაუღეთის თანამედროვე ნატურალიზმი არაფრით ჰგავს თავდა-

ხალხთა
მემორიუმის
ტრიზუნა

ქართული კულტურის დღეები

მემორიუმის ცენტრში

ვახტანგ კუპრავა

1967 წლის დამლევს საქართველოში ჩატარდა გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის კულტურის დღეები. ეს იყო ძალზე მნიშვნელოვანი მოვლენა ჩვენი რესპუბლიკის კულტურულ ცხოვრებაში. თბილისის, ბათუმის, სოხუმისა და ქუთაისის საზოგადოებრივამ დირსეული შეხვედრა მოუწყო გერმანული კულტურის წარმომადგენლებს, რომელთა რიცხვი 350 კაცს შეადგენდა. ქართველი ხალხი ადრევე დიდ ინტერესს იჩენდა მრავალსაკუნოვანი გერმანული კულტურის მიმართ. გერმანული ფილოსოფია თუ კლასიკური მუსიკა, მხატვრული ლიტერატურა თუ სახვითი ხელოვნება, ისევე როგორც კულტურის სხვა სახეობა, ხშირად წარმოადგენდა ქართული კულტურის მოღვაწეთა შესწავლისა და შთაგონების საგანს. ამიტომაც არაფერი

იყო გასაკვირი, თუ გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკიდან ჩამოსულ სიმფონიურ ორკესტრსა და სხვა მუსიკალურ კოლექტივებს, გამოფენებსა და ლექციებს ყველგან მომზადებული ჰყურებელი თუ მსმენელი ჰყავდა.

მხოლოდ ერთი ხარვეზი გააჩნდა ამ დიდ ღონისძიებას. გდრ-ის კულტურის დღეების ჩატარება საქართველოში გადაწყდა ორი-სამი თვით ადრე — რაც საკმარისი არ აღმოჩნდა იმისათვის, რომ ორივე მხარე სათანადოდ მომზადებულიყო. ეს გარემოება გაითვალისწინა და გამოიყენა კიდევ საქართველოს სსრ კულტურის სამინისტრომ. მან უკვე 1968 წლის შუა თვეებში იცოდა, რომ ქართული კულტურის დღეები გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში მომავალი წლის ნოემბერში გაიმართებოდა. ამგვა-

რად, მის განკარგულებაში იყო თითქმის წელიწად-ნახევარი და უკმადარც ერთი დღე არ დაუკარგავს.

ჯერ კიდევ 1968 წლის მაისში კულტურის სამინისტროს ხელმძღვანელობის ჩამოყალიბებული ჰქონდა გდრ-ში ჩასატარებელი ღონისძიებების საორიენტაციო გეგმა, რომელიც ითვალისწინებდა გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში გასაგზავნი კოლექტივებისა და სოლისტების შემადგენლობას, გამოფენების თემატიკას, კინოს, რადიოს, ტელევიზიის საგანგებო პროგრამებს და სხვ. რასაკვირველია, ეს საორიენტაციო გეგმა შედგებოდა თანდათან ისევე უზრუნველყოფდა.

უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ქართული კულტურის დღეების ჩატარების საორიენტაციო გეგმა დაუყოვნებლივ გაგზავნა როგორც სსრ კავშირის კულტურის სამინისტროს, ისე გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის კულტურის სამინისტროსაც. მათ მზურავალი და აქტიური მონაწილეობა მიიღეს მის სრულყოფაში. გდრ-ის კულტურის სამინისტრომ, მაგალითად, ეს გეგმა გაამარჯვალა და უგზავნა ყველა დაინტერესებულ ორგანიზაციას.

ამგვარად, ქართული კულტურის დღეების მზადებას თავიდანვე ფართო მასშტაბი მიეცა.

მე, პირადად, 1968 წლის სექტემბერში მიწვეული ვიყავი ბერლინის ტრადიციულ მუსიკალურ-თეატრალურ ფესტივალზე. ბერლინში ჩასვლის მეორე დღესვე გდრ-ის კულტურის სამინისტროს ხელმძღვანელობამ გამოიხატა, რომ მას მიზანშეწონილად მიაჩნია ჩემი დარჩენა გდრ-ში ფესტივალის დამთავრების შემდეგ, თუნდაც ერთი კვირით, რათა ერთად განგვეხილა საორიენტაციო გეგმა და ამასთანავე მომოქმედო და დამეთვლიერებინა გდრ-ის ოლქები, სადაც ქართული კულტურის დღეების ღონისძიებანი უნდა გამართულიყო.

1968 წლის 10 ოქტომბრისათვის გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის ხელმძღვანელობას გადაწყვეტილი ჰქონდა, რომ ბერლინის გარდა ქართული კულტურის დღეები ჩატარებულიყო დრეზდენის, კარლ-მარქს-შტადტის, გერასა და ზულის ოლქებში, ე. ი. გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის სამხრეთ ნაწილში.

ყველა ეს ოლქი მოვიარე და მათ ხელმძღვანელებთან, ძირითადად კი კულტურის განყოფილებების გამგებებთან ვისაუბრე ამ ოლქებში ქართული კულტურის დღეების გამართვის თაობაზე. კერძოდ, რომელი კოლექტივების გამოსვლა იქნებოდა მიზანშეწონილი ამა თუ იმ ოლქში მისი სპეციფიკურობის გათვალისწინებით, რა გამოფენები უნდა გამართულიყო იქ და სხვა. ამ მოგზაურობის დროს მაჩვენეს ყველა საკონცერტო და საგამოფენო დარბაზი და უნდა ვთქვა, რომ ამ მხრივ იდეალური პირობები გვექმნებოდა. თვით პატარა ქალაქ ზულსაც კი ისეთი საკონცერტო დარბაზი აქვს, რომელსაც თავისუფლად შეუძლია მიიღოს ყოველგვარი ანსამბლი.

ამ წინასწარი საუბრების დროს, კერძოდ დრეზდენში, წარმოიშვა იდეა, რომ ქართული კულტურის ჩატარების დღეებში აქ გამართულიყო აგრეთვე ღვინის დღესასწაული, ანუ ქართული სამზარეულოს დემონსტრაცია.

ოლქების დათვალისწინების შემდეგ კვლავ ბერლინში დაბრუნდი და საქმიანი მოლაპარაკება გაიმართა კულტურის სამინისტროში, რადიოსა და ტელევიზიის კომიტეტში, კინმატოგრაფიის მთავარ სამმართველოში. ბევრი რამ დაუსრულდა ამ საუბრების დროს, ბევრი ასლი აზრი და წინადადება წარმოიშვა. გდრ-ის კულტურის სამინისტრომ, მხარი დაუჭირა იმ აზრს, რომ ქართული კულტურის დღეებისათვის მომზადებულიყო და გამოცემულიყო ქართული პრესისა და პოეზიის ანთოლოგიები. შემდეგ ამ საგანზე მე უშუალოდ გამოცემლობა «Volk und Welt»-ში მიმართა და ლაპარაკი. ამ გამოცემლობის ხელმძღვანელობამ საინფორმაციო მიზლიც ეს წინადადება იმ პირობით, რომ ჩვენი მხარე უზრუნველყოფდა ორივე ანთოლოგიის მასალების თარგმანას და გამოცემლობისათვის ჩაბარებას არა უგვიანეს 1969 წლის თებერვლის. მეორე გამოცემლობამ, რომელსაც «Der Aufbau» ეწოდება, ასევე მიიღო ჩვენი წინადადება თავის ბაზაზე გათვალისწინებული მომზადებული წიგნი „გერმანულ-ქართული კულტურული ურთიერთობის შესახებ“.

ასევე მოწოდებული იქნა იდეა იმის შესახებ, რომ გდრ-ის რომელიმე საბჭოთა თეატრს დაედავა ზ. ფალიაშვილის ოპერა „დაისი“.

შეთანხმდით, 1969 წლის იანვარშივე საქართველოში ჩამოვიდოდა გდრ-ის კულტურის სამინისტროს ოფიციალური დელეგაცია, რომელიც ადგილზე წახალისებდა ჩვენს გეგმით გათვალისწინებულ კოლექტივებსა და საგამოფენო მასალებს, საქართველოს კულტურის სამინისტროსთან ერთად განიხილავდა მომავალი კულტურის დღეების მრავალ პრაქტიკულ საკითხს და, ამგვარად, დასაბამი მიეცემოდა ნამდვილ მოსამზადებელ სამუშაოს.

ამავე დროს, მიზანშეწონილად იქნა მიჩნეული, რომ ჩვენი მოწვევით საქართველოში ჩამოსულიყო გდრ-ის ქურ-ნაღისტიკის დელეგაცია, რადიოსა და ტელევიზიის მომსახურე ჯგუფი, რომლებიც თვითონ, საკუთარი შთაბეჭდილებების საფუძველზე, შექმნიდნენ მასალებს ჩვენი რესპუბლიკის შესახებ, რათა ამ გზით, კულტურის დღეების დაწყებამდე გაეცნოთ გდრ-ის მოსახლეობისათვის საქართველოს კეთილმოკა, ისტორია, კულტურა და ხელოვნება.

1969 წლის დასაწყისშივე (იანვარში) ქ. თბილისის ჩამოვიდა გდრ-ის კულტურის სამინისტროს დელეგაცია, რომელსაც მეთაურობდა აშხ. ვეროც ცანკე (გერას ოლქის კულტურის განყოფილების ხელმძღვანელი და საოლქო საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე). ამ დელეგაციის შემადგენლობაში იყვნენ საკონცერტო და საგამოფენო ორგანიზაციის ხელმძღვანელები და თვით კულტურის სამინისტროს მუშაკები. დელეგაციას შესაძლებლობა ჰქონდა ენახა თითქმის ყველა კოლექტივი და სოლისტი, რომელთაც ითვალისწინებდა საორიენტაციო გეგმა. ასევე გაეცნო იგი განზრახული გამოფენების ძირითად ექსპონატებს. დელეგაციის წევრები არ მალავდნენ თავიანთ კმაყოფილებას ყოველივე იმით, რაც ნახეს და იმთავითვე ვეცინათ წინასწარმეტყველებდნენ მეც წარმატებას. ამავე დროს, ისინი, რაგორც ნამდვილი მიგობრები, არც იმას გვიმალავდ-

ნენ, რაც არ მოეწონათ, ან რაც, მათის აზრით, არ მოეწონებოდა მომავალ მასურებელს თუ მსმენელს გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში. ეს არმოწონებდა შეეხებოდა როგორც ცალკეულ კოლექტივებს, ისე სოლისტების რეპერტუარს, გასაღვენად განზრახველი მოვე რიგ ნაშუაგერებს და სხვ. უნდა ითქვას, რომ ჩვენი მხარე დიდი გულისხურით კიდებოდა გერმანული მეგობრების ყოველ, თუნდაც ერთი შესვლით უმნიშვნელო შენიშვნას და ამ გარემოებას მოვკლავა დიდი საჩუკრებო.

გდრ-ის კულტურის სამინისტროს დელეგაციას მისი საქართველოში ყოფნის დღეებში გავაცანი თუ არა მარტო ის, რაც ქართული კულტურის მომავალი დეკადის პროგრამაში იყო გათვალისწინებული, არამედ ბევრი რამ სხვა ისეთიც, რაც ასე თუ ისე სრულყოფილ წარმოდგენას შეუქმნიდა მას ქართული კულტურის წარსულსა და აწმყვე.

ყოველივე ამის შემდეგ, 1969 წლის 27 იანვარს ქ. თბილისში, სათანადო ოქმით გაფორმდა პირველი ოფიციალური შეთანხმება გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკისა და საქართველოს სსრ კულტურის სამინისტროებს შორის „გდრ-ში საქართველოს სსრ კულტურის დღეების“ მსაღენისა და ჩატარების შესახებ.

ეს ხელშეკრულება ითვალისწინებდა, რომ გდრ-ში ქართული კულტურის დღეების ჩატარებაში მონაწილეობას მიიღებდა მრავალი მხატვრული კოლექტივი.

მუსიკალური ღონისძიებებიდან ხელშეკრულება ითვალისწინებდა ქართველი კომპოზიტორების მიერ სამი სავეტრო კონცერტის გამართვას, ფ. ფალიაშვილის ოპერის „დაისი“, დამღვას გდრ-ის ერთ-ერთი საოპერო თეატრში და აგრეთვე სამი თვითმოქმედი მხატვრული კოლექტივის გამოსვლებს გერმანია-საბჭოთა კავშირის მეგობრობის საზოგადოების მიწვევით.

კულტურის დღეების პროგრამაში შეთანხმების თანახმად საპატიო ადგილი უნდა დაეჭირა გამოფენებს.

გერმანელთა თხოვნით, ჯერ კიდევ 1969 წლის მაისში, ქ. ბერლინში უნდა გახსნილიყო გამოფენა „ქართული კერამიკა“, რომელიც შემდეგ იმავე წლის 1 ნოემბრისათვის გადავიდოდა ქ. გერაში. დაიკვება აგრეთვე დიდი და მცირე ფოტოგამოფენები.

ძირითადი გამოფენების კატალოგების გამოცემა გდრ-ის კულტურის სამინისტრომ იკისრა ჩვეის მიერ საკატალოგო მასალების გერმანულ ენაზე მომზადების შემთხვევაში.

ამვე შეთანხმების მიხედვით გდრ-ის კულტურის სამინისტრომ ვალდებულია აიღოს ქართული კულტურის დღეებში მიუწვია მრავალი დელეგაცია.

შეთანხმებაში აისახა აგრეთვე რადიო-ტელეხედვისა და კინოფილმების სათანადო პროგრამების მომზადების აუცილებლობა, რაც შესაბამის ორგანიზაციებს უნდა განეხორციელებინათ.

სულ შეთანხმება ითვალისწინებდა 350 კაცის მონაწილეობას ქართული კულტურის დღეების ჩატარებაში.

თეატრების დამლევისათვის საქართველოს სსრ კულტურის სამინისტრომ მოამზადა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს წარუდგინა გერმანიის დემოკრატიულ რეს-

პუბლიკაში ქართული კულტურის დღეების მზადებისა და ჩატარების ღონისძიებათა სრული გეგმა და მასთან დაკავშირებული ხარჯთაღრიცხვა.

საქართველოს სსრ მთავრობა დიდი მზრუნველობითა და გულისხურით მოეცა ამ საქმეს. იგი მას სამართლიანად თვლიდა არა მარტო კულტურულ ღონისძიებად, არამედ დიდი მნიშვნელობის მქონე პოლიტიკურ მოვლენადაც. უკვე მარტის დამლევს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭომ მიიღო ზრცელი დადგენილება, რომელშიც დაწვრილებით აისახა გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში ქართული კულტურის დღეების ჩატარების პროგრამა. ამავე დადგენილებით მინისტრთა საბჭომ საქართველოს სსრ კულტურის სამინისტროს რესპუბლიკის ბიუჯეტისგან გამოუყო 252 ათასი მანეთი, რაც უნდა მოხმარებოდა კულტურის დღეების მსაღენის, მის მონაწილეთა ჩაყვანას ქ. ბერლინში და მათს უკან დაბრუნებას.

ასეთი თანხის გამოყოფა დიდი დახმარება იყო კულტურის სამინისტროსათვის და ამან უშუქველად განაპირობა კიდევ მოსამზადებელ სამუშაოთა მთელი კომპლექსის წარმატებით განხორციელება.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის დადგენილებით შეიქმნა კომისია კულტურის მინისტრის ახს. ო. თაქთაქიშვილის მეთაურობით, რომელსაც დაეკავა ხელმძღვანელობა გაუიანა კულტურის დღეების მზადებისათვის. ამ კომისიაში შევიდნენ ყველა დანატრეხებულ ორგანიზაციის ხელმძღვანელები. თვით კულტურის სამინისტროში შეიქმნა კულტურის დღეების მზადების საორგანიზაციო შტაბი, რომელსაც დაეკავა ყოველდღიური საქმიანობის წარმართვა.

მოსამზადებელ სამუშაოთა ყურადღების ცენტრში იდგა შემდეგი საკითხები:

1. კოლექტივებისა და სოლისტების მომზადება.
2. გამოფენების მომზადება.
3. გდრ-ში გამოსაცემი ქართული ლიტერატურის მომზადება.
4. კულტურის დღეების სახეობო გახსნისა და დახურვის კონცერტების მომზადება.

კოლექტივებისა და სოლისტების მომზადება

მას შემდეგ, რაც გადაწყდა, თუ რომელ კოლექტივებსა და სოლისტებს უნდა მიეღოთ მონაწილეობა ქართული კულტურის დღეებში, მთავარი საზრუნავი ის იყო, რომ თითოეული მათგანი ღირსეულად მომზადებულიყო და წარმდგარიყო უცხოელი მასურებლისა თუ მსმენელის წინაშე.

რეპერტუარის საკითხი არავითხელ გამხდარა მსჯელობის საგანად, როგორც თვით კოლექტივებში, ისე კულტურის სამინისტროსა და ხელმძღვანელ ორგანოებში.

ასე, საკულდაგულად, ისევე მოედა და ისახებოდა თითქმის მთელი წლის მანძილზე თითოეული კოლექტივისა და სოლისტის რეპერტუარი, რომელიც სავანებოდ იყო გა-

მიზნული გდრ-ის მოსახლეობისათვის. არა ერთი და ორი ნაწარმოები შეიქმნა, ან გამოიძენა საამისოდ.

რეპერტუარის გარდა, დიდი მნიშვნელობა ენიჭებოდა თვით კოლექტივების შემადგენლობის გადახალისება-გაძლიერებას. ამ მიმართულებითაც ბევრი რამ გაკეთდა.

სათანადო ყურადღება ექცეოდა აგრეთვე კოლექტივების ჩაცმულობასა და აღჭურვას.

ყველა ამ დონისძიებამ დიდად შეუწყო ხელი ანამულე-ბის მზადყოფნას ფრიად პასუსხავები გამოსვლებისათვის.

ბამოფმინების მზადება

მრავალრიცხოვანი გამოფენის მომზადება უაღრესად შრომატევადი საქმე იყო. გდრ-ის სათანადო ორგანიზაციებთან შეთანხმების საფუძველზე ჩვენ უნდა მოგვემზადებინა და კულტურის დღეების დაწყებამდე ხუთი თვით ადრე ჩაგვებარებინა მათთვის ყველა ძირითადი გამოფენის საკატალოგო მასალა გერმანულ ენაზე, რათა მათი დასტამბვა მოხერხებულიყო გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში.

ჯერ კიდევ 1969 წლის მარტსა და აპრილში სურათების გალერეის, მხატვართა კავშირისა და კულტურის სამინისტროს მუშაკების დაძაბული შრომის შედეგად ჩამოყალიბდა ყველა ძირითადი გამოფენის საბოლოო სახე, შეიქმნა მათი აღწერილობა, დაიწერა შესავალი წერილი თითოეული გამოფენის კატალოგისათვის, დამზადდა ფოტორეპროდუქციები და სხვა. საკატალოგო მასალების გერმანულ ენაზე თარგმნის შემდეგ, ისინი 1969 წლის მაისში გაი-

გზავნა ქ. ბერლინს, მაგრამ მზადება ამით, რასაკვირველია, არ დამთავრებულა. საჭირო იყო მრავალრიცხოვანი საგამოფენო ექსპონატების შეკრება, ხშირ შემთხვევაში მათი რესტავრაცია და გასაგავანად შემზადება.

თუ გავითვალისწინებთ იმ გარემოებას, რომ გასაგავან ექსპონატთა საერთო რაოდენობა (ფერწერა, ქანდაკება, გრაფიკა, კერამიკა, ჭედურობა, ქსოვილები, წიგნები, ფოტოსურათები და სხვა) სამი ათასს აღემატებოდა, ხოლო მათ გადასატანად საჭირო გახდა ნ თორმეტტონიანი ავტომანქანა, გასაგები გახდებოდა, თუ რა დიდი სამუშაოს ჩატარება მოუხდათ იმ ადამიანებს, რომელთაც ევალებოდათ გამოფენების შერჩევა, გამზადება და გაგზავნა ასეთ შორ მანძილზე.

გდრ-ში ბამოცსაგმი ძარბოული ლიტერატურის მიმზადება

ბერლინის გამოცემლობასთან თავდაპირველი შეთანხმების საფუძველზე ჩვენ უკვე 1969 წლის თებერვალ-მარტში უნდა გვექონოდა მზად თარგმანები, მაგრამ ამ დროისათვის მხოლოდ ორი საკითხი იყო მოგვარებული: მთარგმნელების მოწვევა და ანთოლოგიების შემადგენლობა.

გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკიდან მოვიწვიეთ ორი მთარგმნელი: რაინერ კირში და ადოლფ ენდლერი. ისინი აპრილის შუა რიცხვებში ჩამოვიდნენ თბილისში და დაუყოვნებლივ შეუდგნენ მუშაობას. ა. ენდლერმა თან ჩამოიყვანა თავისი მუდღეო ელექტრები, აგრეთვე მთარგმ-





ნელი, რედაქტორი და გამოცემლობის მუშაკი. უნდა ითქვას, რომ ამ სამეულის არც ერთი წუთი არ დაუკარგავს უქმად. პირობებიც კარგი ჰქონდათ შექმნილი. საუკეთესო სანატორიუმებში მოვათავსეთ ჯერ ბორჯომში და მერე გაგრანში. პწკარედი თარგმანი მათთვის ნელი ამამუკელმა გაამზადა. ნელი იყო აგრეთვე მათი მუდმივი კონსულტანტი და მეგავშიერ კულტურის სამინისტროსთან თუ მწერალთა კავშირთან.

რანერ კირშს და ადოლფ ენდლერს ქართული პოეზიის თარგმნა ჰქონდათ მინდობილი. რ. კირშს ადრე ეთარგმნა ნ. ბარათაშვილი და გამოცდილებაც გააჩნდა. მაგრამ მათ წინაშე უჩვეულოდ ძნელი ამოცანა იდგა: უნდა ეთარგმნათ სხვადასხვა საუკუნეთა, სხვადასხვა სტილისა და მიმართულების დაახლოებით 40 პოეტის ნაწარმოებები. ჯერჯერობით ძნელია იმის თქმა, თუ რა გამოუვიდათ. კირშსა და ა. ენდლერს, მაგრამ ერთი რამ კი ცხადია: მათ არც ენერჯია დაიშურეს, არც ნიჭი და პროფესიონალიზმი მოაკლეს ქართული პოეზიის ანთოლოგიას. ვფიქრობთ, რომ ეს პირველი სრულყოფილი კრებული იმკვარად აქედერდება გერმანულ ენაზე, რომ მკითხველებს უთუოდ განაცდევინებს მისი შემქმნელი ხალხის დიდ ისტორიასა და პოეტურ წვას.

ქართული პროზის ნიმუშების თარგმნა მიენდოთ გ. მარგველაშვილს, რომელსაც აღზრდა-განათლება გერმანიაში მიუღია, ნ. ამამუკელს, ნ. ხუციშვილს, ს. მაჭარაძესა და რ. ყარალაშვილს. ყოველი მათგანი შესანიშნავად ფლობს გერმანულ ენას. სწორედ გ. მარგველაშვილს დევალა სა-

ერთო რედაქცია და სტილი გაეკეთებინა ყველა თარგმანსათვის. პროზის ანთოლოგიაში შესატანად გამოყენებული იქნა რ. ბლაიხშტაინერის, შულცეს და სხვათა მიერ ადრე თარგმნილი ქართული ნაწარმოებებიც.

როგორც პოეზიის, ისე პროზის ანთოლოგიებისათვის ყველა მასალის მომზადება დასრულდა 1969 წლის ივლისში. გარდა მხატვრული ნაწარმოებებისა, ანთოლოგიებისათვის საჭირო იყო შესავალი სტატიების, კომენტარებისა და შენიშვნების, ქართული მწერლობის შესახებ მოკლე მიმოხილვების დაწერა და თარგმნა. მთელი ეს მასალა გამოცემულა «Volk und Welt»-ს ჩაბარდა 1969 წლის ივლისის დამლევს.

ბერლინის მეორე გამოცემლობას «Der Aufbau»-ს რამდენადმე უფრო ადრე ჩაბარდა პროფ. შ. რევეიშვილის წიგნი „გერმანულ-ქართული ლიტერატურული ურთიერთობის შესახებ“ (გერმანულ ენაზე თარგმნილი).

სამივე ეს წიგნი 1970 წელს გამოიცემა ბერლინში და, ვფიქრობ, დიდ სამსახურს გაუწევს ჩვენი ხალხების შემდგომი დაახლოების საქმეს.

კულტურის დღეიანის საზაიმიო ბაზსინსა და დახურვის კონცერტების მომზადება

ჩვენთვის 1969 წლის თებერვალში უკვე ცნობილი იყო, რომ ქართული კულტურის დღეების საზეიმო გახსნა 1 ნოემბერს გაიმართებოდა ბერლინის სახალხო თეატრში, ხო-

საქართველოს
ხელოვნების
მეცნიერებათა
აკადემიიდან

ზ. კახიანი.
ქალიშვილის პორტრეტი.



ეიურის წევრები გამოფენის განხილვაზე საქართველოს სსრ სურათების გალერეაში.





ლო მათი საზეიმო დახურვა 10 ნოემბერს — სახელმწიფო ოპერის შენობაში.

ამ საღამოების მოწყობა უადრესად რთული, პასუხსაგებნი და შრომატევადი საქმე იყო. ყველას, ვინც კი მათ მიმზადებაზე მუშაობდა, კარგად ჰქონდა შეგნებული, რომ კულტურის დღეების საზეიმო გახსნა და მისი კონცერტი ტონის მიხედვით უნდა ყოფილიყო მთელი დეკადისათვის, ხოლო სამუშაო დახურვა კი დასკვნითი აკრობატი, რომელსაც ღირსეულად უნდა დაეკვივრებინა დიდი კულტურული ღონისძიება.

თვეების მანძილზე საზეიმო გახსნის არა ერთი და ორი ვარიანტი შემუშავდა, რომელშიც მონაწილეობას ღებულობდნენ რეჟისორები, მხატვრები, კომპოზიტორები, ანამბლის ხელმძღვანელები, სოლისტები და სხვები. ეს იყო დაძაბული შემოქმედებითი ძიება საუკეთესო ვარიანტისა და მან თავისი შედეგი გამოიღო.

საბოლოოდ გადაწყდა ასე — კულტურის დღეების საზეიმო გახსნის ცერემონიალის შემდეგ კონცერტს გამართავდა საქართველოს სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო დამსახურებული ანამბლი, რომელიც კულტურის დღეების ჩატარების პროგრამაში გათვალისწინებული იყო ძირითად ძალად. უნდა ითქვას, რომ ამ გარემოებამ სავსებით გაგვიძლია.

უფრო მეტ დავას იწვევდა კულტურის დღეების საზეიმო დახურვის საღამოზე გახმართავი კონცერტის მოწყობა. მიუდავთა ერთ მხარეს მიაჩნდა, რომ ეს კონცერტი აკადემიური ხასიათის უნდა ყოფილიყო და ამდენად დაუმუშავებელი იქნებოდა საესტრადო ნომრების ჩართვას. მეორე მხარე კი იმ აზრს იცავდა, რომ თანამედროვე ქართული ხელოვნების ყველა უანრი წარმოედგინა. ბოლოს და ბოლოს ამ მოსაზრებაში იხალისა და საზეიმო დახურვის კონცერტის მონაწილეობა შემადგენლობა ამგვარად ჩამოყალიბდა:

კამერული ორკესტრი, სახელმწიფო კვარტეტი, სახელმწიფო ტრიო, ვოკალური ჯგუფი „გორდელა“, ვოკალურ-ინსტრუმენტული ანსამბლი „ორგრა“, სოლისტები — ე. ვირსალაძე, ლ. ისაკაძე, მ. ამირანაშვილი, ზ. სიტკილაძე, ნ. ანდელუაძე, ც. ტატიშვილი, ზ. ჭყონია. ამ ძალებით უნდა გამართულიყო კონცერტის პირველი განყოფილება. ხოლო მეორე განყოფილება უნდა წყადგინა ქართული ცეკვების სახელმწიფო დამსახურებულ ანსამბლს ნ. რამიშვილისა და ი. სუხიშვილის ხელმძღვანელობით.

სერიოზული ყურადღება ექცეოდა ქ. ბერლინის ორივე თეატრის სცენის სათანადო მომზადებას როგორც ოფიციალური ნაწილის, ასევე კონცერტებისათვის. ბევრი რამ საამინოდ საგანგებოდ გაკეთდა. თბილისშივე ამზადდა ორივე თეატრის სცენის მორთულობის ძირითადი ნაწილი, დროშები და, ასე გასინჯეთ, ყვავილთა პატარა, ქართული ლაზათით მოწული კალათებიც კი, რომლებმაც დაამშვენეს კულტურის დღეების საზეიმო გახსნა.

გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში მოსამზადებელ სამუშაოთა შორის მნიშვნელოვანი ადგილი ეკავა ქართული სიმფონიური მუსიკის კონცერტის გამართვას. მართალია, ეს კონცერტი არ იყო გათვალისწინებული პირველ

შეთანხმებაში, მაგრამ მომდევნო მოლაპარაკებებში შეთანხმდით, რომ გდრ-ის ერთ-ერთი საუკეთესო სიმფონიური ორკესტრი იკისრებდა ქართველი კომპოზიტორების ნაწარმოებთა შესრულებას. ასეც მოხდა. საქართველოს კომპოზიტორთა კავშირის მიერ შერჩეული სიმფონიური ნაწარმოებები (6 კომპოზიტორისა) თავის დროზე გადაეცაზნა ქ. ფრუტის სიმფონიურ ორკესტრს, რომელმაც ისინი მოამზადა და შესასრულა ქართული კულტურის დღეებში.

დიდი დრო და ყურადღება დაეთმო მასალების მომზადებას საქართველოს კულტურის, ისტორიის, ეკონომიკის და, საერთოდ, იმ მიღწევების შესახებ, რომლებიც ჩვენს რესპუბლიკამ მოიპოვა სახალხო მეურნეობის ყველა დარგში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ. ამ მასალების მომზადებასა და თავმოყრას ხელმძღვანელობდა საქმეში. მან დიდძალი მასალა მიაწვდო გდრ-ის უჩრდილ-გაზეთებს და მისი დიდი ნაწილი გამოქვეყნდა კიდევ გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის პრესაში ჯერ კიდევ ქართული კულტურის დღეების დაწყებამდე. ამ თვალსაზრისით დიდი როლი ითამაშა გერმანულ ჟურნალისტთა დელეგაციის მოწვევამ საქართველოში. ეს დელეგაცია საქართველოს სსრ კულტურის სამინისტროს მოწვევით თბილისში ჩამოვიდა 1969 წლის ივლისში. ერთი კვირის განმავლობაში მათ ნახეს ჩვენი კულტურის ძეგლები, გამოფენები და კოლექციები, დაათვალიერეს მუზეუმები და შეძლებისდაგვარად გაეცნენ ჩვენს რესპუბლიკასაც. თბილისის გარდა, ისინი იყვნენ მცხეთაში, ყაზბეგში, ბათუმში, რუსთავში. შეხვდნენ ქართველ მშრომლებს და პარტიულ მუშაკებს. ანგვარად, გერმანულ ჟურნალისტებს დიდი შთაბეჭდილებები დაუტოვებდა. გერ-ში დაბრუნების შემდეგ თავიანთ ლექსინ-გაზეთებში ჟურნალების მთელი სერიები გამოაქვეყნეს საქართველოს, მისი ხალხისა და კულტურის, სოციალისტური მეურნეობის შესახებ. ამ წერილებმა უდავოდ მნიშვნელოვანი როლი შეასრულეს. მათ მოამზადეს კულტურის დასახვედრად და შესათვისებლად.

თითქმის ყველა გერმანელი ჟურნალისტი, ბერლინიდან იყო იგი თუ დრეზდენიდან, მიმართავდა თავის მკითხველს, რომ მას ულის ძველი და ახალი, სოციალისტური ქართული კულტურის მშვენიერი ქმნილებების ხილვა, რომ მისი, ე. ი. გერმანელი მსმენლის თუ მწახველის, შეხვედრა ქართულ კულტურასთან, ქართული სახეობის ხელოვნების გამოფენებთან თუ ქართველ მომღერალ-მომცეკვავებთან არ იქნება ჩვეულებრივი მოვლენა, რიგითი ღონისძიება, არამედ მათთვის რთულია უჩვეულო ამბავი და აღმოჩენა, რომელიც დიდ ესთეტიკურ საამიფენებას მოგვრის და უაღამ-დიდრებს მისთ ცოდნას. ამასთანავე, გერმანელი ჟურნალისტები აუწყებდნენ თავიანთ მკითხველებს, რომ ქართველები განთქმულნი არიან არა მარტო თავიანთი ძველი და თვითმყოფადი კულტურით, არამედ თანამედროვე სტუმარ-მასპინძლობითაც. ამიტომაც, ისინი მოწოდებდნენ გდრ-ის მოსახლეობას და რესპუბლიკის ორგანიზაციებს, კარგად გაითვალისწინეთ ყოველივე ეს და ღირსეული შეხვედრა და



მასპინძლობა გაუწიეთ ქართული კულტურის დესპანებსო. ქართული კულტურის დღეების შზადების პერიოდში მოგვარდა ერთ ფრიად მნიშვნელოვანი საქმეც. გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში ბოლო ოცი წლის მანძილზე საქართველოს აღსანიშნავად უპართებულოდ იხმარებოდა სიტყვა «Grusien». ადრე, თვით გერმანიაში ასეული წლების მანძილზე, ისევე როგორც ავსტრიაში, შვეიცარიაში და სხვაგან განმტკიცებული იყო სახელწოდება «Georgien». ცნობილია ისიც, რომ სხვა ევროპული ქვეყნებიც (იტალია, საფრანგეთი, ინგლისი და სხვანი) საქართველოს სახელწოდებას აწარმოებენ ფუძე «Georg»-იდან. ყოველივე ამის გამო, საქართველოს სსრ კულტურის სამინისტრომ თხოვნით მიმართა გდრ-ის სათაანდო ორგანოებს შეეცალა „Grusien“ უფრო სწორი სიტყვით «Georgien». უნდა აღინიშნოს, რომ ამგვარი ცვლილების აუცილებლობამ გარკვეული წრეების წინააღმდეგობა გამოიწვია, მაგრამ საბოლოოდ მაინც მართებულმა ფორმამ გაიმარჯვა და ქართული კულტურის დღეების დაწყების წინ გდრ-ის ყველა უზრუნავ-გუსეთი თუ სახელმწიფო ორგანო უკვე «Georgien»-ით იხსენიებდა საქართველოს.

გასული წლის სექტემბრის დამდეგისათვის ფაქტურად დამთავრებული იყო ქართული კულტურის დღეების მომზადების ძირითადი სამუშაოები. მავალითად, სექტემბრის ბოლო და ოქტომბრის პირველ რიცხვებში ქ. ბერლინს გაიგზავნა გამოფენების მასალებით დატვირთული 8 სპეციალური ავტომანქანა. ქართული სამუშაოების დღეების ჩატარებისათვის გაიგზავნა 4 ვაგონი ღვინო და კონიაკი, აგრეთვე ორი თონე, სიმინდი, საკმაზენი და სხვა.

იწყებოდა საზღაადის კულტურის დღეების მონაწილეთა გასამზავრებლა. მონაწილეთა რაოდენობამ 430 კაცს მიაღწია. ხალხის გადაყვანის მიზნით დავიქირავეთ საგანგებო მატარებელი, რომელსაც თბილისიდან ქ. ბერლინს 280 კაცი უნდა ჩაეყვანა 1969 წლის 31 ოქტომბერს, ხოლო დანარჩენი მონაწილენი თვითმფრინავებით უნდა გამგზავრებულიყვნენ.

ხალხის გამგზავრების წინა პერიოდში დიდი მნიშვნელობა ჰქონდა საქართველოს კვ ცენტრალური კომიტეტის მიერ გამოართულ საუბრებს კულტურის დღეების მონაწილეთ კოლექტივებთან და სოლისტებთან. საქართველოს კვ ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი ამხ. ვ. პ. შვავანაძე შეხვდა და ესაუბრა ქართული კულტურის დღეების თითქმის ყველა მონაწილეს. ამგვარი ყურადღების გამოჩენამ შესანიშნავი ნაყოფი გამოიღო. გდრ-ში ყოფნის მანძილზე არ მოხდარა არც ერთი არასასიამოვნო შემთხვევა.

უნდა აღინიშნოს, აგრეთვე, გდრ-ის კულტურის სამინისტროსა და სხვა ორგანიზაციების უზარმაზარი შრომა, რომელიც მათ გასწიეს ქართული კულტურის დღეების ჩატარებლად.

გდრ-ში ქართული კულტურის დღეები თავისი მასშტაბით დიდად აღმტკბებოდა მანამდე ჩატარებულ ყველა დეკადს. ამის საბოლუსტაციოდ კმარა თუნდაც შემდეგი მონაცემების მოტანა. გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლი-

კაში უნდა გამართულიყო ქართული კულტურის ამსვენება 25 გამოფენა, უნდა გამოქმნილიყო 25 საგამოფენო დარბაზი, რომელიც დაკავებულ იქნებოდა მთელი 2 თვის მანძილზე 1969 წლის 1 ნოემბრიდან 1970 წლის 1 იანვრამდე. ამას ემატებოდა კიდევ 34 გამოფენა-საუქმარი, რომელიც სხვადასხვა დაწესებულებასა და საწარმოს უნდა გამოეფინა თავის შემოტებით (ამ გამოფენა-საუქმარებში შედიოდა ფოტოგამოფენა „საბჭოთა საქართველო“, აგრეთვე წიგნები, ფიფიტიები, კუდართის, კვრამბის და სხვე სამუქმრების ნიმუშები). ყველაფერი ეს შემდეგ საუქმარად რჩებოდა ორგანიზაციებს.

გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში ჩვენ ჩაეყვანეთ 11 საკონცერტო კოლექტივი და სოლისტის 3 ჯგუფი. ეს იმის ნიშანია, რომ რესპუბლიკის საკონცერტო ორგანიზაციებს ყოველდღე ქართველ შემსრულებლებთან მონაწილეობით უნდა გაემართათ 10-12 კონცერტი.

ჩვენსა გერმანელმა მეგობრებმა ეს ორივე რთული ამოცანა ბრწყინვალედ გადაწყვიტეს.

გარდა ამისა, გდრ-ის კულტურის სამინისტროს უნდა უზრუნველყო ჩვენი მრავალრიცხოვანი დელეგაციების მიღება, მათი გამოსვლები სხვადასხვა წარმოება-დაწესებულებებში, ასამდე ლექცია-მოსხენების გამართვა და კიდევ ბევრი სხვა რამე, რის ჩამოთვლაც შორს წააგვიყვანდა.

მთელ ამ საქმიანობას ხელმძღვანელოდა გდრ-ის კულტურის სამინისტროსთან შექმნილი საორგანიზაციო კომიტეტი, რომელსაც საავეჯო ედა კულტურის მინისტრის მოადგილე ამხ. კურტ ბორგი, ძალიან გამოცდილი და ავტორიტეტული მუშაკი. ქართული კულტურის დღეების ჩატარებლად საორგანიზაციო კომიტეტები და შტაბები შექმნილი იყო ხუთივე ოლქის საბჭოებთან. მათი უსაბუთო მუშაობის წყალობით კულტურის დღეების პროგრამით გათვალისწინებული ყველა ღონისძიება უზუსტად, შეფუგრებულად სრულდებოდა.

ასლოდეგობა 1969 წლის 1 ნოემბერი...

ამ დღეს უნდა დაწყებულიყო საქართველოს სსრ კულტურის დღეები გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში. ყველაფერი უზად იყო, მაგრამ გდრ-ის კულტურის სამინისტრომ აუცილებლად მიიჩინა თბილისში ერთი კვირით ადრე გამოგზავნა თავისი წარმომადგენელი ვერნერ შნიიდერი, რათა ერთხელ კიდევ დაეუსტუებინა ზოგი რამ და პირველ რიგში კი კულტურის დღეების მონაწილეთა ბერლინში ჩასვლასთან დაკავშირებული ყველა დეტალი. დილის 9 საათიდან ღამის პირველ საათამდე მან კულტურის სამინისტროში დაჰყო. აქ იყვნენ შეკრებილი გდრ-ის მიმავალი კოლექტივების ხელმძღვანელები, დელეგაციების მთელი შემადგენლობა, ჩვენი შტაბის წევრები, პრეს-ჯგუფის მუშაკები და საქართველოს კვ ცენტრალური კომიტეტის წარმომადგენლები. საბოლოო კორექტურა გაუკეთდა ყველა ღონისძიებას, დაუსტადა დელეგაციების შემაღენლობა და, რაც მთავარია, გერმანული აკრამბულიობით დაისახა გვეგმა თუ როგორ დაგვეგდებოდნენ ქ. ბერლინის ადმოსალეთის ვაგზალზე, ვის რომელ სასტუმროში მოათავსებდნენ, ვინ გაემგზავრებოდა ქ. ბერლინიდან

დაუყოვნებლივ ქ. დრეზდენს, კარლ-მარქს-შტადტს, გერასა და ზულს. ვ. შნაიდერმა სხვადასხვა ქალაქში გასამგზავრებელათვის სხვადასხვა ფერის ნიშნებიც კი ჩამოიტანა, რომ არავის შემლოდა.

ეს იყო დიდი მოსამზადებელი სამუშაოს უკანასკნელი აკორდი.

დადა პირველი ნომბერიც...

430 ქართველი ხელოვანი, მომღერალი, მოცეკვავე, მწერალი, კომპოზიტორი, მხატვარი, არქიტექტორი, ჟურნალისტი, მსახიობი, კინოსა თუ ტელევიზიის მუშაკი დიდი კულტურული მისიით, მეგობრულად მოეფინა გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკას.

დაიწყო ქართული კულტურის დიდი ზეიმი ევროპის ცენტრში, იმ ქვეყანაში, რომელსაც არაერთხელ აღუფრთოვანებია კაცობრიობა თავისი დიდი მწერლობით, ფილოსოფიით, მუსიკითა და, საერთოდ, კულტურით.

ქართული კულტურის დღეების ყოველ მონაწილეს მშენივრად ჰქონდა ყოველივე ეს შეგნებული და გათვალისწინებული. კარგად იცოდა, სად და რისთვის მიდიოდა, ეს-მოდა, რომ გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში იგი არა მარტო საქართველოს განსახიერებდა, არამედ მივლსაბჭოთა კავშირს — დიდი ლენინის ქვეყანას.

ეს შეგნება და მაღალი მოვალეობა ხელმძღვანელობდა ყოველი ქართველი კაცის მოქმედებას, მაგრამ ისე, რომ უშუალობას არ უკარგავდა მის საქციელს, არ ბოჭავდა. აქ გამოვლინდა სწორედ საბჭოთა ადამიანის თვისება, იყოს

უაღრესად ორგანიზებული, იმოქმედოს ძალთა მთელი დაცაბებით, საქმეს მოახმაროს მთელი ნიჭი და უნარი, მაგრამ ამავე დროს იმოქმედოს ლაღად, ასე, როგორც ჭეშმარიტ ხელოვანსა და კულტურის მოღვაწეს შეჭფერის.

ქართული კულტურის დღეების პირველი ოფიციალური ღონისძიება, რომელიც ბერლინში გაიმართა, ეს იყო საქართველოს გამოყენებითი ხელოვნების გამოფენის გახსნა კოპენიკის მუზეუმში 1 ნოემბერს, დილის 11 საათზე.

ამ გამოფენაზე წარმოდგენილი იყო თანამედროვე ჭედური ხელოვნება და კერამიკა, ზეუ ნამუშევრები და ქსოვილები. ექვს დარბაზში ლაღად გაშლილი ექსპონატები ყოველი მნახველის წინაშე შეტყვევებდნენ, რომ მათი შემქმნელი ხალხი ძველთაძველი და დიდი ტრადიციების მქონეა, რომელიც ახლა დიდი რუღუნებითა და სიყვარულით დასტრიალებს თავს ყოველივე საუკეთესოს, რაც წარსულს მისთვის უბოძებია და ახალი ცხოვრების შესამკობად იყენებს ამ ხელოვნებას, ხალხისავე წიაღში შობილსა და განვითარებულს.

ეს გარემოება მშენივრად იგრძნეს და შეითვისეს იქ დამსწრე გერმანელმა ინტელიგენტებმა, ხელოვნებისმცოდნეებმა და კულტურის მუშაკებმა.

წინ იყო ქართული კულტურის დღეების საზეიმო და ოფიციალური გახსნა ბერლინის სახალხო თეატრის შენობაში საღამოს 7 საათზე.

ეს საათიც დადგა.

განუზომელი იყო ყოველი იქ დამსწრე ქართველი კაცის

ი. ლოლუა.

ოცნება.



მღელვარება. ბევრი კარგი სიტყვა თქვა იმ საღამოზე მისალმებით გამოსულმა გდრ-ის კულტურის მინისტრმა კლაუს გიზიმ და მის საპასუხოდ საქართველოს სსრ კულტურის მინისტრმა ო. თაქთაქიშვილმა.

მცირე შესვენების შემდეგ დაიწყო საქართველოს სიმღერისა და ცეკვის დამსახურებული ანსამბლის კონცერტი. წარმატება არაჩვეულებრივი იყო.

პირველ დღესვე დამყარებული შესანიშნავი განწყობილება და ურთიერთგაგება ქართველ ხელოვანთა და გერმანელ მსმენელ-მაცურებელთა შორის შემდეგ არც ერთი წამით არ შენელებულა. გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას, რომ ქართული კულტურის ღონისძიებებს, ე. ი. კონცერტებს, გამოფენებს, ლექცია-მოსხენებებსა და შეხვედრებს ყოველდღიურად ესწრებოდა სულ ცოტა 50 ათასი კაცი, მათ გარდა, ვინც რადიო-ტელევიზიით უსმენდა და უყურებდა. ასევე შეიძლება ითქვას, რომ გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში არ ყოფილა არც ერთი ისეთი კონცერტი თუ გამოფენა, რომელსაც დიდი წარმატება არ ხელოვდა წილად.

ქართული კულტურის ათმა დღემ ნამდვილად „შესძრა“ გდრ-ის მოსახლეობის ყველა ფენა. დიდი სიყვარული და პატივისცემა ჩაუნერგა მას ჩვენი კულტურისა და ხალხისადმი. ამ დღეებისათვის დამახასიათებელი იყო დიდი პოლიტიკური აღმავლობა, ნამდვილი მეგობრობის სულისკვეთება და ისეთი დაახლოება ადამიანებისა ადამიანებთან, რომელსაც მომავალში მხოლოდ სასიკეთო შედეგი შეიძლება მოჰყვებ.

ამიტომაც მსურს მკითხველებს გაეუზიარონ შთაბეჭდილებები ცალკეულ გერმანელ მეგობრებთან შეხვედრებზე.


შეხვედრა ბერლინში ბევრი მქონდა, მაგრამ მე მხოლოდ ორ მათგანზე მოგიხსნობო.

ბერლინში ჩასვლისთანავე მომძებნა კრისტოფ ფუნკემ, რომელიც ჟურნალისტთა დელეგაციის შემადგენლობაში იყო საქართველოში და მისი გაზეთის სახელით მთხოვა ვსტუმრებოდი რედაქციას. თან ოფიციალური წერილიც გადმომა, რომელსაც ხელს აწერდა გაზეთ «Der Morgen»-ის მთავარი რედაქტორი — გერჰარდ ფიშერი. რედაქციაში მისვლა მხოლოდ ერთი კვირის შემდეგ მოვახერხე და უკეთესიც გამოდგა, რადგან სალაპარაკო ახლა უფრო მეტი გვქონდა, ვიდრე პირველ დღეებში.

გ. ფიშერი ფრიად განათლებული კაცი და საინტერესო მოსაუბრე აღმოჩნდა. მას ბევრი რამის გაგება სურდა ჩემგანაც. საუბარი სამ საათს გაგრძელდა. ლაპარაკი იყო საქართველოს ისტორიის, ლიტერატურისა და ქართული შრიფტის შესახებ. მერე გერჰარდმა მითხრა:

მე ძალიან გამიტაცა თქვენი ხალხის გაცნობის სურვილმა. საქართველოს ისტორია ჩემთვის სრულიად უცნობი და, უფრო სწორად, ბნელით მოცული რამ იყო. მაგრამ, მოვისმინე ქართული სიმღერები, ვნახე ქართული ცეკვები, თვალი შევაველე ქართულ ჭადვრობას, ფოტოებით გავეცანი ძველსა და ახალ ქართულ ხუროთმოძღვრებას და ასე მგონია, რომ ქართველი ხალხის საუკეთესოდ დაწერილ ისტორიას დავეწავე, მის სულში ჩავიხედე.

რ. არუთინოვი.
სკანეთი.





ჩემთვის ნათელი გახდა, რომ ქართველი ხალხი მთელი თავისი ბუნებითა და არსებით შემოქმედით ხალხი ყოფილა კულტურის ყველა სფეროში და ის სამნივლი ძმელ-მეღმბა რომ არ განეცადა საუკუნეთა მანძილზე, რის შესახებაც თქვენ ასე მოკლედ გვიამბებთ, სულ სხვა ადგილს მოიპოვებდა მსოფლიოს ხალხთა შორის. არ იფიქროთ, რომ ჟურნალისტურ ჭაბინაურს გეუბნებით. ეს ჩემი გულწრფელი აზრი და რწმენაა, ქართული ხელოვნების გაცნობით გამოიწვეული. მე და ჩემს კოლეგებს (საუბარს ხუთი გერმანელი ესწრებოდა) გესურს შეძლებისდაგვარად უკეთ გავცნოთ ქართულ კულტურას და გავაცნოთ იგი ჩვენ ხალხსაც. ჩვენს გახუტოს აქვს თავისი წიგნის გამოცემლობაც. ამიტომაც მე და ჩემი კოლეგა ვოლფგანგ ტენცლერი, რომელიც სწორედ წიგნის გამოცემლობის დირექტორია, მოგმართავთ თხოვნით, რომ დაგვიხსალოთ და რეკომენდაცია გაუწიოთ რომელიმე თანამედროვე ქართულ რომანს, რომელსაც ჩვენ ვითარებთ და გამოცემთ.

ამ თხოვნაშიც ისეთი გულწრფელობა და შეგობრული კეთილგანწყობილება იგრძნობოდა, რომ მე სრულიად უნებურად რაღაც ორი-სამი საათის წინათ გაცნობილ ადამიანს ძმა ვუწოდებ და ამის გამო მადლობის გადახდაც აღარ მივიჩნიე საჭიროდ საინტერესო საუბრისათვის, კარგი მასპინძლობისათვის, ჩვენი კულტურის დაფასებისა და მასზე ზრუნვისათვის.

ასე, მადლობის უთქმელად, გამოვედი გერპარდ ფიშერის კაბინიდან, დიდი ადამიანური სითბოთა და სინაზრულით აღტანებული და ამავე დროს დარწმუნებული, რომ ამ მართლაც და ძმურად გამართულ შეხვედრა-საუბარს ბევრი კარგი რამ მოყვებოდა მომავალში.

ამს. პატივი გდრ-ის სოციალისტური ერთიანი პარტიის ც-ის მიღვინია იდეოლოგიის იბრგუმი და პოლიტიკურის წევრი. მან მიღება გაგვიმართა 1969 წლის 10 ნოემბერს ც-ის შენობაში. მიღება ესწრებოდა ოფიციალური დელეგაცია: თ. თაქათაშვილი (მთელი), ვ. კუპრაძე და გ. მელაქვი, აგრეთვე რ. დვალი, მე და ვ. ჭიაურელი. მიღებაზე მიწვეული იყო საბჭოთა კავშირის ელჩი გდრ-ში ამხ. აბრაშიძევი და საელჩოს კულტურის განყოფილების გამგე პ. რიძოვი.

მიღებაზე ვრცელი სიტყვა წარმოთქვა ამხ. პავერმა, რომელიც განსაკუთრებით ჩამჩრა მესხიერებაში. კ. პავერმა ფაქტიურად ანალიზი გაუკეთა ქართული კულტურის დღეებს გდრ-ში და შეეხო ყველა მის ასპექტს. მან თქვა: ყველაფერი, რასაც მე მოგახსენებთ, მხოლოდ ჩემს პირად შთაბეჭდილებებს არ ემყარება. მე, რა თქმა უნდა, ვერ შევძელი, რომ ყველაფერი მენახა და მომიხმინა, იმდენად ფართოდ და მრავალმხრივად იყო წარმოდგენილი თქვენე კულტურა ჩვენს რესპუბლიკაში. მაგრამ პირადად ჩემს მიერ ნახასა და განცდილს ემატება თითქმის სრული ინფორმაცია გდრ-ის ხუთივე ოლქიდან, სადაც თქვენი კულტურის დღეები ტარდებოდა. ეს ინფორმაცია ემყარება გდრ-ის კულტურის სამინისტროს მონაცემებს, ჩვენი კულტურის ცალკეულ გამოჩენილ მოღვაწეთა აზრს და შთაბეჭდილებებს, პრესის, რადიოსა და ტელევიზიის ხელ-

ძღვანელთა შეფასებას. და ყოველივე ამის გათვალისწინებით გულახდილად და პირუთენელად უნდა გითხრათ, რომ საქართველოს სსრ კულტურის დღეები ჩვენს რესპუბლიკაში დიდი მოვლენაა ერთგორვე პოლიტიკური, ისე, საერთოდ, სასოციალურად და, რასაკვირველია, განსაკუთრებით კულტურული თვალსაზრისით. პირდაპირ გეტყვით, რომ კულტურის დღეები ასე მაღალ დონეზე ჩვენთან აქამდე არ ჩატარებულა. მე ვისრუვედი, რომ ამავარი მაღალი დონე შემდეგაც შეგვეწარჩუნებინოს. ეს დონე საკვებით შეეფერებოდა იმ დიდ დღესასწაულს, რომელიც ჩვენ ერთო თავის წინათ გვერნდა ჩვენი მუშაკ-გლეხური სახელწიფოს დაარსების 20 წლისთავთან დაკავშირებით და იმ გრანდიოზულ სამზადისსაც, რომელსაც გენიალური ლენინის დაბადების 100 წლისთავი იმსახურებს.

ყოველივე ამის გამო მე არ შემიძლია დიდი მადლობა ყო გადავუხადო ჩვენს ქართველ მეგობრებს და ხაზი არ გაუვსა იმ მასშტაბურ მოსამზადებელ სამუშაოებს, რაც მათ ჩატარებით ჩვენთან ჩამოსვლამდე და რაც ასე კარგად იგრძნობა ყოველი კოლექტივის თუ სოლისტის განცხვლაში, მრავალრიცხოვანი გამთვინების მაღალ ხარისხში და მათი გამართვის კულტურაში. განსაკუთრებით ქების ღირსია კოლექტივების შესანიშნავად შერჩეული და დახვეწილი რეპერტუარი და გამოყენების თემატიკა.

აქვე უნდა გავიზიარო ერთი აზრი, რომელიც აგრეთვე მარტო ჩემი, პირადი აზრი არ არის. ყოველივე იმის შემდეგ, რაც ამ თუ დღეები უნახეთ და განეცადეთ, ჩვენ იმ დასკვნამდე მივდივით, რომ კულტურის დღეების ჩატარება სწორედ ამ სახით არის უფრო მიზანშეწონილი და სასურველი ჩვენი ხალხისათვის. მართლაც, გდრ-ის მოსახლეობის დიდი ნაწილი ახლა სრულყოფილად გაეცნო საბჭოთა კავშირის ერთ-ერთი რესპუბლიკის, კერძოდ საქართველოს, უძველესსა და ახალ სოციალისტურ კულტურას და დარწმუნდა, თუ რა დიდი ძალა ჰქონია ცხოვრებაში ლენინის გენიალურ ნაციონალურ პოლიტიკას.

ჩვენი ყურადღება მიიპყრო აგრეთვე ერთმა გარემოებამ. სასულდობრ, იმ სინთეზმა, რომელიც გვიჩვენებთ თქვენი ხალხის ძველ კულტურულ ტრადიციებსა და ახალ სოციალისტურ კულტურას შორის. უნდა გითხრათ, რომ ეს გარემოებები დღესასწაულს გაგვიტყდა ჩვენს იდეოლოგიურ ბრძოლაში დასავლეთის ქვეყნებთან და, კერძოდ, დასავლეთ გერმანიასთან. თქვენითვის უფრო გასაკვირი რომ იყოს, თუ რას ვგულისხმობთ ამ შემთხვევაში, ასე გეტყვით: დასავლეთ გერმანიის, ისევე როგორც ბევრ სხვა კაპიტალისტურ ქვეყანაში, ამჟამად მიმდინარეობს კულტურის ამერიკანიზაცია, ანუ ადამიანის სულიერი დაქვეითების სრული გამოვლინება როგორც მუსიკაში, ისე მხატვრობაში და განსაკუთრებით ცეკვებას და მრავალნაირ გასართობში. მთავარი ის არის, რომ ყველგან და ყველაფერში ხაზგასმულია იგრძნობა უგულბელოყოფა და უარყოფა ძველი და დიდი კლასიკური კულტურის, რომელიც, მათი აზრით, თანამედროვე ადამიანს უკვე აღარაფერში არცა. ასეთია ძირგამომავალი და ამავე დროს უპერსპექტივი ადამიანების ფილოსოფია. წარსულში მათ არაფერი აინტერესებთ, რად-

გან მომავალშიც ვერაფერს ხედავენ სასიკეთოს და ამიტომ ყოველდღე ახალ-ახალ რამეს იფიქრებენ თავის შესაქცევად. და აი, ამ ხდრდომ თქვენ შესანიშნავად გვიჩვენეთ და ამას კარგად ხედავდნენ დასავლეთ ბერლინსა და დასავლეთ გერმანიისთვის, რომ ახალი ცხოვრების მშენებელი ადამიანები არა თუ უარყოფენ, არამედ პირიქით, ბრწყინვალე იყენებენ ყოველივე იმას, რაც საუკეთესო შეუქმნია მათ წინაპრებს ათასი წლების მანძილზე, თან იმგვარად უპაემებენ მას ახალ სოციალისტურ ყოფასა და კულტურას, რომ ეს სინთეზი სულიერად და ფიზიკურად ჯანსაღი ადამიანისათვის წარმატება და მომავალდობელია.

ეს სინთეზი დავინახეთ არა მარტო თქვენს ცეკვებსა და სიმღერებში, არამედ თქვენს მხატვრობასა და ჭედურ ხელოვნებაში და, ასე გასინჯეთ, თქვენს საესტრადო ნიმუშებშიც, სადაც სრულიად ახალ ფორმში იჭრებოდნოდა კარგი ტრადიციების შენარჩუნება, ნამდვილი აზრი და გრძობა.

იმავე მიღებაზე ამხ. კურტ ჰაგერთან მოკლე სიტყვიო გამოვიდა საბჭოთა კავშირის ელჩი გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში ამხ. აბრაჰიმოვი, რომელმაც მალაოი შეფასება მისცა ქართული კულტურის დღევანდელ გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში, დიდი წარმატება მიუღოცა მის მონაწილეებს. ელჩის ამგვარი შეფასებაც არ გამოსატყავს მარტოდენ მის პირად აზრს, თუმცა უნდა ითქვას, რომ იგი დროს პოულობდა, რათა დასწრებოდა ქართული კულტურის დღევანდელ თითქმის ყველა ძირითად ღონისძიებას ბერლინში. მაგრამ ამავე დროს იგი ითვისწინებდა გერ-ში აგრედიციულ სხვა სახელმწიფოების წარმომადგენელთა შთაბეჭდილებებსა და შეხედულებებსაც.

ყოველივე ამის გამო ჩვენ სრული უფლება გვაქვს დავასკვნათ, რომ ქართულმა კულტურამ საყოველთაო აღიარება მოიპოვა ევროპის ცენტრში და თითქმის შეიძლება აქ წარტილიც დაგვესვა, მაგრამ არის კიდევ ერთი გარემოება, რომელიც განმარტებს მოითხოვს.

ზოგ ამხანაგს საქართველოში, თუ მის გარეთ, ჰგონია, რომ ქართული კულტურის დღევანდელი წარმატება გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში განაპირობებს ქართულმა ცეკვებმა და სიმღერებმა და ამის გამო ჩვენს ქვეყანას მოცუვევთა და მომღერალთა ქვეყანა შეარქვეს. ამ გამოთქმაში არის სიმაართლის მარცვალი, მაგრამ ამავე დროს იგი მცდარია და დიდ სიმაართლეს მოკლებული.

უდავოა, რომ ქართული კულტურის დღევანდელი წარმატებაში სასეებით გარკვეული და დიდი როლიც ითამაშა ქართულმა ცეკვა-სიმღერამ, რადგან მსმენელ-მაყურებელთა მომეტებელი უმრავლესობისათვის ის იყო გადამწყვეტი ფაქტორი ქართული კულტურაზე საერთო შთაბეჭდილების მისაღებად. ესეც არ იყო, ქართული სიმღერა და ცეკვა ჩვენი ხალხის გენიალური ფეროშენება, რომლებიც ბრწყინვალედ გამოხატავენ ქართველი ერის მრავალსაუკუნოვან

კულტურას, დახვეწილობასა და სიფაქიზეს, ქართველი ვაგაკურ შემარობასა და სულიერ სიმდიდრეს. ეს ყველაფერი მშვენიერად დინახა, განიცადა და შეაფასა გერმანულმა მაყურებელმა, რომელმაც ნახა აგრეთვე ქართული სახეითი ხელოვნების დიდოსტატების: ნ. ფიროსიანიშვილის, ლ. გუდიაშვილის, დ. კაკაბაძის, ელ. ახვლედიანის, ირ. ორიაშვილის, კ. გურულიას და სხვათა ბრწყინვალე ნამუშევრები. აქ იყო წარმოდგენილი ფერწერა, ქანდაკება, გრაფიკა, ჭედურობა, კარიმიკა და ხეზე ნამუშევრები.

ათი დღის მანძილზე გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის უმნიშვნელოვანეს კულტურულ ცენტრებში ეჭურდა არა მარტო ქართული ხალხური სიმღერები, არამედ ქართული სიმფონიური, კამერული და საესტრადო მუსიკაც, ხოლო ე. ვირსალაძემ, ლ. ისაკაძემ, მ. იაშვილმა, მ. ამირანაშვილმა, ლ. ჭყონიამ, ნ. ანდლუაძემ, ზ. სტეკილაძემ, ც. ტატიშვილმა და სხვებმა აღტაცებაში მოიყვანეს მსმენელები მსოფლიო მუსიკალური კულტურის საუკეთესო ნიმუშების მაღალ დონეზე შესრულებით.

ჩვენმა გერმანულმა მეგობრებმა საქართველოს ისტორიასა და კულტურაზე მოისინეს ქართველი მწიფიერთა ლექციები და მოხსენებები. არა ერთი და ორი ქართველი მეცნიერი ესაუბრებოდა გერმანულ ენაზე აუდიტორიას.

ათათასობით მაყურებელმა ნახა ქართული ფოლკები, ხოლო მილიონობით გერმანულმა ნახა და მოისინა რადიოტელევიზიის პროგრამები, რომლებიც ქართულ კულტურას მიეძღვნა.

კულტურის დღევანდელი დიდად შეუწყო ხელი ქართული სიტყვაკავშირი მწერლობის გაცნობას გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში. სწორედ ნოემბრის პირველ დღეებში გამოვიდა გერმანულ ენაზე კ. გამასხურდიას „დიდოსტატის მარჯვენა“, მაღე გამოვა „ეფუხისტყოსინის“ გერმანული თარგმანის მეორე გამოცემა. თითქმის მზად არის გამოსაცემად ქართული პროზისა და პოეზიის ანთოლოგიები. ითარგმნებს რამდენიმე ქართული პიესა. ზოგი მათგანი დაიბეჭდება ან დაიდგმება. კულტურის დღევანდელ ათასობით კაცმა ნახა გამოფენა „ქართული ლიტერატურა მეზუთე საუკუნიდან დღემდე“.

ყოველივე ეს, ერთად აღებული, სწორ წარმოდგენას უქმნის და გერმანულ ხალხს ქართული კულტურის უძველეს საწყისებზე და მისი განვითარების მრავალმხრივობაზე.

* * *

ქართული კულტურის დღევანდელი გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში ერთსა და იმავე დროს დიდმნიშვნელოვანი ეროვნული და ინტერნაციონალური მოვლენა იყო. მან ღრმა კვალი დატოვა ორივე ხალხის კულტურულ ცხოვრებაში და პირნათლად შეასრულა თავისი უპირველესი პოლიტიკური მისია — იყოს ხალხთა მეგობრობის და ურთიერთგაგების მიკვლევა და მესვეურიც.



რეჟისორი ვალტერ ფელშენშტეინი.

მუსიკალური თეატრის დიდი რეჟოზმატორი

გიზო ჟორდანიას

ბერლინის „კომიე თეატრის“ სამხატვრო ხელმძღვანელი და დირექტორი ვალტერ ფელშენშტეინი მოსკოვის კ. სტანისლავსკისა და ვ. ნემიროვიჩ-დანჩენკოს სახელობის სახელმწიფო აკადემიურ მუსიკალურ თეატრში ბიზეს ოპერა „კარმენს“ დგამდა. საშუალება მომეცა დაგსწრებოდი რეპეტიციებს, გავცნობოდი ვ. ფელშენშტეინის მუშაობის მეთოდებს. შთაბეჭდილებების გაზიარების სურვილი აღმედრა — შევეცდები მკითხველს გაგაცნო ამ რეჟორმატორის ზოგიერთი მოსაზრება თანამედროვე მუსიკალური თეატრის შესახებ.

დიდმა რეჟისორებმა — კ. სტანისლავსკიმ და ვლ. ნემიროვიჩ-დანჩენკომ, ვ. ვახტანგოვმა, ვ. მიერჰოლდმა, ბ. ბრეტკმა, ე. მარჯანიშვილმა და ა. ახმეტელმა ძირფესვიანად გარდაქმნეს თეატრის სტრუქტურა, შეიმუშავეს გამომსახველობის ახალი სისტემა, ჩამოაკალიბეს მსახიობთა მუშაობის საკუთარი მოძღვრება, შექმნეს დიდი საზოგადოებრივი ქვრივობის ახალი თეატრი. ნოვატორ-შემოქმედელმა ამ ჯგუფს მიეკუთვნება პროფესორი ვალტერ ფელშენშტეინიც.

მუსიკალური თეატრის გარდაქმნის პროცესი დიდი ხანია ვითარდება. მისი პირველი „მეამბოხენი“ კ. სტანისლავსკი და ვლ. ნემიროვიჩ-დანჩენკო იყვნენ. მათ მიერ დაარსებული საოპერო და მუსიკალური სტუდიებით საფუძველი ჩაეყარა ახალი ტიპის მუსიკალურ თეატრს (ამ ორი სტუდიის გაერთიანების საფუძველზე ჩამოყალიბდა მოსკოვის კ. სტანისლავსკისა და ვლ. ნემიროვიჩ-დანჩენკოს სახელობის სახელმწიფო აკადემიური მუსიკალური თეატრი). ამის ფელსაინო მაგალითებია კ. სტანისლავსკის საოპერო სტუდიის სპექტაკლები: „ევენი ოფენი“, „სევილიელი დალაქი“, „რიგოლეტო“, ვ. ნემიროვიჩ-დანჩენკოს მუსიკალური სტუდიის დადგმები: „ქალბატონი ანკო“, „პერიკოლა“, „კარმენსიტა და ჯარისკაცი“.

ამ სტუდიებში გადაიდგა პირველი სერიოზული ნაბიჯები ქედით-აზრობითი მუსიკალური თეატრის შექმნისაკენ. ორივე სტუდიამ საყოველთაო აღიარება ჰპოვა არა მარტო სამშობლოში, არამედ მის საზღვრებს გარეთაც — დიდი წარმატებით ჩატარდა ნემიროვიჩ-დანჩენკოს სტუდიის გასტროლები ამერიკაში.

გრანდიოზული მასშტაბი ჰქონდა კ. მარჯანიშვილის მიერ ჩამოყალიბებულ თავისუფალ თეატრს. მის მიერ დადგმული „მშვენიერი ელენე“ წარმოდგენილი იყო უზრუნველ, ხატოვანი ფანტაზიითა და ბრწყინვალე რეჟისორული გაქანებით, იგი სინთეზური თეატრის შესანიშნავ ნიმუშს წარმოადგენდა... საინტერესო იყო ვ. მეიერჰოლდის ცდები. განსაკუთრებით აღსანიშნავია მისი მუშაობა კ. სტანისლავსკისთან ერთად ვერდის ოპერა „რიგოლეტოზე“. თანამედროვე სინთეზური თეატრის განვითარება ვანაპირობა XX საუკუნის დიდი რეჟისორის, დრამატურგისა და თეატრტიკოსის ბერტოლდ ბრეჰტის შემოქმედებაში.

ვ. ფელზენშტეინმა განავითარა კ. სტანისლავსკისა და ვ. ნემიროვიჩ-დანჩენკოს საუკეთესო ტრადიციები, გააღრმავა და ახალ ხარისხში აიყვანა საოპერო თეატრის სტანისლავსკისეული რეფორმა. მან მიავნო მუსიკალური სახის ჩამოყალიბების ახალ გამომსახველობით საშუალებებს, შექმნა მსახიობთან მუშაობის საკუთარი და მეტად საინტერესო მეთოდი, დღის წესრიგში დააყენა მუსიკალური პარტიტურის ავტორისეული კონცეფციის საფუძვლიანი გააზრების საკითხი. მუსიკალური თეატრის ამ „რეოლუციონერმა“ (მას ასე უწოდებენ დასავლეთში) თავისი შემოქმედებით დაამსხვრია დროშოჭმული ტრადიციები, რუტინა და ინტენსიურად წარმართა თანამედროვე სინთეზური თეატრის (როგორც თვითონ ამბობს, უნივერსალური თეატრის) განვითარების პროცესი. ვ. ფელზენშტეინის შემოქმედებარომ არა, ეს კანონზომიერი პროცესი საგრძნობლად შეგვიანდებოდა.

ამრიგად, ვ. ფელზენშტეინი ავივრგვინებს წინამორბედთა ძიებებს და ქმნის ახალი ტიპის თანამედროვე მუსიკა-

ლურ თეატრს. ეს ხდება იმ პერიოდში, როდესაც მრავალი კრიტიკოსი მუსიკალურ თეატრს გადაშენებას უკადის. ამ ახალ თეატრს ვ. ფელზენშტეინმა „Komischen Oper“-ა შეარქვა.

როგორ შეიქმნა „კომიშე ოპერა“? მეორე მსოფლიო ომის დამთავრების შემდეგ საბჭოთა სამხედრო ადმინისტრაციამ ბერლინში რეალისტური მუსიკალური თეატრის შექმნის სურვილი გამოთქვა.¹ თეატრალურ მოღვაწეთა ერთ ნაწილს ნაწვრევებად ქცეულ ქალაქში მესამე მუსიკალური თეატრის შექმნა არარეალურად შიანდა, მაგრამ სკეპტიკოსებს მწვედველობიდან გამორჩათ თეატრის ხელმძღვანელის — ვ. ფელზენშტეინის დაუცხრომელი შემოქმედებითი ბუნება, მისი პირადი თვისებები: დიდი შემოქმედებითი პოტენცია და ნიჭი, უტყუარი რეჟისორული ალღო და ბრწყინვალე აქტიორული მონაცემები, სატანური თვითდისციპლინა და უღვევი ენერჯია (ეს უკანასკნელი მას დღესაც აძლევს საშუალებას 9-10 საათის განმავლობაში შეუსვენებელი იმუშაოს მთელი დატვირთვით). უკვე მაშინ მას კონკრეტულად ჰქონდა გააზრებული მოშავალი თეატრის სტრუქტურა, სახე, მისი ამოცანები.

საბჭოთა სამხედრო ადმინისტრაციისა და თვით გერმანელი ხალხის მხარდაჭერით ვ. ფელზენშტეინმა „ფანტასტიკა“ სინამდვილედ აქცია. დაარსებისთანავე „კომიშე ოპერა“ შეუდგა თავისი მხატვრული პრინციპების განხორციელებას და გააჩადა ბრძოლა მუსიკალური თეატრის რუტინის წინააღმდეგ.

ვ. ფელზენშტეინის უმთავრესი ამოცანა იყო შეექმნა თა-

¹ Вольфганг Хаммершмидт — «Комише Опер», Москва, 1965, გვ. 2.

ვ. ფელზენშტეინი რეპეტიციის დროს.



ნამოაზრეთა მტკიცე კოლექტივი, რომელიც თავადღებით ჩაებმებოდა თანამედროვე რეალისტური თეატრის მშენებლობაში. ამ თეატრის ძირითად პრინციპად მან აღიარა მალე იდურობა და ჭეშმარიტად მხატვრული სიმართლე. არავითარი „ლაშაში“ დეკორაციები, ყალბი, ყურთი მოორეული სიმბოლიკა და ოპერული მულოდრამატის², მუსიკალურ თეატრში მე მომიყვანა საოპერო დადგმების ტრადიციული უმინარსობისადმი პროტესტმა, მაგრამ ეს როდინმა მისთვის მუსიკალური ფორმის უკრძალველყოფას. მე ფაქტიურად სიმართლის მიმდევარი ვარ, რადგან ფორმა სიმართლის გარეშე არაფერია.³

ვ. ფელზენშტეინი პარტიკულის ღრმა შესწავლას მოითხოვს. მუსიკალური თეატრების მუშაობაში დაშვებული ლაფსუსები აიძულებენ მას ამტკიცვის ეს აქსიომა. ვ. ფელზენშტეინი ამბობს: „ფორმა განისაზღვრება სიმართლით, რომელსაც „სიტყვისატიკციით წაკითხვით“ ვაღწევთ.⁴ ამ დროულადვე განსაკუთრებით საყურადღებო გამოთქმა „სიტყვისატიკციით წაკითხვა“. საოპერო ხელოვნებაში ძალზე ხშირად ხდება საოპერო ნაწარმოებზე შექმნილი აზრის კონსერვაცია, თაობიდან თაობას უცვლელად გადაეცემა სპექტაკლის მუსიკალურ-სცენური კონცეფცია. დეკანოზებული ტრადიციების რევიზია, მათი განახლება ძალზე იშვიათად ხდება ხოლმე. მაგალითების მოტანა მრავლად შეიძლება თეატრალური პრაქტიკიდან.

ვ. ფელზენშტეინის შემოქმედება ასეთი დღემების დამსხვრევის შესანიშნავი მაგალითია. თვალსაჩინოებისათვის აღნიშნავთ მის დადგმებს: ბიზეს „კარმენი“, ვერდის „ტრაიკალი“, მოცარტის „ჯადოსნური ფლეიტა“, სმეტანას „გაიყიდული საცლოლი“. საილუსტრაციო მიგანათობი „კარმენს“, რომლის ფელზენშტეინისეული დადგმა კრიტიკამ აღიარა ბიზეს ოპერის ახლებური გააზრებისა და გადაწყვეტის ძალზე საინტერესო ნიმუშად. ყური დაუვადო დადგმის ავტორს: „მე, უპირველეს ყოვლისა, მიაყენებს ის გარემოება, რომ ყველა პაქეტირობას და შეხედულებას ჩანს მიდრეკილება განიხილო ჩვენი ნამუშევარი, როგორც „ახლებური წაკითხვა“, თითქოს საქმე ეხებოდეს ექსპერიმენტს, რომელსაც ცნობილ ნაწარმოებზე ვასდენთ. ნაწარმოებზე, რომელსაც თავისი კანონზომიერი ფორმა აქვს. სინამდვილეში კი პირიქით ხდება. მიგვწონს თუ არა აღნიშნული რედაქცია, იგი, სახელდობრ, ოპერის ის ფორმა, რომელიც ბიზემ ჩაიფიქრა. ხომ საყოველთაოდ არის ცნობილი, რომ რეინტატიული რედაქცია კომპოზიტორის გარდაცვალების შემდეგ შეიქმნა. საქმე ეხება არა გადაამუშავებას, არამედ შესაძლებლობას უფრო უსუსტად თავგანმირიყო ფრანგული ორიგინალი, რომელიც თავის წინამორბედთან განსხვავებით უფრო მეტად რეალისტურსა და ღრმად. პირველ რიგში, საჭიროა გაიარევეს, რატომ მოხდა ნაწარმოების რადიკალური ცვლილება ბიზეს სიკვდილის შემდეგ, რაც „კარმენის“ პრემიერას მოჰყვა. ორიგინ-

ნალური რედაქცია — პროზაული ეპიზოდებით, უნდა განსხვავებულ მითოვინილებებს უყენებს თეატრალურ კოლექტივს. რაღა თქმა უნდა, ოპერის ყველა მომღერალს არ ძალუძს ილაპარაკოს პროზით. და მერე, მოქმედება ორიგინალური რედაქციის მიხედვით უფრო ლოგიკურა და გაცილებით დიდ მითოვინილებებს აყენებს პერსონაჟის ფსიქოლოგიური გაღრმავების თვალსაზრისით. პარიზის საოპერო თეატრის ცენზურ 1875 წელს „კარმენის“ პრემიერის ჩაჯარნა აიხსნება იმ გარემოებით, რომ იმ დროის საოპერო ხელოვნებისათვის ვერისში სრულიად უჩვეულო რამ იყო. უფრო მეტიც, აღნიშნული ნაწარმოების განხორციელება სხვა საოპერო თეატრების ცენზურ წარმოუდგენელი იყო იმ სრულად უპრაბო მიზნის გამო, რომ მათი უმრავლესობა დაუძლეველ წინააღმდეგობათა პირისპირ აღმოჩნდებოდა. ამით აიხსნება, რომ ენესტკ ვირონი, რომელმაც უდიდესი სამსახური გაუწია თავის მეგობარს — ბიზეს, გადააკეთა ნაწარმოები, საგრძნობლად შეცვალა იგი. მაგრამ მის შრომას, რომელიც უდავოდ პატივისცემის ღირსია, მოჰყვა უაღრესად ნეგატიური შედეგები. რა თქმა უნდა, შემოქმედებლის ყურადღების სფეროდან იმ გარემოების გამოთიშვა, რომ „კარმენის“ ცნობილი რედაქციამ ტრიუმფით შემოიარა მსოფლიოს განთქმული საოპერო თეატრების სცენები და მუსიკის მოყვარულთა საყოველთაო აღიარება და სიყვარული ჰპოვა. მაგრამ სწორედ ეს რეინტატიული რედაქცია საგრძნობლად ამახინჯებს დედანს, ამას კი ბიზე, რაღა თქმა უნდა, არასოდეს დათანხმდებოდა.⁵

ახლა აღბათ ნათელია, თუ რატომ დამეკვიდრდა ვ. ფელზენშტეინის შემოქმედებით ლექსიკონში „სიტყვისატიკციით წაკითხვა“ და რატომ ანიჭებს მას რეჟისორი ესოდენ დიდ მნიშვნელობას. ვ. ფელზენშტეინის აზრით, ყველა საკითხზე პასუხი თავად პარტიკურაშია მოცემული. ერთხელ, აწ განსხვავებულმა რეჟისორმა — პ. ზლატოგოროვმა ფელზენშტეინს ჰკითხა:

„ — რა აზრის ბრძანდებით მოედანზე პარალელური სცენების წყობის საკითხზე?“

„ — ყველაფერი პარტიკურაში სწორია“ — მიუგო ფელზენშტეინმა.

მაგრამ ყოველივე ეს დღემა როდია. „შემოქმედებითი მიდგომის გარეშე შეუძლებელია გაერკვე პარტიკურის ლაბორანტივში“, — უთქვამს ვ. ფელზენშტეინს. მართლაც, ფელზენშტეინის ნოვატორბა მხოლოდ ბიზეს ორიგინალის აღდგენაში კი არ მიდგომარებობს, არამედ რეჟისორის და მოქმედებულთა კომპოზიტორის მუსიკალური აზროვნების მიმართ.

პარტიკურაზე მუშაობის პროცესში ფელზენშტეინის წინაშე მუდამ დგას საკითხების მთელი წყება: რას ემსახურება პარტიკურის ესა თუ ის ნიუანსი? ან როგორ ჰქონდა გააზრებული კომპოზიტორის იგი სპექტაკლის ცენზურ ატმოსფეროში? რომელმა კონკრეტულმა ამოცანამ განაპირობა ესა თუ ის ფორმა? ან კითხვების ამოხსნის შემდეგ

² Вальтер Фельзенштейн, «Путь к созданию оперного спектакля», «Коммие Опер», Москва, 1965, зб. 12.

³ იქვე, зб. 20.

⁴ იქვე, зб. 5.

⁵ Вальтер Фельзенштейн, Подлинная Кармен, Берлин, 1947 г.; (გერმანულ ენაზე).

იგი მზად არის სხვადასხვა ფსიქოლოგიური სვლების ძიებისათვის.

როდესაც ვ. ფელზენშტეინი პარტიკულრის ამოსახსნე ფიქრობს, მისთვის მთავარია წარმოების ძირითადი იდეის მიგნება, მისი კონკრეტული ფორმულირება. იგი რელიეფურად აყალიბებს იმ მიზანს, რომლის წარმოსახვაც დადგმის მთავარი ამოცანაა, მას აუცილებლად უნდა მიეკვს აქტუალური, თანამედროვე ყველადაბა.

„თანამედროვე მაყურებელი ყველთვის უნდა ამყარებდეს კავშირს დღევანდელობასა და სცენაზე მოხსნარ მოვლენებს შორის“; — ხშირად უთქვამს ვ. ფელზენშტეინს რეპეტიციებზე. ეს „კომიშე ოპერის“ ერთ-ერთი ძირითადი შემოქმედებითი პრინციპია. დღეს იგი ყველა მუსიკალური თეატრის შემოქმედებით კრედოს უნდა წარმოადგინდეს. მან უნდა იხსნას თეატრალური კოლექტივები იმ დროისაკენ, რომლისთვისაც წამყვანი მომღერლის ვოკალური მონაცემებისა და ტექნიკური შესაძლებლობების დემონსტრირება. ასეთ თეატრში უკუღმელუყოფილია აზრობივი აქცენტუაცია, დიაკარგა დემონსტრაციზმი, ცოცხალი მთავარი მაყურებელთა ფართო მასასთან. ასეთი შემოქმედებითი ერთეულები სამუშეოში ექსპონატებს ემსახურებიან, ისინი ჰგარგავენ სიცოცხლისუნარიანობას.

მუსიკალური თეატრის სპექტაკლიდან მაყურებელმა, ხედვისა და სმენით, ვოკალურსა და აქტიურულ შთაბეჭდილებებთან ერთად თან უნდა წაიღოს ამაღლეველი ფიქრები. სწორედ ამისაკენ ისწრაფვის „კომიშე ოპერა“, რაც მისაბამ მაგალითად უნდა იქცეს პროგრესულად მოაზროვნე თეატრალური კოლექტივებისათვის.

თუ რეჟისორს დასძი არ ეგულება ამა თუ იმ როლისათვის შესაბამისი აქტიურული მონაწილეების შემსრულებელი, ასეთ მსახიობს ეძებენ ყველგან, სადაც კი ხელი მიუწვდებათ „კომიშე ოპერის“ მესაყურებს. მოწვეული მსახიობები „გასტროლიორები“ კი არ არიან, არამედ ისინი პრემიერამდე მთელი დატვირთვით მუშაობენ თეატრში, გადიან ფელზენშტეინის სკოლას, შემდეგ სამშობლოში ბრუნდებიან და ერთდარდო სპექტაკლში მონაწილეობის მისაღებად კვლავ ჩადიან ბერლინში. ან მაღალი პროფესიული დონე, ან ძარაფერი, — ესეც ვ. ფელზენშტეინის შემოქმედების ძირითადი დებულება გახლავთ.

დღეს ვაცხოველებული კამათი მიმდინარეობს — რა უფრო მთავარია მუსიკალურ სპექტაკლში — ვოკალი თუ სიტყვა, მოქმედება თუ მუსიკა. ერთიც მთავარია და მეორეც. რომელიმე მათგანის უპირატესობა ამ ხელოვნების არასწორ გაგებას ნიშნავს. არსებობს მესამე პოზიცია, რომლის აპოლოგეტები თითქმის სცნობენ სათაური ხელოვნების სინთეზურ ბუნებას, მაგრამ მათ პროდუქციაში ეს არ ჩანს. გამოდის რაღაც საშუალო, გაურკვეველი, როგორც იტყვიან ხოლმე — „არც წყალი, არც ღვინო“, ეს მუსიკალური თეატრის მომავლისათვის სახიფათო პოზიციაა.

1947 წლის 23 დეკემბერს თეატრის გახსნასთან დაკავშირებით ვ. ფელზენშტეინი წერდა: „ჩვენ მივიღებთ შევქმნათ ისეთი სპექტაკლები, რომლებშიც სიტყვა და მუსიკა

ერთიანად უფლებამოსილი იქნება. მუსიკას, რომელიც სცენური მოქმედებიდან არ წარმოიშობება, არაფერი აქვს საერთო თეატრთან. წარმოგება, რომელიც ორგანოდ არ უკავშირდება მუსიკას, მისი თანხლებების გარეშე უნდა მიმდინარეობდეს. დრამატული დაბაბულობა იმ სიტუაციას ქმნის, რომლისგანაც მუსიკის გამოცალკეება წარმოადგენელია, ამ დროს სიმღერა იქცევა იმ ერთადერთ შესაძლებელ ფორმად, რომელიც შემოქმედების გრძობებს გამოხატავს. როცა სიმღერა ჩადგმული ნომერია, იგი აქტიურის ვოკალურ შესაძლებლობათა ილუსტრაციას წარმოადგენს. ეს უკანასკნელი კი თეატრის დღესდაცაა. ინსტრუმენტული თანხლების გამოყენება ისე, რომ იგი სცენური მოქმედების დამოუკიდებელ განვითარებას ორგანულად არ უკავშირდებოდეს, უძვირფასესი მუსიკალური მასალის ბოროტად გასაყენებას ნიშნავს.“⁶

თანამედროვე მუსიკალური თეატრი მსახიობისაკენ მოითხოვს ვოკალურსა და აქტიურულ ოსტატობას, პლასტიკურ გამომხატველობას, ემოციური და ინტელექტუალური ნაწიყისთვის ტლფვასოვნებას, შემოქმედებით ენერჯიასა და ნებისყოფას... მუსიკალური თეატრის მსახიობი უნეერსალი უნდა იყოს. ამიტომაც თანამედროვე მუსიკალური რეჟისორი, მსახიობთან მუშაობისას, დიდ სირთულეებთან არის დაკავშირებული.

ფელზენშტეინის თეატრში, ვიდრე რეჟისორი მსახიობებს შეზღუდავს, მას უკვე დასრულებული აქვს მუშაობა დიროჟორთან და მხატვრთან, შექმნილია რეჟისორული ემსპლიკაცია, ჩამოყალიბებულია სპექტაკლის იდეურ-მხატვრული ჩანაფიქრი.

მსახიობთან მუშაობა მაგიდასთან იწყება. აქ ყალიბდება სახე, სახათია, როლის განვითარების ძირითადი ხაზი. მიმდინარეობს მსჯელობა სპექტაკლის ატმოსფეროზე, კონფლიქტებზე, იდეურსა და მხატვრულ მიმართებაზე. მაგიდასთან ხდება ნაწარმოების „გონების თვალთ დაზვერვა“.

მაგიდასთან მუშაობა თეორიული ანალიზით როდი ამოიწურება. იქვე პრაქტიკულად ისინჯება სპექტაკლის წარმისახვისათვის დადგენილი ხერხები, საშუალებები. უსტუდება მუსიკალური ინტერპრეტაციის ყოველი წერილობითი. მაგიდასთან მსახიობი უკვე შესწავლილი ტექსტით მოდის, რაც აუცილებელი პირობაა. როდესაც ყველაფერი სასუქულიანად არის გარკვეული, მსახიობს გააზრებული აქვს როლის შინაგანი ბუნება, მხოლოდ შემდეგ იწყება სარეპეტიციო დადრბაზში ჩანაფიქრის ხორცშესხმა. დეკორაციისა და რეკვიზიტის ყოველი წერილობითი მზად არის, რათა სცენაზე, რეპეტიციების დროს, მსახიობს მუშაობის ყველა პირობა ჰქონდეს შექმნილი — თავიდანვე შეეძლოს სპექტაკლის გაგრძობა, არ მოხდეს მისი ყურადღების გადატანა ტექნიკურ ელემენტებზე. ამ შემთხვევაში მსახიობი ხომ ნერვიულობს, გამოდის „როლიანი“, უაზროდ ინარჩუნებ დრო, ენერჯია, განწყობილება, თავიდან იწყება ელემენტარული საკითხების გარკვევა. ამრიგად, სარეპეტიციო დადრბაზში სპექტაკლი ტექნიკურად უკვე მზად არის. თუ ყოველივე

⁶ Вольфганг Хаммершмидт, «Компше Опер», Москва, 1965, გვ. 2 — 3.

ამას სადადგომო ნაწილი დროულად ვერ უზრუნველყოფს, იგი უკარისხად ითვლება. მთელ შემოქმედებით კოლექტივს აერთიანებს დღეიანი: ყველაფერი მიმავალი სპექტაკლისათვის, მსახიობისათვის. არავითარი შედაგაით არ არსებობს უკარისხო ან შეცდომით შესრულებული დეტალი-სათვის.

მსახიობისათვის კანონია — პარტიკურის ზედმიწევნით საფუძვლიანი ცოდნა, რაც არეგულირებს მის ურთიერთდა-მოკიდებულებას დირიჟორთან. მაშინ მსახიობი აღარ გახ-ნდება დირიჟორის ჯოხის მონა და დირიჟორთან ერთად ტოლფასოდ მონაწილეობს მუსიკალური ინტერპრეტაციის ჩამოყალიბების პროცესში. როდესაც მსახიობი მოქმედებს წყვეტს, ასეთ მომენტს ვ. ფელზენშტეინი პაუზას, უფრო სწორად, „უკაერო სიერცეს“ უწოდებს. ასეთ მომენტში ჩნდება მოქმედების მექანიკური განხორციელების საჭიროება, ირდევდა ხასიათის შინაგანი ლოგიკა და სწორედ აქ თავისდაუნებურად იწყება ხელისონობა.

დრამატული თეატრის მსახიობის მსგავსად მომღერალ-მაც თავისად უნდა გაიხადოს კომპოზიტორის მუსიკალური ტექსტი და აქედნებდეს ისე, თითქოს იმ წაშთ თვით მსახიობში დიაბად სიტყვები, ფიქრები, აზრები, ვ. ფელზენშტეინის აზრით, სპექტაკლმა მაყურებელს უნდა დააიწყოყოს ავტორი, თეატრალურ-ტექნიკური ლაბირინთები. მან უნდა დაიჯეროს, რომ სწორედ ახლა, მის წინ იბადება მუსიკა, გმირი, სცენური სიტუაცია, კონფლიქტები.

„მუსიკა კი არ გბადებთ თქვენ, თქვენი მოქმედება ბადებს მუსიკას“, — ამ შესანიშნავ დებულებას ხშირად მოავლობს ხოლმე ვ. ფელზენშტეინი თავის მსახიობებს. რეჟისორის აზრით მხატვრული სიამაღობის მიღწევა, ჭეშმარიტი ხელოვნების შექმნა მხოლოდ აბსოლუტური თავის-თავადობისა და მხატვრული ექსტაზის დროს არის შესაძლებელი. რისი მიღწევაც ფელზენშტეინს ვ. ფ. „პროგრამის“ (სიმარტონი, რომელსაც მუსიკა ასახავს) გაგრძე შეუძლებლად მიაჩნია. „ჩემი ერთ-ერთი ყველაზე უბედნიერესი აღმოჩენა შემდეგში მდგომარეობს: მსახიობი-მომღერალი მით უფრო თავისუფლად გრძობს თავს როლში, რანდენდაც სწორად და სასუბითი თვისებებს იმას, რასაც მე პროგრამას ვუწოდებ, სხვაგვარად რომ ვთქვათ — იმ სიამაღობის, რომელსაც მუსიკა გამოხატავს. მაშინ ის ჭეშმარიტი სიამოვნებითა თამაშობს... დიას, ის თვით აესტებს და ამიტირებს სწორს იმით, რასაც ჩვენ რეჟისტიციებზე ვქმნით. ეს მიღწევა არა ტრიუკებით, არამედ ქუსტისა და მიმიკის საშუალებით, ეს უკანასკნელი კი ბუნებრივად იბადება, როგორც უარესი კონცენტრაციის შედეგი, როგორც რეაქცია სცენური მოქმედების განვითარებასა ან პარტიკორის ქვევასზე. შემოსულებული არ ექმნება რაიმე ეფექტურ ხერხს, მაგრამ მასში უცერად იღვიძებს ისეთი მობრძობა ან შესტი, რომელიც მხოლოდ სცენური სიტუაციის აბსოლუტურ თავისუფლებაში შეიძლება გამოიყვანდეს. ასეთი წუთები ჩემთვის ყოველთვის ამაღლებულია. ხომ ასე ადვილად წარმოსადგენია, რომ მთელი ჩვენი მუშაობა, ძიებანი, სიზუსტენი და პარტიკურისადმი უკომპრო-

მისო ერთგულება ჰქალავს ყოველგვარ თავისუფლებას. მისეხდავად ამისა, ეს მინც ასეა, ოღონდ იმ პირობით, რომ თქვენ საქმე ნამდვილ მუსიკასთან გაქვთ და ჭეშმარიტად მუსიკალურ მომდგომლთან ერთად მუშაობთ. უაღრესად რთული და შრომატევადი მუშაობის შემდეგ დგება წრეები, როცა მომღერალი თამაშობს, განიცდის და მღერის პარტიკურის ისე, თითქოს იგი თვით იყოს მისი ავტორი. ეს ხდება სწორედ იმ დიდი შრომის შედეგად, რომელიც ნამდვილი შემოქმედებით აღზადრნის იწყებს შემსრულებელში, ბოლოს და ბოლოს ძალდატანების უმაღლეს საფეხურზე მსახიობში ორგანულად თავისუფლდება მუსიკოსი. ასეთ წუთებში — იქნება ეს რეპეტიციაც თუ სპექტაკლში — ავტორი თავის თავში აღმოაჩენს უნდა დაწერილ პარტია და შესრულოს იგი ისე, როგორდაც ეს ჩაფიქრებული და განხორციელებული ჰქონდათ მოცარდა ან ვერდის. მსახიობისა და დირიჟორის კონტაქტთან, თუკი ეს უკანასკნელი შზადა აკვეთს მომღერალს, იქნება ნამდვილი სასწაული. ეს არის ყველაზე შვენიერი რამ, რისი წარმოდგენაც კი ადამიანს ძალუბს. ეს გახლავთ სრულყოფილი მუსიკალური თეატრი“.

სიმღერა არ არის ურთიერთდამოკიდებულების ჩვეულებრივი ფორმა. ის მაშინ შედის თავის უფლებებში, როდესაც სიტყვას არ ძალუბს გამოხატოს სათქმელი. ასეთ ვითარებაში მოქმედება უკიდურეს ექსპრესიულობას მოითხოვს, რასაც ვ. ფელზენშტეინი ანომალად მიიჩნევს. თუ არა ნამდვილი შემოქმედებითი ექსტაზი, ზემოაღნიშნულის განხორციელება შეუძლებელია. თუკი მხოლოდ ექსტაზიც კარგადაა მოხერხებული, სინთეზური სპექტაკლის მსახიობი გამართულად უნდა ფლობდეს ვოკალურ აპარატს, მაღალი ტექნიკით ადვილად უნდა ფლობდეს გამომსახველობის ნებისმიერ ფორმას. „მუსიკისა და თეატრის ერთიანობას ისეთივე მნიშვნელობა აქვს, როგორც ექსპრესიობა და ტექნიკის ერთიანობას ვოკალურ შესრულებაში, ასეთი ერთიანობის შექმნა „გენისის“ პრეტენზია როდია. იგი არც შემოხვევის შედეგი გახლავთ. ყველა მომღერალს, ვინც დაჯილდოებულია ჭეშმარიტი მუსიკალობითა და ექსპრესიულობით, აგრეთვე, შესანიშნავი ხმით, შეუძლია დაეუფლოს ამას. ეს ერთიანობა მიღწეულია, როცა ფიზიკური, ვოკალური და, ამასთანავე, ინსტრუმენტული ექსპრესია მხოლოდ და მხოლოდ დრამატული მოქმედებით განისაზღვრება“.

ვ. ფელზენშტეინი მასობრივი სცენების დადგმის დიდი ოსტაკია. მის მიერ გადაწყვეტილი მასობრივი სცენაში ვერ იპოვით ოლუსტრაციულ მომენტს, რაც ესოდენ გავრცელებულია საზოგადოდ მუსიკალურ თეატრში. ყოველ მსახიობს დაკისრებული აქვს კონკრეტული ამოცანა და ამ ამოცანის განსახორციელებელ ბრძოლაში იგი ქმნის „თავის მუსიკას“. რეჟისორი გუნდის ყოველ წევრს ისეთ სცენურ სიტუაციას უქმნის, რომ იგი იძულებული ხდება იმოქმედოს,

7 Вальтер Фельзенштейн, «Путь к созданию оперного спектакля» «Комисе Опер», 23. 19.

8 Вальтер Фельзенштейн «Подлинная Кармен», Берлин, 1947 г.

იმღეროს. ყოვლად დაუშვებელია მოქმედება მუსიკალური პაუზის დროს, სიმღერისას კი — სტატიურად ყოფნა, ან მიჩვენებითი მოქმედება. ასეთ შემთხვევაში შეწყდება სცენური ცხოვრება და იწყება კოსტიუმირებული კაპელის კონცერტი. ვ. ფელზენშტეინი მოითხოვს სცენაზე ცხოვრებას, უწყვეტ მოქმედებას და ამათთან ტექსტის შესრულების მათემატიკურ სიზუსტეს. საკმარისია გუნდის ორ-მოდ მომღერალში ერთი მათგანი გამოეთიშოს ან არაზუსტი გადასვლა გააკეთოს, რომ რეპეტიცია წყდება და იწყება ამ მონაკვეთის სერუბულუზური დამუშავება.

ვ. ფელზენშტეინის მუშაობა მასობრივ სცენაზე სამ ეტაპად მიმდინარეობს: 1. ამოცანის განმარტება, 2. ფიზიკური მოძრაობა (ნახაზის, ქორეოგრაფიის, როგორც თვითონ უწოდებს, დადგენა), 3. ამოცანის ცხოვრებისეული შესრულება. რაღა თქმა უნდა, მექანიკური მოქმედება დაუშვებელია.


მიხდა ასეთი შემთხვევა: რეჟისორმა უცნაოდ რეპეტიცია შეაჩერა, რადგან უკანა პლანზე ერთ-ერთი მსახიობი მექანიკურად მოქმედებდა. ფელზენშტეინმა კითხვა: რატომ არ მოქმედებთ? მე ყველაფერი ზუსტად შევასრულე — მიუვო მსახიობმა, „თქვენ ყველაფერი ზუსტად შეასრულეთ, მაგარ არ მოქმედებდით, თქვენ მოძრაობდით. მოძრაობასა და მოქმედებას შორის კოლოსალური განსხვავებაა“ — განმარტა ფელზენშტეინმა. შემდეგ აჩვენა, თუ რა სასაცილოდ გამოიყურება მექანიკური მოქმედება. იმ დღის შემდეგ ეს მსახიობი მთელი არსებითაა ჩართული მუშაობაში, მაშინაც კი, როცა ტექნიკური რეპეტიცია მიმდინარეობს.


ვ. ფელზენშტეინი პარტიტურას ჰყოფს ნაკვეთებად, ფრაზებად. თითოეულ ნაკვეთში შედის 28-30 ტაქტი, რის მიხედვითაც ცალკე ფურცლებზე ზუსტად არის აღნუსხული ყოველი მსახიობის მოქმედების გეგმა. ეს ტიტანური, წარმოუდგენელი შრომაა. ყველაფერი უნდა შესრულდეს მათემატიკური სიზუსტით, ვინაიდან, როგორც თვითონ ამბობს, ამის გარეშე სცენური თავისუფლებისა და მისგან გამომდინარე სიმართლის მიღწევა შეუძლებელია. მიუხედავად ამისა, ვ. ფელზენშტეინი არ გამოირცხავს იმპროვიზაციას, თუმცა მიაჩნია, რომ ეს მხოლოდ იმ შემთხვევაში შეიძლება, როდესაც „...რეჟისორის განკარგულებაში ისეთი მოწინი ინსტრუმენტია, როგორც წლები განმავლობაში „კომიშე ოპერის“ გუნდი გახდა. ასე მაგალითად, „მე არ მიჩვენებია გუნდისათვის, როგორ უნდა მოიტყეს ის

ზარასტროს გამოჩენისას „ჯადოსნური ფლეიტის“ პირველი მოქმედებაში. გუნდის წევრები სცენაზე იყვნენ, მე მათ უხსნიდი, ვინ არის ზარასტრო, როგორ არიან ისინი მის მიმართ განწყობილი, სადაც მოვა იგი ახლა და საიდან მოვიდნენ თვით ისინი. საუბარმა ნახევარ საათს გასტანა. მეფე მივმართე: „ახლა კი გაითამაშეთ ეს სცენა“. მათ შესარულეს იგი ისე სწორად, რომ მე მხოლოდ სამი უმნიშვნელო დეტალის შესწორება მომიხდა. სცენა გავიმეორეთ და ჩავიწყრეთ. იგი ერთ საათში დაიდგა...“ უნებურად მაგონდება როგორ შექმნა ა. ახმეტელმა დროის სცენა „ლამარამი“. როდესაც ვუყურებდი მიუნჰენის თეატრის ბრწყინვალე დადგმას — „ყჩაღები“, ბევრი რამ საერთო ვპოვე ახმეტელის სპექტაკლთან — ცეცხლოვანი რიტმი, მკვეთრი ნახაზი, სიზუსტე, ერთიანი შემართება, შეაწვეული სიმართლე, ფორმის მაქსიმალური სიმკვეთრე, ყოველივე ეს საოცრად ჰგავდა იმას, რასაც ა. ახმეტელმა ოცდაათი წლის წინათ მიაგნო.

შემოდინებული მეთოდით ვ. ფელზენშტეინის მიერ დამუშავებული სცენა ჯადოსნურ შთაბეჭდილებას ახდენს. უყურებთ ადამიანებს, რომლებსაც აქვთ საკუთარი ცხოვრება, სურვილები, მისწრაფებები და უნებურად ამ ცხოვრების მონაწილე ხდებით, მათთან ერთად ფიქრობთ, მოქმედებთ. მიზანი მიღწეულია: კონტაქტი მაყურებელმა და გუნდს შორის დამყარებულია, შთაბეჭდილება აუწერელია. ყოველივე ეს მოითხოვს თავგანწირულ შრომას, რკინისებურ ნებისყოფას, კოლოსალურ ენერგიას, რაც ასე უზება მიუმაღლებია ბუნებას სამოცდაათ წელს მიღწეული ვალტერ ფელზენშტეინისათვის. მისი რეპეტიციები დიდი თეორიული და პრაქტიკული სკოლაა. ფიქრობ, არ შეეცდები, თუ ვიტყვი: როგორც არ უნდა გამოიხუთიყო კონტაქტი ვ. ფელზენშტეინის ხელმძღვანელობით, „კარმენ-ზე“ მუშაობას მაინც პრინციპული მნიშვნელობა აქვს მის-კოვის კ. სტანისლავსკისა და ვ. ნემიროვიჩ-დანჩენკოს სახელობის მუსიკალური თეატრის შემდგომი განვითარებისათვის. ფიქრობ, რომ თანამედროვე კლასიკური რეჟისურის ამ შესანიშნავ წარმომადგენელთან შესვედრა მნიშვნელოვნად გაამდიდრებს და ახალ ამოცანებს დაუსახავს მუსიკალურ თეატრებს ჩვენში.

9 Вальтер Фельзенштейн, «Путь к созданию оперного спектакля», «Комише Опер», гв. 20.





შ. რუსთაველი.
ფილოსოფიის ხატავს მსახიობ მარგარიტას.



შ. რუსთაველი.
ქველი თბილისის ციკლიდან.

კ. გოგლაძე.
პოეტი ტერენტი გრანული.



მ. ფოცხიშვილი.
1942 წელი.

ქილევ ერთხელ «ვეფხისტყაოსნის» პირველ სტროფის პირველი ტაქტის შესახებ

(„ამ, რუსთველი, ხალხობითა ვიჟმ სამქმსა ამა ღარი“)

ჯიბო ლომეშვილი

ძარბაველი მეცნიერთა შორის რუსთველოლოგიის საკითხებზე წამოწყებული კამათი სასარგებლო საქმედ მიგვაჩინა, რადგან, როგორც დიდი ქართველოლოგი და რუსთველოლოგი კორნელი კეკელიძე ამბობდა:

„ვეფხისტყაოსნის პრობლემა უსაზღვრო ოცენაა, მის ამოწურვას თაობათა ინტენსიური მუშაობა დასჭირდება. საკვირველი არ არის, თუ ერთი და იგივე მკვლევარი რამდენჯერმე უბრუნდება მას: არავის არა აქვს უფლება დღეს იფიქროს, რომ ამ ღირსშესანიშნავი პოემის საკითხები მისთვის და მის მიერ საბოლოოდ გადაჭრილია“-ო.

რუსთველოლოგიაში, როგორც ამას ნათლად ადასტურებს დღევანდელი პოლიტიკა, ჯერ კიდევ ბევრი რამ სადავო და დასაძვინია. შოთა რუსთველისა და მისი პოემის „ვეფხისტყაოსნის“ ზოგიერთ ძირითად პრობლემაზე ჯერაც ვერ შეთანხმებულან მეცნიერები (ფილოლოგები თუ ისტორიკოსები).

გადაჭარბებული არ იქნება თუ ვიტყვით, რომ რუსთველოლოგია შორის ვერ იპოვით თუნდაც ორ მკვლევარს, ერთი მეორეს რომ ეთანხმებოდეს ყველა საკითხზე და ერთ პიპოტეზას ქადაგებდეს. ეს ფაქტი იმას მიგვიანწმუნებს, რომ კვლევის საგანი ძალზე რთულია და ბევრი საკითხის თუ პრობლემის გადაწყვეტა მკვლევართაგან დიდ მეცნიერულ მუშაობას და „ჭირთა თმენას“ მოითხოვს.

პრობლემის სირთულის გამო ხდება, ალბათ, ისიც, რომ ზოგიერთი რუსთველოლოგი თუ ისტორიკოსი ხშირად იცვლის შეხედულებებს ან ავიწყდება სხვადასხვა დროს სად და რა აზრი თუ დებულება წამოაყენა ამა თუ იმ საკითხზე. მეიხსიველიც, ცხადია, დანაშაულია და ვერ გარკვეულა სადავო საკითხებში. ძნელია გარკვევა, ვინ არის მართალი ამ დავაში და ვის აზრს მიემხროს თუ მიენდის. ასე მაგალითად, ზოგიერთნი საქვეყნოდ აცხადებენ, რომ შ. რუსთველი „პოეტ-ერისკაცი ყოფილა“-ო და თითქოს „საბოლოოდ გაი-

მარჯვა მოსაზრებამ რუსთველის ერისკაცობის შესახებ“-² პროტოფი რატაიანს კი სურს მეითხველი დააჯეროს, რომ შოთა რუსთველი ეპისკოპოსი, მღვდელმთავარი იყო და არა ერისკაცი.

ალექსანდრე ბარამიძე, ელენე მეტრეველი, სარგის ცაიშვილი კი ასეთ მოსაზრებას გვეთავაზობენ:

„ჩვენთვის მთავარია, ერისკაცი იყო ვეფხისტყაოსნის ავტორი თუ ბერ-მონაზონი. რაც შეეხება შემდეგ მის ბერად შედგომას, ამისი შესაძლებლობა პრინციპულად არასოდეს არავის არ უარუყვია“-ო.³

ამ სიტყვების ავტორები იქვე დაბეჯითებით ამტკიცებენ იმას, რომ შ. რუსთველი ერისკაცი იყო და არა სასულიერო პირი:

„ყოველ შემთხვევაში, XVII საუკუნის დასახელებულ პოეტ-მწიგნობართა შეგენებით შოთა რუსთველი ერისკაცია და მხოლოდ ერისკაცი საზოგადოდ, ძველი ქართული იკონოგრაფიული შემკვიდრება არუსთველს იცნობს მხოლოდ და მხოლოდ ერისკაცად“-⁴

დასახელებული წერილის ავტორები, ედავებიან რა პ. რატაიანს სახელწოდება „რუსთველის“ გაგებაში, გვთავაზობენ ასეთ დასკვნას:

„რომ რუსთველი ძველთაგანვე უძველესად იყო საერისკაცო სახელწოდება სასულიერო სახელწოდებასთან ერთად...“-⁵

აქ უნდა შევნიშნოთ, რომ ასეთი დასკვნა შედეგია სწორედ პ. რატაიანის გამოკვლევის მხედველობაში მიღებისა. რადგან აღდე მათ, და არა სხვა ვინმეს, არასდროს ასეთი დებულება არ წამოუყენებია, რომ „რუსთველი“-⁶ სასულიერო სახელწოდებასთან ერთად სასულიერო სახელწოდებაც იყო.

ობიექტური მკითხველისთვის არც ერთი დებულება არ



არის მისაღები. რატომ? — იკითხავს მკითხველი. იმიტომ, რომ ეს მისაზრებანი თუ პიიოთუფი არ არის უნაკლო და სასურთი ვერ აკმაყოფილებს თანამედროვე მცენერებრის მოთხოვნებს.

მკითხველს წინასწარ უნდა გაუწყობთ ჩვენი მოსაზრების შესახებ ამ სადავო საკითხზე. შეიძლება ვინმეს უცხადურად ჩვენი ჩვენი დასკვნა იმის თაობაზე, რომ რუსთველი ოღოტოვებით, და წყვეტული ვახტანგ მეექვსედიდან დღემდე არსებულთა ჩათვლით, არ ცდარდენენ შოთა არსთველი ვინათობის გარკვევაში და ყველა თავი დაებურად მართალი იყო და არის. ამის მოყვარი მიზნუი ის არის, რომ შევეყვარები მხოლოდ ცალმხრივად ამტკიცებდნენ ან ამტკიცებენ შოთა რუსთველის ან ერისკაცობის ანდა სასულიერო პირად მის წარმოდგენას. და ეს არის სწორედ რუსთველოლოგთა შეცდომა. რადგან მთელი არსებული ლიტერატურადგან, თუ სხვა ფაქტებიდან, დასტურდება ის, რომ შ. რუსთველი იყო როგორც საერო, ისე სასულიერო თანამდებობის პირი. ამიტომ, ზოგს მიჩანია, რომ შოთა მხოლოდ ერისკაცი იყო, ხოლო მეორენი ამტკიცებენ, შოთა მხოლოდ სასულიერო პირი იყო და არა საერო. ჩვენი კვებით შევეცდებით დავასაბუთოთ, რომ შოთა რუსთველი იყო როგორც საერო, ისე სასულიერო პირი. აქვე უნდა შევინებოთ, რომ ეს დებულება მართებულია ან, არავითარ შემთხვევაში, არ იწვევს რაიმე უსიხარულობის ის გარემოება, რომ XII-XIII საუკუნეების მოაზროვნე და მოღვაწე ყოფილიყო როგორც საერო, ისე სასულიერო თანამდებობის თუ განათლების მქონე პირი. დადავს ის დრო, რომ გამტკიცებთ შოთა რუსთველი იყო როგორც საერო, ისე სასულიერო პირი და არავითარ „ბოლოდებობა“ არ წაუყუებთ დღემდე არსებულ რუსთველოლოგიას, თითქმის, ზოგიერთნი ადრეც და ახლაც, „განვებებ“ ცდილობდნენ ან ცდილობენ შოთა რუსთველი წარმოგვიდგინონ მხოლოდ და საერო, ან მხოლოდ სასულიერო პირთაგანად.

ახლა შევეცდეთ იმის განხილვას, თუ რა საბუთიანობა ახასიათებს დღევანდელი ისტორიკოსებისა და რუსთველოლოგების დავას ამ საკითხზე.

ისტორიკოსი ნოდარ შოშიაშვილი გვიმტკიცებს, რომ „ვეფხისტყაოსნის“ ავტორის გვარი რუსთველი იყო. თუმცა ამ უარყოფას იმასაც, რომ „რუსთველი“ შუა საუკუნეებში აღნიშნავდა კახეთის რუსთავის ეპისკოპოსს. ნ. შოშიაშვილი წინააღმდეგობაში ვარდება. აი რას წერს ის თავის ნაშრომში:

„ტბრძინი რუსთველი კახეთის რუსთავის მიმართ შუა საუკუნეების მთელ სივრცეზე აღნიშნავდა რუსთავის ეპისკოპოსს. არ შეიძლება, რომ ასეთივე ტბრძინი დამკვიდრებინა ერთდროულად კახეთის რუსთავის მფლობელსაც. ამგვარი ერთდროული შინაარსობრივ გარკობის შემთხვევაში ასეთი ტბრძინებია ჩვენ არ ვიცით: არ შეიძლება, მაგალითად, რომ ეპისკოპოსის აღნიშნული ტბრძინები: მანკლელი, მაწყვერელი, თბილელი, კუმბურდელი, სამაჟანელი, ურბნელი და სხვა, იმავე პერიოდში სივრცისა და აღნიშნული ტბრძინები: ვაგლი, თოგვალი, ჭავჭავი, კალაბხელი, ფანაქვერელი და სხვა, იმავე პერიოდში სასულიერო პირსაც აღნიშნავდეს.

ახე რომ, კახეთის რუსთავის მხოლოდ „რუსთველი“ ეპისკოპოსი უნდა დაეპტოვოთ, ხოლო „რუსთველი“ მებაშულ სხვა რუსთველი ვეძიოთ.

მართალია, მსხვილის რუსთავზე საისტორიო წყაროებში XVI საუკუნეზე აღინიშნული ცნობა არ შემოგვრჩა (XVI საუკუნეში ის მოხსენიებულია „გურჯისტანის ვილაიების დიდ დავთარში“),

მაგრამ, ცხადია, მსხვილის რუსთავი XVI საუკუნეში არ წარმოქმნილა. ასოლოგურად არაფერი არ გამოირცხავს მის არსებობას XII-XIII საუკუნეებში (არქეოლოგიური გათხრები ააღიარა გამოავლენდ ამ პერიოდის ფენას).“

როგორც ვხედავთ, ნ. შოშიაშვილის საბუთის გარეშე სურს დაგვაჯეროს თავისი დებულების სისწორეში. მაგრამ, არ დიჯერება ის, რომ „რუსთველი“ გვარი თუ გავრწოდება იყო, რადგან ამის დამადასტურებელი არავითარი საბუთი ან ისტორიული წყარო არ არსებობს. ნაშევილად კი ისტორიული არის კახეთის რუსთავის ეპისკოპოსთა სახელწოდება (და არავითარ შემთხვევაში გვარწოდება) — „რუსთველი“. ისტორიული ცნობით არიან „რუსთველები“ — სხვადასხვა გვარის წარმომადგენლები. მაგალითად, რუსთველი — ახდრთიკაშვილი, რუსთველი — ჩერქეზიშვილი, რუსთველი — ჯორჯაძე (კირილედ წოდებული), რუსთველი — ჯანდიერი, ისევე როგორც თბილელი — სააკაძე, ქუთათელი — საღირის ძე და სხვანი.

ფილმებმა „აკ-მერე“ (ცირგიუთის კინოსტუდია, რეჟისორი ნ. უზუკვეი) და ლენინგრადის სტუდიის „ქარიშხლის წინ“ ორი სხვადასხვა ჯილდო მიიღეს. პირველმა — „თემის პოეტური განსახიერებისათვის“, ხოლო მეორემ — ლუბოვის როლის შესრულებისათვის ჯილდო მიეკუთვნა ვ. ზიგანშინისა და სულადა დასხვა ჯილდოები! თუმცა შემთხვევით არ დამისახებელია ისინი ერთად — ორივე მათავანმა ყურადღე-

ბა მიიქციეს თავიანთი ფორმით — თეატრალური ნაწარმოების ტელევიკინანაზიციისათვის. თეატრისა და კინემატოგრაფიის მიერ დაგროვილი ნაგონდობა ტელევიკინისა აუცილებლად საჭიროა. ამ ფილმებმა ეს თემის უფრო თვალსაჩინოდ დაამტკიცეს.

ფსიქიალის „ყველაზე მხარულ“ ფილმად აღიარებულ იქნა ქართული — „სურენადა“. ჟიურის მხოლოდ იუმორი როდი შეუფასებია მასში. „საუკეთესო რეჟისურისათვის“ — ალბათ კინოშემოქმედისათვის ყველაზე საპატიო ჯილდო გადაეცა ახალგაზრდა კ. ზოტივას. იმ ფაქტამც კი, რომ ეს მოკლემეტრაჟიანი ფილმი, სადაც ლირიკა შერწყმულია ექსცენტრიკასთან, გადაღებულია წმინდა კინემატოგრაფიული მანერით, ვერ შეაერთო ჟიურის „ტელევიზიური სიამაყე“ — ფილმის წარმატება ყველამ აღიარა.

კონკურსზე წარმოდგენილი დანაკრები ფილმიდან მიზნა აგრეთვე აღენიშნათ რამდენიმე, რომლებიც ყურადღების ღირსია. ესაა ესტონური ტელევიზიის „ჩანელბუელი ფანჯარა“ (რეჟისორი ტ. კასკი, სცენარისტი ლ. პრომეტი), ცენტრალური ტელევიზიის „მოკავშირის მატანაზე“ სერიიდან ფილმი „ფრონტიდან ფრონტზე“ (რეჟისორები ა. გაბრიელოვიჩი და ს. ზულდინი, სცენარისტი დ. ოგანიანი), და განსაკუთრებით ი. ბესპალოვისა და ა. მალოვის მიერ გორკის ტელესტუდიაში შექმნილი ცხრაწუთიანი, ერთი ციკლი — „ჩვენ ვართ მჭედლები“, რომელმაც მიიღო უფრანლოსტა კავშირის მოსკოვის ორგანიზაციის დიპლომი „შემოქმედებითი ძიებისათვის სატელევიზიო პუბლიცისტიკაში“. ფილმის ავტორები მხოლოდ ერთ (!) ისტორიულ ფოტოსურათზე აგებენ მასალას, და მხოლოდ ცხრაწუთის. მან კი რამდენი ემოცია წარმოშვა, რაოდენ ააფორიაქა ფიქრები. მთავარი მაინც, რაც მასში ძვირფასია, ისტორიისადმი მზრუნველი დამოკიდებულება. თქვენ იტყვი: — რა არის ამაში გასაკვირი? — აი რა: ერმა კინოკრიტიკოსმა ცნობი-

ლი ანდას გადააკეთა, ამით შევსოს ისეთ საკითხს, რომელიც ძალიან მწვავედ დგას დღეს. ეს ფრაზა, რომელიც ქვესათარად გამომაქვს, ასე ვთქვამ:

— მიტხარი, როგორ ამონტაჟება, გიტაქვი ვინა ხარ...

... ტელეფილმების ავტორები თავიანთ ნამუშევრებში სულ უფრო და უფრო ხშირად იყენებენ ისტორიულ ქრონიკას. ეს შეიმჩნეოდა სამტოთა ხელოსულების ნახევარსაკუნივანი („ნახევარსაკუნივანი მატანა“) ოეზილსადმი, ლენინის დეტეხილადმი მიძღვნილ ფილმებში. ამ ფილმებში წარსულის ჩართვა აუცილებელია, უტყუარი, რამდენადაც შესაძლებელია შემდეგ, მონტაჟის პროცესში, მისი ცალკეული ნაჭრების „ჩაწყობა“ ახალ ფილმებში. მაგრამ მანერაში, თუ შეიძლება ასე ითქვას, ფილოსოფიისა, საკუთარ ნაშრომში ამ წარსულის ჩართვის საშუალებებში ვლინდება ავტორის დამოკიდებულება თავისი ქვეყნის ისტორიისადმი; გარდა ამისა, აქ ჩანს მსახიობის „პროფესიული სინდისი“, ხშირად რომ მხოლოდ ქრონიკის მასალებით „გადიან ფონს“.

ამით იქამდე მივიდა საქმე, რომ ასეთი ფილმები გულისარგვამედ გვახდენ ერთმანეთს თავისი ცალკეული ნაწილებით.

იგივე „პროფესიული სინდისი“ კი, რომელიც ზემოთ ვახსენეთ, ზოგიერთ რეჟისორს ნება აძლევს თავიანთ ნამუშევრებში ჩართოს ადრე, სხვების მიერ გამოყენებული სამონტაჟო ნაჭრები; ამავე დროს სხვის ფონორატისასაც კი არ ცვლიან.

და „საარქივო ქრონიკის“ გამოყენება „ორ მოლოთიან“ ღიბად გადაიქცა, რომელშიც გამოსჭვივის გულწრფელი სურვილი — მოხადოთ თაობებს უყვინთ თავიანთი წინაპრები, აწმყოსთან წარსულის კავშირი, ამავე დროს მაკრატლის უუფური შრომა,

რომლითაც ძვირფასი მეგვიდრეობა ნადგურდება.

ქრონიკალური კადრები თავის ცხოვრვად უტყუარ ისტორიულ საფუძველს იმ შემთხვევაში კარგავენ, როდესაც მათი დამონტაჟება ხდება ავტორის მიერ მკვეთრად დასასული ამოცანის გარეშე, როდესაც ამ მონტაჟში მასურბული ვერ აღმოაჩენს გარკვეულ ცხოვრებისეულ აზრს.

ასეთ შემთხვევაში, ისეთ კაცს, გუშინ რომ კინემატოგრაფიის საკაცწირო ინსტიტუტი დაუმთავრებია და დღეს რეჟისორია, ისიც კი ვერ შევლის, რომ იგი თავის ფილმში თვითვერტოვის მიერ გადაღებული ქრონიკალური კადრებს რთავს. შესაძლოა ისინი ვალდებული არიან თავიანთ თავს შეეკითხონ: ვერტოვი დათანხმდებოდა, მომცემდა თავის ფირს, რომ მე იგი ჩემს ფილმში ჩამერთო? აუცილებლად ვალდებული არიან.

ფაქტი — დოკუმენტი — იჩრახბი

„დოკუმენტურ ფილმს შეუძლია ისეთი წაივლი წარმოდგენა მოკვცის ცხოვრებაზე და ისეთ ეფექტებს მიაღწიოს, რაც არ ძალუძს კინოსტუდიის ბუჯაბორულ ტექნიკასა და დედაქალაქის აქტიორის დახვეწილ მანერას“.

ჯოზე ბარისონი.

დოკუმენტალისტთა კონკურსი... მისგან, ალბათ, ბევრს მოლოდინენ მხოლოდ უელოდინარები. დოკუმენტურ კონკურსზე წარმოდგენილმა სურათებმა, ერთი შეხედვით, მართლაც ერთგვარი შთაბეჭდილება მოახდინეს. იყო ფილმები სასურბორები და პოეტურად რომ მოუთხრობდნენ მშობლიური მხარის სილამაზეზე, საბჭოთა ადამიანების მიღწევებზე (ასეთი კარგი ფილმის — „გარეული ირემებისა და მწყემსი კარმოზინის შესახებ“ — ავტორს, ვლადივოსტოკელ ოპერატორს, ვ. სოლომინს პრემია მიენიჭა).

ენახეთ ფილმები ძიებით გამოჩენულნი, ამაღლებულნი, რომლებიც თანამედროვეთა პორტრეტები შექმნეს. მაგრამ ამ სურათების უმრავლესობამ ვერ გადაწყვიტა მთა-

ვარი ამოცანა — საბჭოთა ადამიანის მოცულობითი, მრავალწახანგოვანი იერსახის შექმნა. აგრეთვე ისიც საწყენია, რომ ცხოვრების სიღრმეში შეჭრის აქტიურობა მეტად უნებმეულოა, ე. ი. არა აქვთ ის მთავარი, რაც ტელევიზიის თვით ბუნებაში ძეგს.

გარდა ამისა, აქვე მთელი ძალით გამოვლინდა თანამედროვეობასთან ქრონიკის „მონტაჟის დაავადება“, რაზეც წინა თავში ვივინდა საუბარი. დოკუმენტური ფილმების კონკურსზე ამ „დაავადების“ სახესხვაობაც გამოჩნდა — ზოგიერთმა ავტორმა „მატერული ლენტის“ კადრები ქრონიკად გაასადა. ასე, მაგალითად, ს. ეიხენშტეინისა და გ. ალექსანდროვის მხატვრული ფილმის „ოქტომბრის“ კადრები დოკუმენტად იყო გამოჩინაო.

დოკუმენტური კონკურსის მხოლოდ ერთი სურათი ღრმად და სერიოზულად მოგვიხიბრდა თანამედროვეობაზე. ესაა — „ყველა ჩემი ვაჟიშვილი“ — ფესტივალის დიდი პრიზის მფლობელი, რომელიც გადაღებულია ლენინგრადის ტელესტუდიოში ახალგაზრდა რეჟისორების (გადაღების წელს ისინი ჯერ კიდევ კინემატოგრაფიის სახელმწიფო ინსტიტუტის სტუდენტები იყვნენ) ო. გვასალიასა და ა. ხეფანოვიჩის მიერ „ანექტის“ თავისებურ ჟანრში.

საქმიანობითა და სიმპათიურობის ხარისხით მეტად განსაკვეთული ათობით ახალგაზრდა ლენინგრადელი მსკულობის ცხოვრების დანიშნულების საკითხებზე, ბედნიერების რაობის შესახებ... იმაზეც კი, თუ როგორ მოიქცეოდა თითოეული მათგანი, რომ მოულოდნელად მათ მილიონი მისცენ... და პასუხი პასუხზე, თანდათანობით იქმნება თანამედროვე ახალგაზრდის კოლექტიური პორტრეტი, რომელიც ფიქრობს ხვალისდელზე, პატივს ცემს გუშინდელს... და მასურბელიც მათთან ერთად, მოულოდნელად, მრავალ, ჯერ კიდევ გადაუჭურვად საკითხსა და პრობლემას წააწყდება.

გავრცელებულია აზრი, რომ კინოდოკუმენტალისტიკას არ ძალუძს

ადამიანის ფსიქიკის სიღრმეში მიმდინარე პროცესების გამოვლენება. მაგრამ ეს დოკუმენტალისტიკისათვის საზარალოა? — არა. ადამიანის ღრმა ფსიქოლოგიური ხასიათის შექმნისათვის როგორც დოკუმენტური კინოს, ასევე დოკუმენტური ტელევიზიის შესაძლებლობანი შეუზღუდულია. მაგრამ ეს ენებმა არ ნაკლოვანებებს, არამედ იმ სპეციფიკურ ნიშნებს, რომლებიც დამახასიათებელია ამ, თავისი არსით სავსებით „სრულფასოვანი“ ხელოვნებისათვის.

ფილმ „ყველა ჩემი ვაჟიშვილი“ ნახვის შემდეგ ისეთი გრძნობა გრჩება, თითქოს ძალიან კარგად იცნობ ამ ახალგაზრდებს. თუნდ, ეს არც ისე ღრმა ნაცნობობა იყოს. ეს თითქმის იგივეა „სხვათაშორის ნაცნობ“ ადამიანზე შორის რომ ხდებდა. ფილმისაგან მეტის მოთხოვნა აღარ შეიძლება. საკვანო დრო მეტის შესაძლებლობას არ იძლევა. და არც ის სპეციფიკა, რომელზეც ზვეთი ვილაპარაკეთ...

ბევრისთვის ეს ფილმი ფესტივალადღე დიდი ხნით ადრე იყო ცნობილი, მასზეც ბევრს წერდნენ და ლაპარაკობდნენ. ამიტომ, თავს ნებას მივცემ, ყურადღება გავამახვილო იმ ფაქტზე, რომ კონკურსის ჟიურიმ ეს ფილმი უფრო კარგად შეაფასა, ვიდრე ცენტრალური ტელევიზიის, — „მახანავო შთამომავალნი“ (რეჟისორი ი. ბელიაკინი, სცენარისტი ნ. კარცოვი), რომელსაც გასულ წელს ტელეფილმების ლაიპციგის საერთაშორისო ფესტივალზე მთავარი პრიზი — „ვერცხლის მედალი“ მიენიჭა.

ნუ ვიკითხავებთ, რა მოხდებოდა, თუ „ყველა ჩემი ვაჟიშვილი“ ლაიპციგში „ჩაივლიდა“, შევთანხმდეთ, რომ ეს ახალგაზრდა რეჟისორების დიდი წარმატებაა, ერთი მათგანი კი ჩვენი მასულიშვილია და ჩვენს დედაქალაქის მცხოვრები.

... დიდი ხანია დამთავრდა მესამე ფესტივალი. მომდევნო, მეოთხეც მალე შედგება, ფილმები კი იქმნება. შეიძლება ეს ფილმები მათვე ეკითხოსა, რომლებზეც ვილაპარაკებო.

მაგრამ ჩვენ ჯერჯერობით არ შევიძლია მათ ღირსებებზე ვილაპარაკო.

საინტერესო ნაშრომი პეტრე შალიკაშვილზე

გიორგი ჯაბაშვილი



რეზო უკინაძე.

ბმპრი ჭირ-ვარამის მნახველი ქართველი ხალხის სიღა-
დე ყოველთვის იმაში მდგომარეობდა, რომ მისი ნიჭიერე-
ბა და სულიერი სიმდიდრე მოულოდნელად დაუძლეველი
ძალით იჩენდა ხოლმე თავს. ბედრული საქართველოს
ფარგლებიდან გახიზნულ ქართველებს არაერთხელ დაუმ-
ტკიცებიათ, რომ ისინი ჭეშმარიტად ნიჭიერი ერის შვილე-
ბი იყვნენ. ჩვენ ჯერ კიდევ დიდი, გულმოვიტანე მუშაობა
გემართებს, რათა დღის სინათლეზე გამოვიტანოთ ბევრი
შესანიშნავი ქართველი ადამიანის სახელი.

ერთ-ერთი ასეთი პიროვნება იყო პეტრე ივანეს ძე შა-
ლიკაშვილი, რომელსაც ვრცელი ნარკვევი, 140-გვერდიანი
წიგნი — „მოსკოველი შალიკაშვილების ოჯახი“ — მიუ-
ძღვნა ჟურნალისტმა რევაზ ჭიჭინაძემ. მან მტკიცე ხელით
გამოგლიჯა დავიწყებას კიდევ ერთი შესანიშნავი ქართვე-
ლი კაცის სახელი და ნათელი მოჰფინა მის დაუცხრომელ,
შემოქმედებითი წვით აღსავსე ცხოვრებას.

ავტორის დიდი სიძნელეების დაძლევა მოუხდა ამ წიგნზე
მუშაობის დროს. აი რას ამბობს იგი წიგნის დასკვნით ნა-

წილში: „პეტრე შალიკაშვილის მოღვაწეობის სწორი ანა-
ლიზისათვის... საჭიროა ყურადღება გავამახვილოთ მის თა-
ნამედროვეთა მიერ გამოთქმულ აზრებზე, მაგრამ მიზანშე-
წონილი იქნება თუ არა მხედველობაში მივიღოთ, ანგარიში
გავწვიოთ ყველა მათგანს?! საკითხისადმი ასეთმა მიდგო-
მამ ბევრ ჩვენს თანამედროვე მკვლევარს ააღებინა ხელი
პ. შალიკაშვილის პიროვნების შესწავლის განზრახვას.
ასეთი უნებლიე შეცდომა კინაღამ ჩვენც დაგუშვით“. ეს სი-
ძნელებები დროთა ვითარებაში სქელ ბურუსად გადაეფარა
პ. შალიკაშვილის სახელს და საბოლოოდ შემდეგი სახით
ჩამოყალიბდა, რაც მოცემულია „დიდ საბჭოთა ენციკლო-
პედიაში“. აი ყველაფერი ის, რაც აქ სწერია: „პ. ი. შალი-
კოვი — თავადი, — რუსი პოეტი. თავის ლექსებში შალი-
კოვი გვევლინებოდა თავადაზნაურული სენტიმენტალიზმის
ეპიგონად, რომელმაც ნ. მ. კარამზინის მანერას გულის ამა-
ჩუყებელი სიტკბო შესძინა. შალიკოვის მიერ გამოცემული
ჟურნალები (Московский зритель, — 1806, Аглия, —
1808—10, 1812, Дамский журнал, 1823—33),

ნერგადენენ იმავე სენტიმენტალურ მგრძობიარობას. 1813 — 37 წლებში იყო გაზეთი «Московские ведомости»-ს რედაქტორი, შალიკოვის ლექსები იწვევდა მრავალრიცხოვან დაცინებებსა და ეპიგრამებს. შალიკოვმა პირდაპირ გამოსცა „მოგზაურობა მალოროსიაში“ (2 ნაწილი, 1803-04), „მეორე მოგზაურობა მალოროსიაში“ (1804) და „მოგზაურობა კრონშტადტში“ (1805 წ.), რომლებიც დაწერილია კარამზინის, რუსი მოგზაურის წერილების“ მიზაქვით“. ეს არის სულ. ამავე ენციკლოპედიაში მოთავსებულია წერილი «Московские ведомости». ეს ის გაზეთია, რომელსაც პეტრე შალიკაშვილი 25 წლის მანძილზე რედაქტობდა. აქ არც ერთი სიტყვით არ არის ნახსენები შალიკაშვილის სახელი, თუმცა ამ გაზეთმა, რომლის პირველი ნომერი 1756 წლის 25 აპრილს გამოვიდა, 1917 წლამდე გაძლო და, როგორც ენციკლოპედია ვეუბნება, „მე-19 საუკუნის დამლევიან იგი იღო მონაწილესტულ-ნაციონალისტური ორგანი, დიდმკვრიბული შოინიზმის რუპორი“. გასაკვირი არ არის, რომ ასეთმა ტრადიციამ ბევრ მკვლევარს დაუტარგა ხალისი დანტერესებულიყო პ. შალიკაშვილის პიროვნებით.

რ. ჭიჭინაძის სასახლეოდ უნდა ითქვას, რომ იგი არ დაბნია ამ არახელსაყრელმა ინფორმაციამ. მის წინაშე აღმოჩნდა ძველი სურათი, რომელიც სქლად დაეფარა დავიწყების მტვერს. რ. ჭიჭინაძემ მზრუნველი ხელით ფრთხილად მოაცილა მას დროის მანძილზე მოვიღებული ობი და ხანგრძლივი, გულმოდგინე მუშაობის შედეგად მივიღეთ სანტერესო ნაშრომი, რომლის ფურცლებზეც ნაოლად გავბრწყინდა პ. შალიკაშვილის მიმზიდველი, თავისებური სახე. ეს წიგნი აღბათი თვალსაჩინო ადგილს დაიკავებდა პართეული და, უნდა იმედი ვიქონიოთ, არა მარტო ქართული ჟურნალისტიკის თაობაზე.

მუშაობის პერიოდში ავტორს უსარმაზარი მასალა დაუგროვდა, რომლისთვისაც თავის გართმევა არც თუ ისე იოლი საქმე იყო. ამ ერთიმეორის საწინააღმდეგ მასალის ერთ სისტემაში თავმოყრა, ყველაფრისათვის ჯეროვანი ადგილის მიჩენა რთულ მუშაობასა და დიდ უნარს მოითხოვდა. სიამოვნებით უნდა აღინიშნოს, რომ ავტორი მოწოდების სინაღლებზე აღმონდა, მით უმეტეს, რომ ქართულ კვლევით ლიტერატურაში ამ წიგნამდე არაფერი გაკეთებულა (თუ მხედველობაში არ მივიღებთ 1959 წელს გამოცემულ ამავე ავტორის წიგნს „პ. შალიკაშვილის ცხოვრება და შემოქმედება“).

მოხერხებულად არის აგებული წიგნის კომპოზიცია. შესავალი და დასკვნითი ნაწილების გარდა წიგნი დაყოფილია ექვს თავად: „პ. შალიკაშვილის ცხოვრება“, „პ. შალიკაშვილის პიროვნება“, „ნაცნობობა ა. ს. პუშკინთან“, „პ. შალიკაშვილის ჟურნალისტური მოღვაწეობა“, „პ. შალიკაშვილი — მწერალი, პოეტი, მთარგმნელი“, „ნატალია შალიკაშვილი-შალიკოვა (ნარსკაია)“. ასეთმა დანაწილებამ ავტორს საშუალება მისცა შეექმნა მკაფიო სურათი. პირველ თავში ვგვნობთ შალიკაშვილის გვარის წარმომადგენელთა ბედს და შემდეგ, რაც ეპიტაფი VI, რომელსაც „საქართველოში აღარ ედგობებოდა“, რუსეთის მეფის კარს შეეხიზნა მრავალრიცხოვანი ამალით. 1738

წელს ოთხმოცდაშვიდმა ქართველმა დედოფალ ანასტასიანობით ქართველ ჰუსართა ასეული შექმნა, რომელიც უკრანიაში დამკვიდრდა. პეტრე შალიკაშვილის პაპა, დეპეტრე შალიკაშვილი, ვახტანგ VI მეგინიბითუსუსესი, ქართველ ჰუსართა ასეულში მსახურობდა ისევე, როგორც მისი ძმა დაეითი და შვილი ივანე, მამა პეტრესი. ივანე შალიკაშვილი „უდღოდა შვილი ქართველად გაეზარდა და მას ქართველი წერა-კითხვა ასწავლა. ივანეს ოცნებად ჭქონდა გადაქცეული შვილი საქართველოში გამოეზარდა ამათ თუხის წმინდა ვალი მოეხადა მიტოვებული საშობლის წინაშე, მაგრამ მას ეს ვერ მოახერხა. იგი მოულოდნელად გარდაიცვალა.

ამის შემდეგ პეტრე შალიკაშვილის ცხოვრება მჭიდროდ დაუკავშირდა რუსეთის მაღალი საზოგადოების წრეებს. მომდევნო თავში — „პ. შალიკაშვილის პიროვნება“, ავტორი დაუფარავი აღტაცებით ახასიათებს შალიკაშვილს. ჩვენს წინაშე ცოცხლდება სახე ადამიანისა, რომელიც ცოცხელი მოხიბული, ტემპერამენტითა, უნაგარო, სიცოცხლით აღსავსე პიროვნება, რომელიც რუსეთის უმაღლესი საზოგადოების დირსულ წევრად ითვლებოდა. აქ ვიგებთ, თუ რადღობს კრძალვითა და რიდით ეპყრობოდნენ მას, მკავლითად, ცნობილი პოეტი და პატრიოტი დენის დაედილი-სა, და ამავე დროს როგორ ემინობით მისი შეუპოვობით. კ. ნ. ბატუმეოვი წერდა ა. ვ. ვიასემკის: „იგი (პ. შალიკაშვილი) დიდად საშიში კაცია. ჩვენი მეგობრობის სახელით გთხოვი, მასზედ აღარ დაწეროთ ეპიგრამები. დეე მაგას კანენდუსეი ენბრძოლოს, ჩვენ კი ჩუმად ვიყოთ ჩვენთვის. იგი დატუდეველი ქართველია — ყველაფერს მისპობს და გაანადგურებს, რაც წინ დახვდება. მოფერიდით ამ ამავე ქართველს“. აქვე მოთხრობილია დავა მწერალ კორსაკოეთან, რომელმაც შალიკოვის შიშით მოსკოვი დატოვა. თუ რამდენად შეუპოვარი ხასიათი ჭქონდა პ. შალიკაშვილს, ამაზე შემდეგი ფაქტი მეტყველებს: როდესაც ნაპოლონის არმია მოსკოვს უახლოვდებოდა და მოსახლეობა გაიხიზნა, შალიკაშვილი მოსკოვიმ დარჩა. როცა ფრანგები მოსკოვი შეიჭრნენ, შალიკაშვილი გაემურა ქალაქკარეთ, სიდაც მოსკოველი თავად-აზნაურები უნდა შევრბოლიყვნენ, მაგრამ ადგილზე არაინ დაუხვდა და უკან გამობრუნდა. ომის დამთავრების შემდეგ მოსკოვის ქალაქის თავმა, გრაფმა რასტოპჩინმა დაიბარა პეტრე და ჭიჭინა, რას აკეთებდი მოსკოვიმ და რამ გაიქულა დარჩენიო. შალიკაშვილს უშიშრად უპასუხნია: „თქვენ დიდის ამითი გამოაცხადეთ, რომ თავდაზნაურობის უნდა დაეცვა ქალაქი და თავშესაყრელი ადგილიც დანიშნეთ. როგორ უნდა წავუსულიყვი სადმე ამის შემდეგ? და არც წავსულვარ. იარაღ-ასხმული მოვედი დანიშნულ ადგილას, მაგრამ იქ არა თუ ქალაქის დამცველი თავდაზნაურობა, არც თქვენ ბრძანებულხართ, თქვენო ბრწყინვალეობა“. რასტოპჩინი აღტაცებული დარჩენილა შალიკაშვილის სიამამით და უხუდაც დაუკრივებია იგი.

ცალკე თავი აქვს დამთბობილი შალიკოვის ნაცნობობას ა. ს. პუშკინთან. დიდი პოეტი პატრივისცემითა და კრძალვით ეპყრობოდა მათი ოჯახის ხშირ, სასურველ სტუმარს

— პ. შალიკაშვილის. უკანასკნელმა ერთ-ერთმა პირველმა აღიარა პუშკინის გენიის გამოჩენა რუსულ პოეზიაში.

წიგნის სიმძიმის ცენტრს წარმოადგენს მესამე თავი — „პეტრე შალიკაშვილის ჟურნალისტური მოღვაწეობა“. პ. შალიკაშვილის ჟურნალისტური მოღვაწეობა მოუხდა მაშინ, როდესაც რუსული ლიტერატურა სენტიმენტალიზმის გავლენის ქვეშ იმყოფებოდა. ავტორი მოკლედ, მაკაფიოდ ახასიათებს სენტიმენტალიზმს, როგორც ლიტერატურულ მოვლენას და მის ადგილს მამინდელ რუსულ ლიტერატურაში. წიგნის ამ ნაწილში დახატულია რუსული ჟურნალისტის ვრცელი სურათი. მიმოხილულია კარამზინის მოღვაწეობა ამ დარგში, მისი ჟურნალისებია და აღმანახების მიმართულება და ახასიათ.

სენტიმენტალიზმის ფონზე ვრცლად გადაიხალა შალიკაშვილის, როგორც ჟურნალისტის მოღვაწეობა, რაც მან კარამზინის „მოსოფსკი ჟურნალი“ დაიწყო. აქ მან გამოაქვეყნა საინტერესო ლიტერატურული ხასიათის წერილები. მას კარამზინი თავის მასწავლებლად მიაჩნდა და როდესაც უკანასკნელმა თავი დანება ჟურნალისტურ საქმიანობას, შალიკაშვილმა გადაწყვიტა გაეგრძელებინა მის მიერ დაწყებული საქმე და განაახლა აღმანახ „აონიდების“ გამოცემა. 1806 წელს შალიკაშვილმა გამოსცა საკუთარი ლიტერატურული ჟურნალი — „მოსოფსკი ზრიტელი“. ამ ჟურნალში შალიკაშვილი კარამზინის პოზიციებიდან თავგამოდებით იბრძოდა რუსული ენის სტილიზტურად დახვეწისა და ლექსიკურად გამდიდრებისათვის. ამავე ჟურნალში შალიკაშვილმა გამოაქვეყნა მანამდე უცნობი დიდი მეთვალის კრედიტის პირველი სამი იკავი და დამოუკიდებელი უწინასწარმეტყველა მას. ჟურნალში გამოქვეყნდა აგრეთვე შალიკაშვილის ნაწარმოები „მოგზაურობა კონსტანტინოპოლში“. მიუხედავად იმისა, რომ ჟურნალი პოპულარობით სარგებლობდა მეტიხეობა წორის, შალიკაშვილი უსახსრობის გამო იძულებული იყო 1807 წელს შეეწყვიტა „მოსოფსკი ზრიტელი“ გამოცემა. შემდეგ წელს მან მიიღო ნებართვა ახალი ჟურნალის გამოცემაზე. 1808 წელს გამოვიდა ჟურნალი „ავლაია“, რომელსაც შალიკაშვილი ოთხი წლის მანძილზე სცემდა. „ჟურნალი სენტიმენტალური მიმართულების იყო და პოპულარიზაციას უწევდა კარამზინის შემოქმედებას და მის შესვლულზე ლიტერატურასა და მხედველობაზე“. ამ ჟურნალში დაიბეჭდა ლექსი სასიმღერო ნოტიებით, რაც „პირველი შემთხვევა იყო რუსული სენტიმენტალური ჟურნალისტის პრაქტიკაში“.

გაზეთი „მოსოფსკი ვედომოსტი“ რუსების ერთ-ერთი სერიოზული მეტყველი ორგანო იყო. თავისი არსებობის ვრცელი პერიოდის მანძილზე მან მრავალჯერ მკვეთრად იცვალა სახე. „დიდი საბჭოთა ენციკლოპედია“ მის საუკეთესო პერიოდად თვლის ცნობილი რუსი საზოგადო მოღვაწის ნ. ი. ნოვიკოვის რედაქტორობის პერიოდს, „როდესაც გაზეთი გახდა პროგრესული აზრების გამავრცელებელი და ყველაზე პოპულარული ბეჭდვითი ორგანო მიუღწევად“. ამ გაზეთის შალიკაშვილი 25 წლის მანძილზე რედაქტორობდა. რ. ჭიჭინაძე გვამცნობს იმას, რაც დავიწყებაა „დიდ საბჭოთა ენციკლოპედიაში“ დაბეჭდილი

ენობის ავტორს, სახელდობრ ის, რომ „შალიკაშვილის რედაქტორობის დროს გაზეთი კვლავ იქცა მებრძოლ ორგანოდ. მასში იბეჭდებოდა გაბეული პოლიტიკური სტატიები“. ახლა უკვე ვიცით, რომ „ჟანდარმების მიმოწერაში გაზეთი, მოსოფსკი ვედომოსტის“ მიმართულების შესახებ შალიკაშვილზე ნათქვამია: „იგი თამამი აზრების ადამიანი და წვეთების საშიში ჟურნალისტია“. შალიკაშვილის პოლიტიკური გამგეობით გამოწვეულმა ტალამ ჟანდარმების შფოცს გრავ ბენკენდროფს კაბინეტში შეაღწია და სამხედრო მინისტრ დიბიჩასაც მისწვდა. წიგნში აღწერილია მწვავე რეაქცია, რომელიც გამოიწვია ფრანგი პოლიტიკოსების და პოლიტიკური მოღვაწის სტენოფის წერილის დაბეჭდვამ, სადაც „სტენოფის მოთხოვნა თავისუფალ კონსტიტუციურ რესპუბლიკას და წყარად, რომ შექმნის კონსტიტუციურ რესპუბლიკებს“. აღნიშნულმა სტატიამ მთავრობის უდიდესი აღშფოთება გამოიწვია“, რის დასადასტურებლადაც წიგნში მოყვანილია ჟანდარმების გენერალ ფონ-ფოცის წერილი დიბიჩასადმი. ამ ამბავს ხელს შეუშლია იმისათვის, რომ შალიკაშვილი ცნვზოზრად დაენიშნათ და მთავრობამ მას მკაცრი მეთვალყურეობა დაუწესა.

ყოველივე ამის შემდეგ, ავტორი სამართლიან დასკვნას აკეთებს: „გაზეთი „მოსოფსკი ვედომოსტი“ შალიკაშვილის ხელმძღვანელობით მნიშვნელოვანი როლი შეასრულა რუსული საზოგადოებრივი აზროვნებისა და რუსული პროგრესული ჟურნალისტის განვითარების ისტორიაში“.

1823 წელს შალიკაშვილმა პარალელურად გამოსცა ახალი ორგანო „დამპი ჟურნალი“, რომელიც კვირაში ორჯერ იბეჭდებოდა და სულ 44 ნომერი გამოვიდა. პირველსავე ნომერში შალიკაშვილი აღტყვებით მიესალმა დეკაბრისტების აღმანახს „პოლიარხანა ზვეზდას“ გამოსვლას. ამავე ჟურნალში შალიკაშვილი პოლემიკურად იცავდა იმ მოსაზრებას, რომ „საჭიროა შემოვიტანოთ და ვიხმართ უცხო სიტყვები მხოლოდ იმ შემთხვევაში, როცა რუსულ ენას მათი შემცველი სიტყვები არ გააჩნია“. ცხოვრებამ დადასტურა შალიკაშვილის პოზიციის სისწორე. წიგნში აღწერილია მეფის მთავრობის ცნვზურის სიძაქვრე „დამპი ჟურნალის“ მიმართ. როგორც ავტორი ამბობს, „პეტრე შალიკაშვილის ჟურნალმა მნიშვნელოვანი როლი შეასრულეს რუსული ჟურნალისტის განვითარების საქმეში და კარგი ტრადიცია შეუქმნეს შემდეგდროინდელ რუსულ ჟურნალს“.

შემდეგ თავში „პ. შალიკაშვილი — მწერალი, პოეტი, მთარგმნელი“ ვრცლად არის მიმოხილული შალიკაშვილის შემოქმედება: ფართოდ არის გაშუქებული და ციტირებული შალიკაშვილის ფრიად საინტერესო წიგნი „ისტორიული ცნობა ფრანგების მოსოფსკი ყოფნის შესახებ“, რომელიც დღევანდელი მკითხველისთვისაც საყურადღებოა. შალიკაშვილი დასცინის ნაპოლეონს, როგორც უკუერად დაშკრებულს. ამავე აზრს ავითარებს შალიკაშვილი თავის შემდეგ წიგნებში „კუნძული ეობა და ახალი სანჩო-პანსა“ და „საუბარი საიქიმო გამოჩენილ მამაკაცთა შორის: სუ-

ეოროესა, ბაგრატიონსა, კუტუშოვსა და მიტროპოლიტ პლატონს შორის“.

საყურადღებოა შალიკაშვილის წიგნები: „მოგზაურობა მალოროსიაში“ და „მეორე მოგზაურობა მალოროსიაში“. ახანამედროვენი აღტაცებას გამოთქამდნენ ამ წიგნების „ფრანსუა უმაღლესი დახვეწილობის, ხალხური თქმების სიუხვით, რიტორიკულ მსჯელობებისა“ და სხვათა გამო. რ. ჭიჭინაძე ვრცლად მიმოიხილავს ამ წიგნებს, აღნიშნავს თუ რა გულისტკივილი შესტყროდა შალიკაშვილი დახვეწილად ხალხის ჭირ-პარასს. საფუძვლიანად არის გადმოცემული შალიკაშვილის ფრიად საინტერესო მოსაზრებანი აღზრდის შესახებ. იგი აშკარად ხედავს, თუ რა უბედურება მოაქვს ადამიანებისათვის სიღარიბეს.

«Можно все хвалить — все, кроме бедности... Ежели вы бедны; вам не позволяют иметь никакого достоинства: ум и таланты ваши заставляяют негодовать на вас, вам не прощают никакого успеха, ни малейшей славы; упрекают вас за наилучшие качества сердца; не сияют благородства чувствований, величия души вашей; требуют от вас унижения, рабленства, ничтожности... какое состояние!»

ადვილად წარმოსადგენია, როგორ უნდა ეგრძნო თავი ამ სიტყვების ავტორს იმ უხალკუთო საზოგადოებაში, რომელსაც ხელის აუკანაკლებლად მოუსწავთა სიცოცხლე პუშკინსა და ლერმონტოვს. ამასვე ვხედავთ მის პოეზიაში: «Мы счастливы — в мечтах; несчастны в самом деле; Печаль сущность, а радость — призрак сон». შალიკაშვილის, როგორც პოეტის დასახსიათებლად, ა. ს. პუშკინის სიტყვებიც კმარა:

«Он — милый поэт, человек достойный уважения и надеюся, что искренняя и полная похвала с моей стороны не будет ему неприятна. Он именно поэт прекрасного пола... У него много заслуг перед ним, и я очень доволен, что изъяснился о том всенародно».

რ. ჭიჭინაძე შემდეგ განიხილავს პ. შალიკაშვილის წიგნს „აზრები, ხასიათები და პორტრეტები“ (1815 წ.), რომელსაც დიდი წარმატება ხედომია წილად. აღსანიშნავია აგრეთვე, პ. შალიკაშვილის, როგორც მთარგმნელის მიღწევაწობა. იგი თარგმნიდა შატბრნიანს, მადამ დე სტალს, ჟანოლს.

„შალიკაშვილი ძალზე პოპულარული ყოფილა თანამედროვეთა შორის „აი შალიკოვი!“ — გაისმის ხალხში მორიდებული ჩურჩული, ან

«...Однако с одного конца России до другого, кому не было известно имя князя Шаликова?» — წერდა შერალი ი. მ. დოლოგოვი. მკითხველი დიდი ინტერესით შეიტყობს, რომ თვით პუშკინი „ევეგინი ონკინის“ პირველი თავის შესავალში იხსენიებდა შალიკოვს.

თავისი პირდაპირი, მოურიდებელი, შეუპოვარი, პრინციპული ხასიათის წყალობით შალიკაშვილმა ბევრი აიმეღღრა, რომლებიც ყოველნაირად ცდილობდნენ დაეცინათ მისი და აეშინებინათ ავადოთ იგი. „დიდ საბჭოთა ენციკლოპედიაში“ დაბეჭდილი ცნობის ავტორს რატომღაც

სწორედ ეს დამასხოვრებია, სხვა სიკეთე კი დაეცინა, მაგრამ მის როგორ დავემდურით, რედესაც ვაზუთმა „მოსკოვსკი ვედომოსტიში“, რომელსაც პეტრე შალიკაშვილმა 25 წელი შვალა, გულცილი, სულ რამდენიმე სტრიქონიანი ნეკროლოგი მოათავსა მის გარდაცვალებაზე, თუმცა იძულებული იყო აღენიშნა, რომ ეს იყო „თავისი ლიტერატურული მიღწევაშით მიუღეს რუსეთში დიდად ცნობილი თავიდა პეტრე ივანეს ძე შალიკოვი — 25 წლის მანძილზე „მოსკოვსკი ვედომოსტიში“ შეუცვლელი რედაქტორი და გამომცემელი“. ვაზუთმა „სევერნია პრელაში“ მას უწოდა „სახელგანთქმული მწერალი და ჟურნალისტი“, რომელმაც „მთელი თავისი სიცოცხლე შესწირა ჭეშმარიტ ხელოვნების სამსახურს“. იგი გარდაიცვალა 85 წლისა და დაასაფლავეს სერაპიოვის წმინდანთა მონასტერში, „სადაც ასაფლავებდნენ ყველაზე გამოჩენილ და სახსლოვან რუს მამულიშვილებს“. მთელ წიგნში ნათლად არის გატარებული მისი აზრი, რომ შალიკაშვილს „უსაზღვროდ, ღრმა გრძნობით უყვარდა რუსეთი“.

დასასრულ განხილულია დიდი რუსი კრიტიკოსის პ. ბელინსკის პატივისცემა და კრიტიკული დამოკიდებულება პ. შალიკაშვილისადმი.

წიგნის უკანასკნელი თავი მიძღვნილია ნატალია შალიკაშვილისადმი. ეს იყო პეტრე შალიკაშვილის ასული, „იმ დროისათვის პოპულარული მწერალი და რუსული ჟურნალისტიკის ისტორიაში პირველი ჟურნალისტი ქალი... იგი იმდროინდელი მოსკოვის არისტოკრატიულ წრეში უღმაზრეს ქალად ითვლებოდა. ნატალია შალიკაშვილმა საზოგადოების ყურადღება თავისი მოთხრობებითა და რომანებით მიიპყრო, რომელთაც ელენე ნარკისას ფსევდონიმით აქვეყნებდა“. რ. ჭიჭინაძე ვრცლად მიმოიხილავს ნ. შალიკაშვილის საინტერესო შემოქმედებას, რომელიც განსმკვლულია ადამიანური სითბოთი და ამაღლებული კეთილშობილი გრძნობებით. ავტორი გვაცნობს ნატალია შალიკოვას რომანების „ორი დის“, „ბულატოვების ოჯახის“, „თავისუფალი არქივანის“, „ლუკაპურისათვის“, მოთხრობა „უკიდურესი გაჭირების“ შინაარსს, სადაც ნ. შალიკოვა დაუნდობლად ამხელს მადლი არისტოკრატიული საზოგადოების (რომელსაც თვითვე ეკუთვნოდა!) ქარაფშუტულ, უაზრო, ანგარებიან და გრძნობაგამოცილებლ ცხოვრებას, რომელიც გარს ერტყა ნ. შალიკოვას გმირებს. ენობრივ ყოველივე ამას და სინათლის გრძნობა გუგულებანი მის გამო, რომ დღემდე არაინი დიკტირებსება ამ შესანიშნავი ქალის პიროვნებით და მისი ნაწარმოებები ქართული მეცნიერებისათვის არ გაუცვნიან.

წიგნში შესაფერი ადგილი აქვთ მიენილი იმ პირებს, რომლებიც თავგანდობით ცდილობდნენ პეტრე შალიკაშვილის პიროვნების დამცირებას. ესენი იყვნენ მ. ა. დმიტრიევი, მ. ტ. კაჩნოვსკი, ნ. ი. გენდიჩი და კ. ნ. ბატუმკოვი.

ერთი სიტყვით, ჩვენს წინაშე საყურადღებო ნაშრომი, დაწერილი სიყვარულითა და საქვის კოდნით. წიგნი შეუნელებელი ინტერესით იკითხება.

კომპოზიტორ ლილი იაშვილს 50 წელი შეუსრულდა. უჩვეულოდ დაიწყო მისი შემოქმედებითი ბიოგრაფია. ამ ორი ათეული წლის წინ ბედნიერმა შემთხვევამ მიიყვანა იგი საჭარბოვან სპორტულ საზოგადოებაში, სადაც კონცერტმასიტერობა შესთავაზეს. ხალისით შეუდგა მოღვაწეობას, უმაღლეს შეარჩია საინტერესო მუსიკალური მასალა (ძირითადად კლასიკოსთა მუსიკალური მემკვიდრეობიდან), რომელიც ზუსტად პასუხობდა მხატვრული ტანვარჯიშის სპეციფიკურ თავისებურებებს. მაშინვე გამოვლინდა ლილი იაშვილის თვალსაჩინო იმპროვიზაციული ნიჭი, იშვიათი მუსიკალობა, ინტუიცია, რის გამოც იგი კარგად გრძნობდა სპორტული ვარჯიშების კომპოზიციურ სტრუქტურას, რიტმულ იმპულსებს, პლასტიკურ გამომსახველობასა და მხატვრულ შინაარსს. მის მიერ შერჩეული მაღალმხატვრული მუსიკალური ნაწარმოებები ხელს უწყობდნენ მუსიკალური საწყისის განვითარებას, რაც ასე საჭირო და აუცილებელია სპორტის ამ სახეობის მხატვრული სრულყოფისათვის. ლ. იაშვილს ახალგაზრდა სპორტსმენები ამ გზით შეჰყავდა დიდი მუსიკის სამყაროში, რაც, თავის მხრივ, ამაღლებდა მათს ესთეტიკურ დონესა და გემოვნებას.

არსებითად, აქვე დაიწყო ლილი იაშვილმა საკუთარი შემოქმედებითი შესაძლებლობების მოსიზრვავც. მან თითქმის თავისდაუნებურად მიჰყო ხელი კომპოზიციას, ქმნიდა მარშებსა და საცეკვაო ხასიათის სუიტებს, მათში აქსოვდა ეროვნულ ინტონაციებსა და მელიოდურ სახეებს. ყოველივე ამან, უთუოდ, შეუწყო ხელი ლილი იაშვილის მოწოდების გამოვლენას, მისი ნიჭის განვითარებას. მისმა მუსიკალურმა კომპოზიციებმა უმაღლეს მნიშვნელობა უნაღებდა. ლილი იაშვილს განსაკუთრებული ინტერესით ადევნებდა თვალყურს სპორტის დამსახურებული ოსტატი გიორგი მერკვილაძე, რომელიც ხშირად წაახალისებდა ზოლმე დაწვევებ კომპოზიტორს.

1947 წელს საბჭოთა სახელმწიფო

ლილი იაშვილი.



სივლით პოპონავალი

ფოს დაარსებიდან 30 წლისთავის აღსანიშნავად გამოცხადდა საკავშირო კონკურსი ადლუმის საუკეთესო მუსიკალურ გაფორმებაზე. ამ კონკურსში მოულოდნელად გაიმარჯვა მაშინ სრულიად უცნობმა კომპოზიტორმა ლილი იაშვილმა, რომელსაც იმხანად სპეციალური მუსიკალური განათლებაც კი არ ჰქონდა მიღებული.

ამ წარმატებამ მიიყვანა ლილი

იაშვილი თბილისის ვ. სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიაში. არსებითად, ეს იყო შეწყვეტილი მუსიკალური განათლების გაგრძელება. ბავშვობაში იგი თბილისის I მუსიკალურ სასწავლებელში სწავლობდა ფორტეპიანოზე დაკვებას. ერთხანს გაკვეთილებს იღებდა გამოჩენილ მუსიკოსთან, საბჭოთა პიანისტური სკოლის ფუძემდებელთან — ა. გოლდენევიჩერთან.

კონსერვატორიაში კი ლ. იაშვილმა საკომპოზიტორო ფაქულტეტი აირჩია და ცნობილი კომპოზიტორის, პროფესორ იონა ტუსკიას კლასში ჩაირიცხა.

გულმოდგინედ და მთელი სერიოზულობით შეუდგა იგი პროფესიული ჩვენების გამომუშავებას. ქმნიდა სხვადასხვა ჟანრის მუსიკალურ ნაწარმოებებს, უკვე მაშინ თვალსაჩინოდ გამოვლინდა ლ. იაშვილის ნიჭის ინდივიდუალური მხარეები — მომხიბვლელი მელოდირობა, ლირიკული გულთადაობა, მხატვრულ სახეზე ემოციურობა და სიხდადემ. ამ თანდაყოლილი თვისებების გამო მისი შემოქმედებითი ბუნებისათვის განსაკუთრებით ახლობელი აღმოჩნდა ვოკალური მუსიკა. კონსერვატორიის დამთავრების შემდეგ სწორედ ამ მიმართულებით განვითარდა მისი მოღვაწეობა.

ამჟამად ლილი იაშვილი მუშაობს ვოკალური მუსიკის სხვადასხვა ჟანრში, გატაცებით ქმნის საბავშვო, საესტრადო და კამერულ-ვოკალური მუსიკის ნაწარმოებებს.

ნორჩების წმინდა და უმანკო სამყარო, მათი სიწმიდე და უშუალოდ შეუნელებლად იზიდავს ლილი იაშვილის ყურადღებას. ამ ინტერესმა მიიყვანა იგი თბილისის პიონერთა სასახლეში და თოჯინების თეატრშიც, სადაც მას არა ერთი სპექტაკლი აქვს გაფორმებული. ამჟამად ლ. იაშვილი ნორჩ კომპოზიტორებს ასწავლის თბილისის III მუსიკალურ სკოლაში.

იგი უმღერის პატარებს, უამბობს მათ სიკეთესა და სილამაზუხე, ბუნების მშვენიერებაზე — ყვავილებსა და ტყეებზე, მზესა და ღრუბლებზე, თოჯინებს, მელაკუდას ემპეკობასა და კმკლუტ ჩიტუნებზე... ამ სიმღერებისათვის დამახასიათებელია სიხალისე და სახიფათო, უბრალო მელოდირი ინტონაციის ხატოვანი აქლერება.

პატარებმაც სიყვარულით უპასუხეს ლილი იაშვილის ფაქვს მშობლიურ გრძნობას, ისინი გატაცებით მღერავენ მის სიმღერებს, რომლებშიც აქსოვენ თავიანთ ოცნებას, გამოხა-

ტავენ საკუთარ დამოკიდებულებას მათთვის ახლობელ სამყაროზე.

მნიშვნელოვანი წვლილი შეაქვს ლილი იაშვილს ქართული საესტრადო მუსიკის აღმავლობაში. იგი მიეკუთვნება ქართველ კომპოზიტორთა იმ თაობას, რომლებმაც 60-იან წლებში საფუძვლიანი გარდაქმნები მოახდინეს ქართული საესტრადო მუსიკის ჟანრში. ეს კომპოზიტორები არიან — რევაზ ლალიძე, გიორგი ცაბაძე, შოთა მილორავა და სხვები.

მათ მხარს უმხმენებს ლილი იაშვილი, რომელმაც მიაგნო ქართული ესტრადისათვის შესატყვის ერთგულ მუსიკალურ სახეებს, მიაგნო საკუთარ ინტონაციას, რომელიც პარმონიულად ჩაჰსოვავ საესტრადო სიმღერის სპეციფიკურ თავისებურებაში. დღეს ლილი იაშვილი 40-მდე სიმღერის ავტორია. მათ შორის განსაკუთრებული პოპულარობით სარგებლობენ: „გეპატყეებით ყველას“, „რაც უფრო შორს ხარ“, „თბილისური საღამოები“, „პატარა სიმღერა“, „ერთ სიმღერას დავეძებდი“, „თოჯინის ფიჭქები“, „სიყვარული ზღაპარი“ და სხვ.

ამ სიმღერების მომხიბლავი მხარეებია — ლირიკული სიბოძო და გამომსახველი მელოდირობა. ლილი იაშვილი გატაცებით და უშუალოდ გადმოსცემს ადამიანთა ინტიმურ განცდებს — სიყვარულს, სევდასა და სიხარულს. პოეტურად აღიქვამს ცხოვრებას, ყოველდღიურობას, ბუნებას. უმღერის სამშობლოს, ჩვენს მსცოვან დედაქალაქსა და ადამიანთა მშვიდობიან თანარსებობას.

ლილი იაშვილის სასიმღერო შემოქმედების შესანიშნავი ნიმუშია სიმღერა „ია, ია“ შალვა აფხაზის ტექსტზე. ამ პოეტურმა ქმნილებამ უმაღლეს გააიკლია გზა ქართულ ესტრადაზე და ამ ჟანრის საუკეთესო ნაწარმოებად იქნა აღიარებული. მასში თავი მოიყარეს კომპოზიტორის ნიჭის საუკეთესო მხარეებმა — ფაქვმა გულისთქმამ, მღერადობამ, ნახსაც განცდამ. ამ სიმღერით მოვიდა ესტრადაზე ცნობილი მომღერალი ლილი გვეგლია. მისი დებიუ-

ტის წარმატებაში ლილი იაშვილისაც მიუძღვის თვალსაჩინო წვლილი.

დღეს ლილი იაშვილის სიმღერებს მღერავენ ქართული ესტრადის პოპულარული მომღერლები — მერა ვილელი, გიული ჩხეიძე, ინლია გურგულია, მარის გომიანი, ციციანო ციციანი, სულიკო კორძინაძე და სხვები.

ლილი იაშვილმა მრავალი სიმღერა უძღვნა ჩვენს დედაქალაქს. თბილისის 1500 წლისთავის შთაგონებით შეიქმნა მგზნებარე პატრიოტული სიმღერა „გეპატყეებით ყველას“, რომელსაც ასრულებს ჩვენი სახელმწიფოს მომღერალი ზურაბ ანჯაფარიძე.

უკანასკნელი წლების მანძილზე კომპოზიტორმა გააფართოვა თავისი შემოქმედების ჟანრობრივი სფერო. მან შექმნა პირველი ქართული საბავშვო ოპერეტა — „ბაბაჯანას ქოშები“, რომელიც უკვე ორი წელია წარმატებით იდგმება თბილისის რ. აბაშიძის სახელობის მუსიკალური კომედიის თეატრში. ამ ნაწარმოებს სასუფუღად დაედო გამოჩენილი პოეტის იოსებ გრიშაშვილის ცნობილი ნაწარმოები (ლიბრეტოს ავტორია მ. თარხნიშვილი).

კომპოზიტორის სასახელოდ უნდა ითქვას, რომ მან მიაგნო ამ ნაწარმოების მუსიკალურ გასაღებს. ხატუნად გადმოსცა „ბაბაჯანას ქოშები“ ძველი თბილისური კოლორიტი, სევდანარევი ეუმორი და ის ამაღლებველი სიკეთე, რომელსაც პოეტი ამტკავნებს თავისი უიღბლო გმირისადმი. ლ. იაშვილმა ამ სიურპრიზით გაახარა პატარები, რომელნიც მაინცდამაინც არ არიან განებივრებული დიდი ფორმის მუსიკაგულარულ-თეატრალური ქმნილებებით.

ხალისიანი სიცილი, ცხოველი ინტერესი, მღელვარე განცდა სუფვს მაყურებელთა დარბაზში, პატარები გაფაცვიცხით აღევნებენ თვალყურს სცენაზე მიმდინარე მოვლენებს. ასეთი რეაქციით გამოხატავენ ისინი კმაყოფილებასა და მადლოვრებას.

ლილი იაშვილისათვის კი ეს ყველაზე მაღალი ჯილდოა.



გ. საბაძე, დ. ჯაფარიძე.

დივრა ძეგლისათვის სამამულო ომში
დაღუპულ მებრძოლთა ხსოვნის აღსა-
ნიშნავად.



სცენა სპექტაკლიდან „კურკას ჭორწილი“.
კურკა — ბ. ბეგალოშვილი, ფირუზა — თ.
ხელაშვილი

მესკოპედიის თეატრის ახალი სპექტაკლი

ზურაბ რცხილაძე

„პურპას ქორწილი“ ძალზე კოლორიტული მოთხრობაა. ამ ნაწარმოებში მიხეილ ჯავახიშვილმა გამოსახველად დაგვიხატა ქალაქური ყოფის პატარა სურათი.

ვასო აბაშიძის სახელობის მუსიკალური კომედიის თეატრის ამავე სახელწოდების სპექტაკლისადმი ინტერესი მოთხრობის დიდი პოპულარობითაც არის განპირობებული. თუმცა მოთხრობიდან სპექტაკლში ბევრი არაფერი დარჩენილა. შეცვლილია არსი, მოქმედი პირები, მათი მსოფლმხედველობა. დარჩენილია მხოლოდ ერთი-ორი პერსონაჟის სახელი და საერთო სურნელება. ერთი სიტყვით, ეს სხვა კურკაა და მისი ჭორწილიც სხვაგვარია. როცა დრამატურგი მწერალს არ მიჰყვება და ირჩევს ახალ გზას, მაშინ მან უნდა მოგვეცეს ისეთი სასცენო ნაწარმოების ნიმუში, რომელიც დრამატურგიის კანონებს დააკმაყოფილებს. მართლაც, მ. თარხნიშვილის ლიბრეტო აგებულია მახვილ ყოფითა და სოციალურ სიტუაციებზე, ლირიკული და კომიკური მომენტების მონაცვლეობაზე.

არ ცვლილებები განიცადა მ. ჯავახიშვილის მოთხრობაში? კურკა—კეთილი, მაგრამ ბეჩავი, ჯაბანი და ხეიბარი ლიტერატურული გმირია. მ. თარხნიშვილმა კი იგი გამარჯვების, ბედნიერი მომავლისა და სიმართლის რწმენით გამსჭვალულ გმირად აქცია.

ქველი თბილისის ყოფაცხოვრების ფონზე ცოცხლებიან წარსულის პერსონაჟები, მაგრამ ისინი თანამედროვე აღმიაწიები არიან, თავიანთი ზრახვებითა და მისწრაფებებით. ყარაჩხელთა ამქარი, უბრალო ხელოსნები, თვით მდიდარი ვაჭრის ცოლიც კი კურკაში ბედუკუღმართობისადმი პროტესტის გრძნობას აღვივებენ.

ჩვენს თვალწინ ქველი ქალაქური ცხოვრების მრავალი კოლორიტული და დაიწყოებული სურათი ცოცხლდება. ჩანს ქალაქური კოლორიტის კარგი ცოდნა.

სპექტაკლში თვალსაჩინოა დრამატული საწყისი, რომელიც თითქოს უცხოა მუსიკალური კომედიის ბუნებისათ-



ვის. სინამდვილეში კი სწორედ იგი ამახვილებს ნაწარმოების შინაარსს და რელიეფურს ხდის სპექტაკლის კომიკური მხარესაც. ეს მით უფრო მნიშვნელოვანია, რომ კომიკური საწყისი სოციალური საფუძვლებიდან მომდინარეობს და გადმოსცემს დამაფიქრებელ და საგულისხმო ცხოვრებისეულ მოვლენებს. ამ ფაქტში თავი იჩინა მუსიკალური კომედიის თეატრის ახალმა შემოქმედებითმა ტენდენციამ, სი-ახლის ძიებამ, რასაც ოპერეტის ჟანრული საზღვრების გაფართოება მოჰყვება.

„კურკას ქორწილის“ მუსიკა ეკუთვნის ხელოვნების დამსახურებულ მოღვაწეს, ცნობილ კომპოზიტორ გიორგი ცაბაძეს. ის, რომ ქალაქური ყოფის ამსახველმა ლიბრეტომ კომპოზიტორის ყურადღება მიიქცია, სასვებით კანონზომიერია, რადგან გიორგი ცაბაძე შესანიშნავად იცნობს ქალაქურ მუსიკალურ ფოლკლორს, მისი დაუმრეტელი შელოდიური ნიჭი კარგად ეგუება ქალაქური მუსიკის თავისებურებებს. მრავალი მისი სიმღერა ხალხმა შეიყვარა, თავისად გაიხადა, რაც მის ფართო აღიარებაზე მეტყველებს. გ. ცაბაძე ნაყოფიერად მოღვაწეობს მუსიკალური კომედიის ჟანრშიც. საბჭოთა კავშირის მრავალ ქალაქში იდგმება მისი ოპერეტები. „კურკას ქორწილი“ კომპოზიტორის კიდევ ერთი წარმატებაა. მისი მუსიკა ორგანულად ერწყმის ლიბრეტოს და ნაწარმოების მუსიკალურ-სცენურ მთლიანობას განაპირობებს. მასში თავმოყრილია ძალზე მღერადი და გამომსახველი არიები (კურკას I და II არია და დუეტი, ლიზასა და დავითის დუეტი, ყარაჩხელთა სიმღერა და სხვ.). მაგრამ ცალკეული მუსიკალური ნომრების ღირსებანი გასაკვირი როდია. გ. ცაბაძე სიმღერის ნამდვილი ოსტატია და ეს მკაფიოდ ჩანს ამ ოპერეტაშიც.

„კურკას ქორწილში“ ყურადსაღებია მუსიკალური დრა-

მატურგია. იგი მკაფიო, სასოგანი და გამომსახველია კარად ჩანს ჟანრის სპეციფიკის ღრმა ცოდნა, ავტორის პროფესიული ხელწერა.

მუსიკა სცენური მოქმედების ილუსტრაციას კი არ წარმოადგენს, არამედ გამოსატავს ნაწარმოების საერთო შინაარსს, იძლევა პერსონაჟთა პორტრეტებს, ხსნის მათ ურთიერთდამოკიდებულებას და განცდათა სამყაროს.


მომღერლებს მუდამ ჰყავთ ხოლმე ამორჩეული მათი შემოქმედებითი ბუნებისათვის განსაკუთრებით ახლოვლი კომპოზიტორი, რომლის მუსიკა შთააგონებს და ხელს უწყობს სამემსრულებლო გამომსახველობის გამოვლენასაც. მუსიკალური კომედიის თეატრის მსახიობებისათვის ასეთი კომპოზიტორია გ. ცაბაძე. „კურკას ქორწილში“ სიმღერა ლაღად, თავისუფლად მიედინება, მისი მელოდიურობა სიზლავს და იტაცებს შემსრულებლებსა და მსმენელს. საორკესტრო პარტიაც მსუბუქად ჟღერს და ხელს უწყობს ხასიათების თუ განცდების გადმოცემას.

სპექტაკლი დადგა ხელოვნების დამსახურებულმა მოღვაწემ, რეჟისორმა ბ. გამრეკლმა. კვლავ გამოვლინდა მისი ალლო, მსახიობთა ინდივიდუალობის კარგი ცოდნა. ყოველივე ეს თვალსაჩინოა თუნდაც როლების მართებული განაწილებიდან.

სპექტაკლის ცენტრშია კურკას სიყვარული ობოლი სოფიოსადმი. მასში ვლინდება სპექტაკლის მორალურ-ეთიკური სახე. ლირიკულ-სატრფალო საწყისთან ურთიერთკავშირში ვლინდება სოციალური წინააღმდეგობანი, უბრალო ხელოსანთა გულმარტობა.

სპექტაკლი დინამიკურად ვითარდება. განსაკუთრებით საინტერესოდ არის გადაწყვეტილი ლოცვას სცენა—შუქით განათებულია მხოლოდ კურკას სახე. მუხლმოდრეკილი

სცენა სპექტაკლიდან.
 ლიზა — ბ. იანვარაშვილი,
 სოფო — ე. გურაშვილი.





სცენა სპეტაკლიდან.

სცენა სპეტაკლიდან.



„კურკას ქორწილი“.
ლიზა — ბ. იანვარაშვილი,
ბოლშა-ვანო — ვ. სალარიძე,
კურკა — ბ. ბეგალიშვილი.



მლოცველი მფარველობას სთხოვს ზეციერს... მისი ფიქრი და ოცნება ერთი ობოლი გოგოა, რომელიც მას კეთილ ანგელოზად ესახება. უეცრად შუქი გადაინაცვლებს და გამოჩნდება ის, ვისზეც კურკა ლოცულობს. ეს სცენა გამოირჩევა გრძნობათა სიწმინდით, ლირიკული განცდების უშუალოდობით. ამ მომენტში რელიეფურად არის გამოკვეთილი წმინდა სიყვარულის მაღალი იდეა. შუქ-ჩრდილების ეფექტით რეჟისორი ხელს უწყობს საერთო განწყობილების შექმნას. ამავე დროს, მაყურებელი გრძნობს, რომ მოსალოდნელია ვითარების გართულება — სასიყვარულო იდილიის დარღვევა.

შთამბეჭდავია სპექტაკლის ფინალური სცენა, ჩანს რეჟისორის ფაქიზი, ლირიკული ხელწერა. ჩარჩი ვანოს ბილ-

წი ზრახვები ჩაიფუშა წინააღმდეგობების გადალახვამ კიდევ უფრო განამტკიცა კურკასა და სოფიოს სიყვარული. ერთმანეთის გვერდი-გვერდ განმარტობით მიმჯდარ ბედნიერ წყვილს ჩაეძინება.

„კურკას ქორწილის“ წარმატების აქტიური მონაწილენი არიან ნიჭიერი მსახიობები. კურკას ანსახიერებს მსახიობი ბ. ბეგალიშვილი. იგი ყურადღებას იპყრობს პლასტიკური გამომსახველობით, სიწრფელით. ყურადსაღებია მისი მკაფიო დიქცია — მეტყველებსა თუ სიმღერაში არც ერთი ბეგრა არ იკარგება. მისი კურკა სიცოცხლით სავსე, გულღია პერსონაჟია. ბ. ბეგალიშვილის შემოქმედებით ბიოგრაფიაში კურკას სახე განცალკევებით დგას, რადგან ამ როლში მსახიობმა კომიკური და ლირიკული განცდების

„კურკას ქორწილი“. მარგო — ნ. კოდანოვა.





გვერდით გამოავლინა დრამატული მღელვარებაც, რაც მის ფართო აქტიურულ შესაძლებლობებზე მეტყველებს. გუ-სურვით მის მეტი უშუალოდ ლირიკულ სცენებში, შეფარებულთა ერთეულობაში.

საქეტაკლში კოლორიტულ სახეს ქმნის მსახიობი ნ. კოდანოვა. მის მიერ განსახიერებული მარგო ბოლმა-ვანოს ხასა და ბობილის ბალ-რესტორნების „მშენებმა“. ავი ეუბნება კიდევ გაკვირვებული კურკა: რა ანა ბაჯითი ცნობილი ქალი ხართ. მარგო ბოლმა-ვანოს მიჰყვდლება და მისი ბოროტი ზრახვების თანამაზრეუ გამხდარა. მსახიობის მარგოს პორტრეტის გამოძრწვნი ხელს უწყობს ხმა, გარეგნობა, მიხრა-მოსრა, მიმიკა. ნ. კოდანოვას მარგო უარყოფითი გმირია, მაყურებელი მის ბოროტ მიზნებს არ იზიარებს, მაგრამ მისდამი მტრულად მონაც არ არის განწყობილი, რადგან იგი ხედვით, რომ მარგო სოციალური წინააღმდეგობების მსხვერპლია. ამდენად იგი შეცოდებას იწვევს, თუმცა მისი მოქმედება დასაგმობი და მიუღებელია.

საქეტაკლში ბოლმა-ვანოს ანსახიერებენ საქართველოს სახალხო არტისტები ვ. სალარიძე და შ. ხაჯალია. ვ. სალარიძის გმირი ლვარძლიანი და ციხერია. იგი არასოდეს არ იღიბება. უკმაყოფილოა მამინაც კი, როდესაც საწა-დღის აისრულებს. ერთი სიტყვით, ვ. სალარიძე ხატავს სოციალურ ტიპს, რომლის უარყოფითი მხარეები არა მარტო ბიბიქტური პირობებით არის განპირობებული, არამედ სუ-ბიექტური თვისებებითაცაა დამიძებული. ვ. სალარიძის გმირის სტიქათა — სიყრუე, ორპირობა, გამომალვა. მსახიობი გარწმუნებით, რომ ასეთი ადამიანების წინააღმდეგ ბრძოლა საჭირო, ისინი ბოროტებას თვსვენ.

ნ. ხაჯალიას ბოლმა-ვანო განსხვავდება ვ. სალარიძის გმირისაგან თუნდაც იმით, რომ მსახიობმა განსაკუთრებით გააზახვილა უფრადლება მის პრაქტიკულ-ვაჭურულ საქმიანობაზე, ხაჯალიას ბოლმა-ვანო გამორჩენის სენითაა შეპყრობილი. იგი თავვერბა ეგოისტბა, რომლის თითოეული მოქმედება ანგარებით არის ნაკარნახევი.

ამრიგად, ვ. სალარიძემ და შ. ხაჯალიამ საინტერესო სცენური სახეები შექმნეს. ამას ვერ ვიტყოდო ლიზას შესახებ. აქ ლიბრეტისტმა სინქლეთები შეუქმნა მსახიობის. საქეტაკლში ამ როლის განვითარება არ ხდება. მაყურებელი ტაშს უკრავს მსახიობის სიტყვებს — მე ქალი არ ვიყი, თუ ეს წინშობა ქელხსად არ გადაგიქციოთო, მასში ხედვას კეთილანათვის მემობარ ქალს, რომელიც საკუთარ ქმარსაც კი წინ აღუდგება. მაგრამ ეს სიტყვებია მხოლოდ. სიმართლისათვის ბრძოლაში იგი საერთოდ არ მონაწილეობს და მხოლოდ რესპუბლიკის დამსახურებული არტისტის ბ. იანვარიაშვილის ნიჭი და ოსტატობა ანიჭებს ამ სახეს სიცოცხლისუნარიანობასა და თავისებურ კოლორიტს.

სოფლის ორი შემსრულებელი ჭყავს: რესპუბლიკის დამსახურებული არტისტი ე. გურაშვილი და მსახიობი ი. ბიჭიძე.

ე. გურაშვილის სოფიო ლირიკული პერსონაჟია, თვალსაჩინოა მსახიობის კარგი ვოკალური მონაცემები. იგი სიმღერით გადმოსცემს სოფლის გაწკნებას, სხვადასხვაგვარ

განწყობილებებს, მის სიწმინდეს. მისი ვოკალური დამაპყრებელი, შესატყვისად შეფერადებული და მკაფიოა.

ბ. ბოჭიძის სოფიო შედარებით აქტიურია, ტკმპერ-მენტული, თუმცა ზოგჯერ გრძობების სიჭარბე დაღს ას-ვამს ვოკალურ გამომსახველობას.

საქეტაკლში საინტერესოდ არის დამუშავებული ჟანრული ეპიზოდები. სასოვანად არის ნაჩვენები თბილისური ყოფა. ეპიზოდურ როლებს შთამბეჭდავად ანსახიერებენ თეატრის ნიჭიერი მსახიობები. სულ რაღაც ათიოდე წუთია სცენაზე მსახიობი ი. დათუკიშვილი, მაგრამ მისი როლი მრავალფეროვანი განწყობილებით გამოირჩევა. მეყვავილე ცხოვრებაში უიღბლო კაცია, მაგრამ სიცოცხლით სახეს, თავის უიღბლობას სადაც გულის სიღრმეში მალავს, მშვი-ლია და დიდსულოვანი. ბედს ეუმართი უწივის. მსახიობი წრფელია, მისი გჯერა და ამიტომ თანაურძნობ.

ერთი შეხედვით, თითქოს უმნიშვნელო როლი აქვს თეატრის ვეტერანს, რესპუბლიკის დამსახურებულ არტისტს მ. ბერიაშვილს, მაგრამ მისი ვაჭარი ძალზე სახიერია. მსახიობმა მიავნო სახასიათო შტრიხებს, ამიტომაც მაყურებელი იხსოვებს მას.

რესპუბლიკის დამსახურებული არტისტის ი. ხელაშვილის ხარაში ფირუზა საქეტაკლის ერთ-ერთი ყველაზე თვალსაჩინო როლია. მსახიობი ვოკალურ-სცენური ოსტატობით ძერწავს ამ ძალზე კოლორიტული დარდიმანდი პერსონაჟის მომხიზველ სახეს. აღსანიშნავია მუხამბაზი, რომელსაც მსახიობი შთაგონებით, მუსიკალობით ასრულებს.

მაყურებელში სიმპათია აღძრავს ეპიზოდური როლები შემსრულებლებმა — რესპუბლიკის დამსახურებულმა არტისტებმა — ი. ქუთათელაძემ, ო. ბახტაძემ, მსახიობებმა — ა. გოგორიშვილმა, ბ. ნებეირიძემ, ჯ. თალაკვაძემ, ო. ბაზალაძემ, ა. მჭვიტემ. მაყურებელი ტაშით აჯილიძე-ვებს ო. ხელაშვილს და ბ. უვარდოს.

საქეტაკლში ცეკვები დადავა საქართველოს სახალხო არტისტმა ჯ. ბარკატინმა. როგორც სოლო ისე ანსამბლური ცეკვები ორგანულად რწყვიან წარმოდგენას. ამას ვერ ვიტყოდო ბაღდადურზე, რომელიც საქეტაკლის რეჟისორული შთანაფიქრიდან ამოვარდნილია. ისე კი, მსახიობი ა. ნიკოლაძე ჩინებულად ასრულებს მას. ბაღდადური ცალკე ნომრის შთაბეჭდილებას სტოვებს.

რესპუბლიკის ხელოვნების დამსახურებულმა მოღვაწეებმა მხატვრებმა რ. ნალბანდიანმა და ე. დონცოვამ საბოვანი დეკორაციები შექმნეს. მათ მსახიობებს შეუქმნეს სცენაზე მოძრაობის ხელსაყრელი პირობები.

რესპუბლიკის დირიჟორებს რევაზ ზურბიტაძე. იგი ღრმად ჩაწვდა მუსიკალურ პარტიტურას და ხელი შეუწყო წარმოდგენის მთლიანობას. არსებითად იგი ჰკრავს საქეტაკლის მუსიკალურ-ვოკალურს და სცენურ კომპონენტებს.

„კურკას ქორწილი“ თეატრის გამარჯვება და თბილისის ე. აბაშიძის სახელობის სახელმწიფო მუსიკალური კომედიის მიმდინარე სეზონის ერთ-ერთი საუკეთესო საქეტაკლია.

გ ე რ მ ა ნ უ ლ ი ღ ღ ი უ რ ი *

ოთარ ევაძე

ძარბაზული ფირფირა ალბარტინუმში

ბევრი საოცნებო და სანატრელი ადგილი ეგულებათ ქართულ შემოქმედთ, — მსახიობებს, მომღერლებს, მუსიკოსებს, მხატვრებს. მრავალი აქტიური მზადაა და საპატიოდაც იჩნევს მოსკოვში, მოსკოველების წინაშე კარგი როლით გამოსვლას, მომღერალი დიდ თეატრში, ან ლა-სკა-ლას სცენაზე გამოჩენას.

საოცნებოა მხატვრისათვის საკუთარი ნაწარმოებებით გამოჩენა ჩვენშიც და უცხოეთშიც, მოსკოვშიც, რომში და რა სჯობდა თუ დრეზდენშიც, დიას, დრეზდენშიც, იმ ქალაქში, სადაც „სიქსტის მადონა“ ნებივრობს და საყვარელი შეუღლის სასკიას გვერდით თავმიხატული რემბრანდტი ლაღობს, იმ დიდ სამხატვრო ცენტრში, სადაც ერთი კი არა, ორი დიდებული მუზეუმ-გალერეაა, — სახელგანთქმული ცვინგერი, უნიკალური დრეზდენის გალერეით ცნო-

ბილი და სახელმოსვებილი ალბერტინუმი ძვირფასი ფონდებით.

აი აქ, ინგლისელ-ამერიკელთა ზღრვისაგან ბედზე გადაარჩენილ დიდებულ სამუზეუმო-საექსპოზიციო შენობაში გაიხსნა ქართველ მხატვართა, — ფერმწერთა და გრაფიკოსთა გამოფენა და, ბუნებრივია, ყველასათვის იქ მოხვედრა საპატიოც იყო და საამოც.

ფართო შენობის ფართო დარბაზები ძველი და ახალი თაობის რჩეული მხატვრების ნამუშევრებით აივსო. ქართული ფერწერა და გრაფიკა მთელის მკაფიოებით წარსდგა ბევრის მნახველი, ღრმად შემცნობი, სწორად უნმფასებელი დრეზდენელების წინაშე და აღიარებაც დიდი სვდათ.

სახვითი ხელოვნება ცხოვრების არა მარტო ამსახველია, გამამშვენებელიც არის. იქნებ ამიტომ მოიწადინეს გერმანელმა მასპინძლებმა სილამაზის ეშში არ დაეკლოთ ქართველი მხატვრების გამოფენისათვის. ექსპოზიციის გახსნისას დარბაზში განლაგდა საქართველოს სიმებიანი კვარტეტი ვარდელის, თამაზ ბათიაშვილის, ნიღარ ჯვანიასა

* იხ. „საბჭოთა ხელოვნება“ № 5, 1970 წ.



და ბარნაბიშვილის შემადგენლობით. მათ გვერდით ედგათ გამოჩენილი კომპოზიტორი, თბილისის ვახო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიის რექტორი, პროფესორი სულხან ცინცაძე და შესაძლოა ისეთიარადვე ლულავა, როგორც გამოფენის მოხაზილად ლადო გუდიაშვილი, ჟანი მემქარიაშვილი, ქართული მუსიკალური, ვოკალური, თეატრალური, კინო თუ სურთომიმოდერული ხელოვნების მიხანად იქ დამსწერ მრავალი სხვა გამოჩენილი და გამორჩეული პიროვნება.

დარბაზებში შუკ დაუწიეს, რბილი ბინდი სურათებს ჩამოაშალა. მერე შუკ შინდღებზე დადგმული კვლავტრები აანთეს და ნახატებს თითქმის შარავანდელი მიაფრქვიეს. სისუქე ჩამოვარდა. დარბაზში ოთხი ქართველი მუსიკოსის ხელი შევირბა და სულხან ცინცაძის შექმნილ კვარტეტის ხმა იკურობას მოეფინა.

სიმეზიანი კვარტეტი უკრავდა. ფუნჯით ვაცოცხლებული საქართველო, ქართული ბუნება და სახეები ამტკველდნენ. მუსიკისა და სახთლების შუკი კიდევ უფრო ლამაზსა და აზრობას ხდოდა დიდსა თუ მცირე ზომის ექსპონატს. შესაძლოა, ამან მივსა მტეტი შთამაგონებლობას ძალა დამით განაბთებულ ჯვარის მონახატებს და ნარიყალას. დამე უბირი რაბაა, მაგრამ საკმარისი შუკის სხივი შეუკრას, რომ დამეც კი ხდება საამო, შთამბეჭდავი და თუ მას ნუსხი-სიმღერის მადლიც ეპკურება, დამე ზემიად იტყვევა.

ზემი იდგა იმ დღეს საგულდაგულად ჩანებლებულ აღბურთნულში, ზიმი, რომლის მთავარ მოძახილს მხატვრები ამბობდნენ, მუსიკოსები კი აღტაცებით ხმას უწყობდნენ, ლამაზსა და ძლიერს კიდევ უფრო აღამაზებდნენ და აღბურთნებდნენ, აფაქიზებდნენ და ახაზებდნენ კიდევ, სურათების სამყაროს აცოცხლებდნენ და სიცოცხლეს მშვენიერებად აჩენდნენ.

ღამეზიანი ყველაფერი და ყოველივე, რასაც გამჩნი დედა გააჩნია და გაგრძელებული მჭაკის კვლევებზე დავით კაკაბაძის „დედას“ გვირბა. იგი დაბოლოებული თითისტარის ატრილუმს და ძაფს ართავს. ასეთი ძაფებისავე შესდგება მისი და მისიანების ცხოვრება, ჩვენი და ჩვენიანების შთამომავლობა. მატყლის ძაფის გორგალსაც ისევე სჭირდება დედის შრომა, როგორც იმავე სურათზე გამოხატულ იმერტის პეისაქის დაჭირვალ-დღორდნილ და მერხნებად შე-მომოძობილ მიწის ნაკვეთებსაც. გერმანელები მსუბუქი აფ-და-სიხარულით უტყვირდნენ „დედას“ და ვგრძნობდი, რომ საკუთარ დედასაც ხედავდნენ. იქნებ ნოემვიგელის ვრძომბებსაც ამკვანებდნენ:

დედაც — სიცოცხლის დღოდ სავაიხო,
დედაც — ცხოვრების ბურჯო მჭარო,
ეს გული შენი გულით ხალისობს,
შენი თვალებით ვხედავ სამყაროს.

დედის ფიქორები გამოხატვა უნა ჯაფარიძემ პატარა ფერწერულ ტილოში და დიდი გრძნობა-ემოციები ამოქნა გერმანელების თვალუბში: მზითა და ქართლ დღორდნილი და ჩვენი დედ-მამის დაულავალი ხელების აყვავებულ ქართული მიწის ჩრდილიან წყაროსთან დედა კიკას აჯსენს და ფიქრით შეილება და სიცოცხლეს ლოცავს. უნაც გაიმეორებს პოეტის სიტყვებს:

შენ დაბოლოც კვენავე კაცობა,
თავზე ნაშუსის ქული დამხურბ.
შენვე გვეკუთვნის თუ რა მადლობა
და სიყვარული დავიმბახურბ.

გამოფენაზე მოსულები მიხობბულნი იყვნენ ქართველ მხატვართა ბუნების კეთილშობილებით, დედისადმი სიყვარულითა და მოკრძალებით, წარსულისა და აწმყოს შეც-

ნობა-შეყვარების მადლიერებით. დედაზე უტყვამდე კარტიველ შუკალ:

ახლა შენა ხარ ჩემი კანდელი,
სიცოცხლის დიდი გასხობონება,
შენ შემაუჯარე დღე დღევანდელი,
ხვალინდელ დღეზე ტბაბლი ოცნება.

დედ-მამაა ჩვენი ხალხის კანდელი და განა ესეც არ იგრძნობა ნანა მესხისძის კოლორიტულ „მამამი“. პატარა ბავშვები ასფალტზე მამის სურათს ხატავენ. ჯარისკაცის ქელში, გულზე მიბნეული მტლით. მიუხედა გატაცებით აღამაზებს მამიკოს, გოგონა ფიქრებით თაქნაღულუნდი დასცქერის მამის მხრებს და მის დაბრუნებაზე ოცნებობს.

დამბრუნდება კი? იქნებ არც ახასისუნ. განა გერმანელებმა თვითონ არ იციან, რამდენი ქართველიც არ დავიბრუნდა ასეთსავე პატარა უზო-ქოხებში, რამდენი ასეთი პატარა და-ძმა უცდიდა შინდაბრუნებულ მამას.

მათი გასცენება არც აქ დავევიწყებია, მათი შესანდობარი დრეწულების გამოფენაც გავიხსენებ და კარმანელებსაც ვაგვასწავნებ. ჩვენსა და ისინი ერთნაირი ძაღის მოკანალება-დაღალით შევეცქერებოდე ბუჯან მშველიძის „შეკანაღობას“. შინ მოსულ სამ მომბარს, მარტყლითა ორ ბაბუნა და ობლად დარჩენილ ერთ შვილიშვილს. მაგრამ, განა მარტყ ერთს? — ვინ მოთვლის რამდენსა. მერე და რაბომ? რად დავგატება კაცობრიობის სამდრედ გაჩენილმა პიტლურმა ასეთი უბედურება? რად გაყვენუნ სააკვაკოზე ამდრეს მიმდევრები, რად დააბოლეს შვილინი და შვილიშვილები?!

გამოფენაზე მოსულნი ისე არ მიიდან, რომ „შესანდობარი“ არა ნახონ. ძნელია ვგრძნობს აქვევა, — ძნელია, რადგან სიმათლეს ხედავენ, სიმათლემე კი ცრემლიც იცის.

მაგრამ, ყველა ომში როდი დაიღუპა. ზოგი უომრდაც წვიდა და მათაც დასტოვებს თავიანი თავზე კეთილი მოცონება და ხსენება.

ეს ვალკატონია, გამოჩენილი ქართველი პოეტი. გარდაიცვალა, და უკვდავად დარჩა. იგი ნატურიდან აღექსანდრე ბანჭელაძემ დასატა.

ეს, ნიკო ფიროსმანი, — უდიდესი ქართველი თვითნასწავალი მხატვარი. მისმა თანამედროვე ლადო გუდიაშვილმა აღბეჭდა.

ეს, გამოჩენილი მოქანდაკე იაკობ ნიკოლოძე, მარმარილის ენაზე მომღერალი. ქეთო მაღალაშვილმა დასწერა.

ეს სიცოცხლის სიყვარულით დაღლილი პოეტის ლადო ასათიანის ლამაზი სახეა. რუხო თურქიას ნაწერი.

მაგრამ, ქართველი მხატვრების ძალა იმშივე გამიჩნდა, რომ სუდასაც კი სიხარულის სათავედ ვადართავენ, დარდს შრომაში იჭარებენ, მიხანს მოქმედებაში ასორცილებენ, ოცნებებს ბრძოლა-გარჯობა ფრთებს ასხამენ.

ამის ძალას ფლობენ ლადო გუდიაშვილი და ელენე ახვლედიანი, რობერტ სტურუა, ჟანი მემქარიაშვილი, ზურაბ ნიყარაძე, თიარ სულავა, გივი თოიძე, რადიმ თორღია, ჯიბზონ ხუნდაძე, ჯეზალ ზუციშვილი, დიმიტრი ხახუტაშვილი, გურამ ქუთათელაძე, თენგიზ მირზაშვილი, ზურაბ მექვანიშვილი, ედმუნდ კლანიძაძე და ნათელა იანჭოშვილი, თენგიზ სამსინაძე და გოგი თოთიბაძე.

მნახველები დიდხანს ჩერდებოდნენ გიორგი თოთიბაძის ლავლაჟა სახის კახელ „თამადასთან“ და მიხეულ ზვიტაის ლირიკულ ვიზუალებთან, ელენე ახვლედიანის ძველი თბილისის კოლორიტის სურათებთან და ვაკატონი მადღავადის მშვენიერ ფერწერულ პორტრეტებთან.

საერთო აღიარება ხვდა გურამ გელოვანის ორ დღე სუ-

რათს, — „ოჯახი დუშეთიდან“ და უკვე ლენინიანას ფონდში მყარად შესულ დიდ კომპოზიციას — „ლენინი და კრუშჩევი რუსოვში“.

დრეზდენელები თვითონაც გაეცხოველებით ემზადებოდნენ ლენინის საიუბილეო თარიღისათვის და გელოვანის ამ კარგ ნამუშევარს მიწონების თვალით უყურებდნენ.

მოწონებით ათვალიერებდნენ ექსპოზიციის უმეტეს ნაწილს, კმაყოფილებას არცა მალავდნენ, — ზოგი შთაბეჭდილებათა წიგნში წერდა, ზოგი პრესაში ახშიარდა, ზოგიც იქვე საქართველომ დაარბაზში გამოთქვამდა.

— ჭარბივთ მხატვრები ერთმანეთს არა გვანან. ერთმანეთისაგან ისევე განსხვავდებიან, როგორც კოლხიდა კახეთისაგან, — მუნიშნა საქართველოში ნამყოფმა გერმანელმა მხატვარმა მიუნცერმა.

— ერთმანეთისაგან რომ განსხვავდებიან, სწორედ ეს გამოარჩევს მათ თანამედროვე ვეროპელი მხატვრებისაგან! — დასაკვნა ვეროემ.

— ასეთი გამორჩეულობა აძლევთ მათ უფლებას თქვან, რომ ქართველებს საკუთარი სტილი გააჩნიათ, თუმცა სტილიც ერთმანეთისადმი დამოკიდებულებაში თვითმყოფდები არიან, — ვუდიანვილი ჯაფარიძეს არა ჰკავს, ახვედლიანი — იანჭოშვილი, მირზაშვილი — ხუციშვილი, თორღია — ნიჭარაძეს, კალანდაძე — თოთბაქაძეს, ახობაძე — გოცაძეს, ბაღდავაძე — ნოღიას და მახარაძე — სამსონაძეს.

კოკი მახარაძის „მიწა ქართული“ აქაურებსაც მოეწონათ და იქაურებსაც, მნახველი აქაც ბევრი ჰყავდა და იქაც. ალბათ იმიტომაც, რომ მასზე თანამედროვე საქართველოც ჩანს და წარსულის ქართული ხასიათიც, შრომისა და ქალის კულტურა და ძველისა და ახლის პუწიც.

ასეთი პუწი აჩნდა ქართულ გამოფენას და მგონი ყველა ასე სჯიდა. შესაძლოა სხვაგვარადაც შესჯილებდნენ, მაგრამ განა შეიძლება ას მხატვარზე ასიათასი ერთი აზრი დარჩეს? მთავარია, ქართულმა გამოფენამ საერთო აღიარება ჰპოვა და თანაც სად, — დრეზდენში! დიახ, დრეზდენში, სახვითი ხელოვნების იმ გერმანულ ცენტრში, სადაც მრუდედ ცოტა ზომავს და ელამად ცოტა სწონის.

ხელოვანთა ინსტიტუტში

წინარ და განიერ ქუჩაზე მალაღი და ნათელი შენობა დგას. დრეზდენელები მას ხელოვანთა ინსტიტუტს უწოდებენ. იმ მოსწავლე ახალგაზრდობას სინჯითე-გარჯას უწონებენ და დროდადრო მათ ნამუშევრებსაც უყურებენ, ხან გამოფენებზე ეწვევიან, ხანაც აქტიორულ ვერინსაჟებზე უწერებიათ.

ხელოვანთა ინსტიტუტში ორი ფაკულტეტია — სახვითი ხელოვნებისა და თეატრალური. მხატვრები და აქტიორები ერთობლივ შემოქმედებით ატმოსფეროში იზრდებიან და ერთიმეორის ზეგავლენით იმ გარგს ითვისებენ, რასაც სხვაგან მხოლოდ ფაკულტეტური სწავლებით აღწევენ ხოლმე.

ფართო აუდიტორიაში სტუდენტები გველოდნენ. რექტორმა, ორმა პროფესორმა და ერთმა მასწავლებელმა, რომელსაც რუსული ენაც კარგად სცოდნია, სტუდენტთა წინაშე წარმადგინეს და ისე, როგორც წინასწარ დაბეჭდილი და დაგეგმილი პროგრამა ითვალისწინებდა, ახალგაზრდებთან სასაუბროდ გავედი: „სოციალისტური რეალიზმის განვითარება და პრობლემები თანამედროვე ქარ-

თულ სახვით ხელოვნებაში“, ასეთი იყო ჩემი ლექსითემა. სტუდენტები ღრმა ცნობისმოყვარეობით ისმენდნენ ჩვენებურ ფერმწერებზე, მოქანდაკეებზე, გრაფიკოსებზე, თეატრალურ თუ გამოყენებით ხელოვნების ოსტატებზე, რომლებიც უკვე გერმანიაშიც მოასწრეს გახმარება და დრეზდენში ნანახითა და განაგონ-წყაითხულითაც დიდად სასიამოვნო შთაბეჭდილება შეიქმნეს ქართულ სახვით ხელოვნებაზე.

გერმანელებს ვერ გააკვირვებ პლასტიკური ხელოვნებით, მით უფრო სასიამოვნო იყო, რომ ქართული მხატვრობის გამოფენის ნახვა უკვე მოესწროთ და დაფურავი კმაყოფილებით ლაპარაკობდნენ ნანახსა და განცდილზე, ქართულ კოლორისტულ ფერწერაზე, შინაგანი რიტმით გამორჩეულ გრაფიკაზე, პლასტიკური მონუმენტურობითა თუ კამერული მეტყველებით გამორჩეულ ქანდაკებებზე.

— დიდი ხანია არსებობს ქართული სახვითი ტრადიცია? — იკითხა ერთმა სტუდენტმა.

— საკმაოდ. ჩვენი საკუთესო ფრესკები, ხუროთმოძვერული შედევრები ბევრ საამაყოს ვგაძლევენ.

— დაზგური ფერწერა?

— უფრო ახალგაზრდაა, ვინემ გერმანული და რუსული, მაგრამ თუ ახლანდელით განსვსეთ, ღრმა წარსულიდან მოღვივებული მხატვრებია.

— რამ შეუწყო ხელი ქართული სახვითი ხელოვნების ასე ძალუმაღ აყვავებას?

— ხალხის ნიჭიერებამ.

— ნიჭი ძველდაც გასლდათ.

— მაგრამ, არ გვახლდა თავისუფლება. შემოქმედებას თავისუფლება ზრდის. შემოსულ დამპყრობლებს კი მორჩილების მოთხოვნა მოჰქონდათ. ამიტომ სალხმაც სერაი იხმარა, — მხატვრული შენოქმედების ისეთი დარგები განავითარა, რომელიც სულიერთან ერთად მისი ფიზიკური ძალეობის მობილეთა-განმტვიცებასაც უფრო მეტად ემზარებოდა. აქ კი სიმღერამ იხმარა, რადგან სამშობლოს დამცელებს მოახიანი სიმღერა ძალღონეს მატებდა და ნებისყოფა-ხალისს უმრავლებდა, ცეკვამაც იმარჯვა, რადგან ადამიანის ტანის პლასტიკასა და სერხიანობას აღივსებდა და ესთეტიკურს გამოხატებდა-გომნასტიკურშიც ვადქმნებდა. პოეზიაც მალღდებოდა, რადგან ლექსი სიბრძნესაც აძლევდა და ვულადობასაც ამატებდა, სიღამაჟსაც აწვევდა და ბოროტებასაც აჟულებდა. ეს სამი კომპონენტი — სიტყვა, ცეკვა და სიმღერა — იმ ლეიარღებდა იქცა, რითაც ქართველთამ თავი დაიცვა მონღოლების, არაბების, თურქებისა და სარასელების შემოსევისაგან. შემდეგ დიდი ოქტომბრის რევოლუციის გამარჯვებამ ჩვენი ერის პოტენციური ძალეობი არნახულად ამოქნა და იმ სამთა გვერდით ჰალი ორიც — თეატრი და სახვითი ხელოვნება — წელში გაბართა. დიახ, ახალგაზრდა დაზგური ფერწერა და ქანდაკება საქართველოში, სულ ასიღედ წელსაც არ ითვლის იგი, მაგრამ ისეთი დიდი სულიერი ტრადიციებიც უსწრებენ, რომ ძველთაგან წამოსულად გვექადნება.

— თქვენნი ჭედურობა ამაში გავრწმუნებ! — დამეთანხმა ქერა სტუდენტი.

— ფერწერაც! — დაუმატა ჩემს გვერდით მჯდომმა პროფესორმა.

— კერამიკაც დიდებული საბუთია.

— შედევრია! — მოიწონა თვალწინდაუდები, მაგრამ გონებით წარმოსახული ის მშვენიერი ექსპონატები, რაც ინსტიტუტის რექტორს ბერლინის კოპენიკში ენახა. მერე მე შემოხსნა და სტუდენტების გასაგონად წარმოთქვა:

— დრეზდენელი კამაყოფინი ვართ საქსონური ფაიფური. ჩვენი ოსტატები თქვენთვისაც ცნობილი არიან. დიდად ვწუხართ, რომ საქსონელებისათვის მხოლოდ ახლა გახდა ცნობილი ქართველ მხატვართა კერამიკული ქმნილებები, რომლებშიც საოცარი პარმონიულობით არის შერწყმული არქაული თანამედროვე გემოვნებასთან, სიმდგრადე — პაერონებისათან, გრაციულობა — სიმტკიცესთან, ხაზის ლაკონიურობა — კოლორიტულობასთან, ყველა და ყოველი იმასთან, რითაც წარმომიშვება ჭეშმარიტი მხატვრული ქმნილება, შედევრი, დიას, შედევრი!..

ფუძე და სიმაღლე

— რამდენადაც დაგრწუმნდით, თქვენი მხატვრები ერთმანეთს არა გვიანა. ალბათ, სხვადასხვა სკოლა გაგაჩნიათ?

— დაინტერესდა გრაფიკის ლექტორი.

— თქვენ წარმოიდგინეთ, არ!

— მაშ, მრავალი სამხატვრო სტუდია გქონიათ?!

— არა!

— ჩანს ცალკე მხატვართა სახელოსნოები ზრდიან სხვადასხვა ხელწერის ფერწერებს, მოქანდაკეებს, გრაფიკოსებს. ეს, ერთი და იგივეა!

— არა!

— ვერ გამოგია?! — გაიკვირვა მასპინძელმა.

— თბილისში ერთი სამხატვრო აკადემია გვაქვს, ერთიც საშუალო სასწავლებელი, მაგრამ კურსდამთავრებულები ერთმანეთს მაინც არ გვიანა, რადგან ჩვენში ერთფეროვნებას არა ქადაგებენ. სამხატვრო აკადემია აძლევს მტკიცე სიკლას, ხაზვის, ძერწვის აკადემიურ ჩვევებს. მაგრამ ვერ მისცემს იმას, რაც უკვე თვით მოსწავლეებს გააჩნიათ, — ინდივიდუალობას, გამორჩეულობას. საქართველო პატარა ქვეყანაა, მაგრამ ვერტიკალური სიმაღლით გამორჩეული. ყოველ ხუთას მეტრზე მცხოვრებთა ხასიათი და ფსიქიკა შესამჩნევად იცვლება. ზღვის ნაპირზე მცხოვრებთა ხასიათი, ტემპერამენტი, აზროვნების პლატიკურობა, გემოვნების შეკაზმულობა მნიშვნელოვნად განირჩევა ზღვის დონიდან ორი ათასი მეტრის სიმაღლეობათან. აქაც და იქაც სიმღერაც ერჩევა და ცეკვაც, სვა-ბასისიც და მოძრაობაც.

— ჩვენც ასე ვართ, — ჩაერთო სტუდენტი ქალი, — სამხრეთელები ჩრდილოელთა ლაპარაკსაც ძნელად ვარჩევთ.

— ჩვენ, ყველა თითქმის ერთ სიმაღლეზე ვმოსახლებით, — შეეშველა რექტორი, — ფსიქიკა და ტემპერამენტიც ერთნაირი გაგაჩნია და ძალთან ცუდია, რომ სალაპარაკო ენა მაინც გვეყავა. საქართველოში სხვა ყოფილა. იქ ენა ერთი აქვთ, — გასაგები და სამოქმედო, მაგრამ გეოგრაფიული ტერასები აჩვენენ ხასიათისა და მოძრაობის სხვა-

დასხვაგვარობას. ე. ი. თვით ბუნება, მათი სამშობლოც ფილა ის დიდი აკვანი, რომელიც ყველას თავთავისი კუთვნილებისამებრ ურწყებს. ამან წარმოშვა, ალბათ, მრავალფეროვნება მხატვრობაშიც.

— ჭეშმარიტებას ბრძანებთ! როცა მოისმენთ ანზორ კავსაძის სიმღერისა და ცეკვის ანსამბლის კონცერტს, ბევრი რამ უფრო ნათელი გახდება. გურულების სიმღერა წარმოუდგენლად განსხვავდება კახელებისაგან და მათ შუა მიქვეყლი საქართველოს მთა-ბარის მცხოვრებთა ცეკვა და მელოდია ყველა ერთმანეთისაგან. დიას, განსხვავდებიან, მაგრამ სწორედ ამ განსხვავებულობით ქმნიან ზედმიწევნით ქართულს, რომლის ფერებზეა თუ ინტონაციებში, ილეთ-სა თუ აზრში სხვისგან ნახსენებს ვერაფერს ნახავთ.

— ბედნიერი ერი ყოფილხართ!

— კიდევ იმიტომაც, რომ თქვენებურს, ქართულს, არ აკონსერვებთ, არ ჰყინებთ, — წარმოდგენილი სიოლით ამცნობთ თანამედროვეობაზე და წარსულს დღევანდელით აქცევთ, აწყობს კი წარსულის ფესუსა და კოლორიტს არ ართმევთ, — დაასვენა მანამდე გაყურებულმა ჭადარაპროფესორმა.

— ამაშია სწორედ ერის ნიჭიერება და ძლიერება, და, რა თქმა უნდა, უკვდავება, — დაეთანხმა რექტორი.

პარლია თუ გამოკმატილი სახელოსნოები

საუბარი ურთიერთგამოცდილებათა გაზიარებაზე გადაინთო.

— ქართველ მხატვრებს თუ აქვთ სახელოსნოები?

— უმრავლესობა. მაგრამ, არიან ისეთიც, რომლებსაც, გული გვტკივა, რომ ჯერ არა აქვთ. თქვენთან როგორი მდგომარეობაა?

— ააშენებთ ჯგუფურ სახელოსნოებს. ისეთსაც, რომელშიც ცნობილად რომ სხვადასხვა მხატვრები შედიან საშუალოს შესასრულებლად. მხატვარი შემოქმედებით მივლინებაში მიდის, მაგალითად, ორი-სამი თვით, ან უფრო მეტი დროით, სახელმწიფოსაგან ნაჭირავებ სახელოსნოს აბარებს და დაბრუნებისას ან იმსახე იბრუნებს, ან სხვა კორპუსის სხვა ნომირებულ სახელოსნოში შედის. ასეთი სისტემის გამოყენებით დრეჟენში სახელოსნოები არა სცდება და ქირის გადახდის პრობლემაც მსუბუქდება.

მე უარდალებით ვუსმენდი და თვალწინ წარმომიდგა ქართველი მხატვრების დიდი ნაწილის სახელოსნოები, რომლებიც სახელმწიფომ მისცა, მაგრამ ფეოდალურ, მიუდღეოლ ციხისმაგრებებად იქცა. ზოგი მხატვარი, ასეთით კი ცოტა არაა, უფექტოდ იყენებენ სახელოსნოებს, — ორ წელიწადში ერთხელაც არა ჩნდებიან საქართველოს მხატვართა გამოფენაზე, საზაფხულო და საშემოდგომოს ვილა სივის, რესპუბლიკურზეც კი ფებს ითრევენ. რას არ მოიმიჯნებენ, როგორ არ იმართლებენ თავს, მაგრამ სამუშაოდ მიცემულ სახელოსნოს მაინც აცდნენ. ეს მაშინ, როცა, უქმად გამოკეტილი სახელოსნოს კარის წინ მუშაობის წყურვილით სავსე ახალგაზრდა მხატვრების რიგი დგას და რაკი სახელმწიფო სახელოსნოებზე პირადულობის „ფეოდალური“ ორდერი მოქმედებს, მათი მოთხოვნა, —

სამუშაოდ გაუღონ კარი, უშედეგოდ რჩება. რა იქნებოდა, რომ თბილისშიც ის წესი შემოეღოთ, რაც დრეზდენსა და ბერლინში ნაყოფიერ შედეგს იძლევა. წახდება რამე? არა! შესაძლოა მხოლოდ სახელისნოს კარგაგამომწერავი წაუხედეთ განწყობილება. დიას, წახედებათ, მაგრამ, მალე ისევ გამოუსწორდებათ, რაკი იგრანბინენ, რომ მხოლოდ ინტენსიური შემოქმედებითი მუშაობა აძლევს მხატვარს სახელმწიფო სახელისნოზე საკუთარი ბოქლომის დაღების უშედეგს.

ბამოცამუშალსა და ბამოცამუშა

სხვაე შენინენ და შევიცანი ისეთი, რის გამომცემაც ჩვენს მხატვრებსაც მოუწინებათ.

ხელოვანთა ინსტიტუტში კარგი ჩვევა არსებობს. ყოველ წელიწადში ოთხი ალბომი გამოდის, რომლებშიც მოთავსებულია ილუსტრაციები და ავტორთა პორტრეტები. ერთში პროფესორ-მასწავლებლების ნაწარმოებები იბეჭდება. ისინიც ხომ უნდა ვარჯიშობდნენ, იზრდებოდნენ, სატოქედენ და ძერწადნენ. მეორე ალბომში კურსდამთავრებულთა ნაწარმოებები ქვეყნდება, შესამუსა და მეოთხეში უფროს-კლასელთა მასწავლო-თავისუფალი თემები აისახება. ყოველივე ეს მნიშვნელოვანად აკონტროლებს და შემოქმედებითად ამაღლებს როგორც მასწავლებლებს, ისე მოსწავლეებს. ინსტიტუტის დირექციას პრობლემა და უსიანი ალბომის გამოცემა, არც ქალაქის შვენაა ძნელი და არც სტამბის კარის შეღებაა რთული. ხელოვანთა ინსტიტუტის ალბომები აბსოლუტური პუნქტუალიზმით იბეჭდება და მე გულმატკნენი ფიქრით ავიფხე: რატომ არის ჩვენთან შეუღლებული ის, რაც ასე ადვილია დემოკრატიულ გერმანიაში. აფსუს, რა ნიჭიერი სტუდენტები ყავს თბილისის სამხატვრო აკადემიას და როგორ გამოჩნდებოდა მათი სიყმაწვილის ნაშთავონარი, რომ ჩვენს გამოცემებშიც საც ესაბლინებოდეთ მათი რეპორტაჟების ბეჭდვა. რა დაშავდება, რომ სახელმწიფო გამოცემლობასთან ერთად საკართველოს სამხატვრო ფონდმაც ითავის ამ კარგი საქმის წამოწყება, რაც ასე სჭირდება და არაგებს ჩვენს სახვით ხელოვნებას. რატომ გაუბრბდა საკართველოს მხატვართა კავშირისა და მხატვართა ფონდის ხელმძღვანელობა ასეთ მოღალატეობას? იქნებ იმიტომ, რომ ილუსტრირებული ალბომების გამოცემას დიდი საზრი, მოქმედება და გარჯა სჭირდება? გაურჯალდა აბა რა გაკეთდება.

არა, ასე აღარ უნდა გაგრძელდეს. ზოგიერთ მხატვარს მაინცაა, რომ მოთავარა მისი სურათი შეისყიდოს სახელმწიფომ, ან სამხატვრო ფონდმა და სულაც არ აღარდებს, რომ მისი ნამუშევრის რეპორტაჟიცა დაიბეჭდოს, მუშისა და კოლეგურის ბინაში გამოიციდოს, მხატვრობაზე ალბომში, მონოგრაფია და ბუკლეტი გამოიციეს, მხატვრის შემოქმედება ფუნჯის გარდა კალმის კვალითაც დარჩეს ხალხის მქსიერებაში.

დიას, სწორად არ მსჯელობს ზოგიერთი ქართველი მხატვარი და მატერიალურად მათი დამხმარე სამხატვრო ფონდიც. წლები გადის, ხელოვნებათმცოდნეთა ძლიერი და ნაყოფიერი ჯგუფი წლიდან წლამდე ახსენებს იმის გა-

კეთების საჭიროებას, რაც ჯერაც ადგილიდან არ იძვრება, თუმცა ხელმძღვანელობა ორგანომ ყოველწლიურად 120 ფონდის გამოცემის უფლება მისცა.

დრეზდენში კი საამისოდ არავის არაფერი ესაყვედურება, ერთხელ კარგად გადაწყვეტილ საქმეს მხატვართა კავშირის ემხარება, ხელოვანთა ინსტიტუტს და სამხატვრო ფონდს.

დასანანი იქნება, თუ ეს პრობლემა კიდევ დიდხანს არ გადაწყდა ჩვენში.

ვის დაგადანაშალებთ?
მხატვართა კავშირის, სამხატვრო ფონდის, სამხატვრო აკადემიას, — ყველას ერთნაირად, რაკი ასე აჭიანურებენ იმ რთულსა და საჭიროს დაწყებას, ურომლისოდაც საქმე წინ ვერ წავა.

ფირმსმანის ილბალი

საბედნიეროდ, წინ წავიდა ფიროსმანის საქმე, მაგრამ იგი უკვე აღარ არის. ძველმა საზოგადოებრივმა ურთიერთობამ, ხალხის ანტაგონისტურ კლასებად დაყოფა-დაქუცმაცებამ, სოციალურმა უთანასწორობამ, ფოცალ-ნატურალურმა ამპარტავნობამ და ინტელიგენტურმა უნიათობამ სიცოცხლე შეუმოკლა დიდ ფიროსმანს და, ბუნებრივად, ჩვენი დროის საზოგადოება საყვედურის სიტყვა-გრძნობივად უთვლის წარსულის მესვეურებს.

ხუთიოდე პოეტს, მხატვარსა და ხელოვნებისმცოდნეს უნდა ვგმადლოდეთ იმისათვის, რომ ფიროსმანის ორი ათასი ნახატიდან ნახევარი მაინც შემოცვენაა, მაგრამ სად იყვნენ სხვები?!

ვერ შენიშნეს, ვერ დაიხსომეს, მისი საფლავიც კი ვერ დაინიშნეს, განუყოფებელი ნიჭისა და უნარის მხატვრის გზა-კვლი დანივიწყეს და ფიროსმანის შემოქმედებით მოხიბლულ დღევანდელ მხატვრებს მათი წინაპრის ადგილ-სამყოფელი დაუკარგეს.

უცნაური რამ გვჩვენავს: თითოეული ჩვენგანი სხაპასუხით ატრიალებს სიტყვა „წინაპარს“, მაგრამ სახელს კი ვერ იხსენებს. თითოეული ჩვენთაგანი ზეპირად ჩამოსთვლის ასი და ორასი თანამედროვე კაცის გვარს და ზოგჯერ მათი ცოცხალი და ცხონებული მამების სახელსაც, მაგრამ, ვერც ერთი ჩვენთაგანი ვერ გაიხსენებს სამი თაობის წინაპარზე მეტს, თუმცა თითოეულს ორმოცდაათ წინაპარზე მეტი არცა გვეყოლია, თუნდაც რომ ქრისტეს დაბადებიდან დღევანდლამ; საკუთარი სავგარეულოს სათავე.

რატომ ხდება ასე?
დამწერლობა არ გვეხმარებოდა?..

შესაძლებია, მაგრამ ზეპირსიტყვიერებას ვინდა უშლიდა? რატომ გვივირის დავისომოთ იმ ათიოდე პაპის სახელი, ვინც რუსთაველის წინ თუ არა, შემდეგ მაინც ჭოღავაწობდა, იბრძოდა, შთამომავლობდა, საკართველოს ქართველობას უნარჩუნებდა.

დიას, რევირის პასუხის გაცემა და ფონს იმითლა გადვივარი, რომ ტიქის ერთი აწვეით ყველას ერთ სადღერტელოში მოვაკცევი ხოლმე:

— ჩვენს წინაპრებს გაუმარჯოთ!

კარგი კი იყო გვეცოდნოდა ვინ და რანი იყვნენ? იქნებ ზოგი ღირსია გასწავლისა. ზოგს კი, შესაძლოა, ქართული ქუდი არც ერგებოდა და, თუ ასეა, დაე მათი სახელისაღმწივენი დღემოლი შთამომავლობის მსჯავრად იქცეს. ისტორიამ არ უნდა დახუჭოს თვალი ავკაცობაზე, თუნდაც ჩვენს საკუთარ წინაპარს ჩაედინოს, რჯულის გამოცვლით სინდისი ჩაეკლავოს და ერისათვის სიკეთე დაეხანოს. ნურავის დაამშვიდებს იოლად ნასროლი თქმა: „დრო ყველაფერს წაშლის“: არც კარგი კაცის ნამოქმედარი იმღებოდა და არც ავკაცის ნაბოროტალი დიდფარება. თუ ასე არ მოხდა, — ავიანობა საფარს გაიჩინეს და გარემო მტრის მოგერიებას შინაურაბი უმებძოლება გაგვიძინებებს.

ეინ იყო ნიკალა ფირსმანაშვილის წინაპარი, ეს აბა ვინ იცის, მაგრამ სად არის ახლა ფირსმანი, ეს ყველამ ვიცით: იგი ჩვენს თვალწინ დგას აქ, დრეზდენშიც, ალბერტინუბის დარბაზუნში, თუქცა თბილისში ღვინის საბრადფში დალია უიღბო სული, მაგრამ მაინც რომ იღობიანი გამოდგა?..

ფირსმანის სული ტრიალებდა საზეიმოდ განწყობილ დრეზდენში, მისი სული აღანთებდა ხელოვანთა ინსტიტუტის შრომფორს-მასწავლებლებსაც, ყველას, ვისაც ვხედავ-ვხედვობოდი და მათ თვალგზში ფირსმანის ხელოვნებით გაბრწყინებულ მადლიერების ნაპერწკლებს ვხედავდი.

მერე ყველა ერთად გამოვედი თხელოვანთა ინსტიტუტის შრომბიდან, რომ იქვე, ალბერტინუბში, ფირსმანის გამოფენა გეენახა.

კარისკაცად აფიშაზე გამოხატული ნიკალას „მეუზოვე“ იდგა. მორჩილი და ფხვიერი, ჯარისკაცისებრი გაჭიმული, მაგრამ ბედმავე მოხსუცებულობით თავჩაქანდრული. კაუჭკომბალი ბერდანასავით ეპყრა და აჩაჩული შარვლის ტოტებით, შავ სერთუჯზე თეთრი წინასფორით გამედიდურებული — მხატვრის ფუნჯს კიდევ რომ ენდობა და ეპყრათაც შეკურებს.

„დგორნიკი“ — ასეთი წარწერაინი „კაპარდა“ მიუკრავთ მის კარტუზიან ქედზე და ეს აძლევდა უფლებას ყოფილიყო ციური, ეჭვიანი, ეშმაკი, ყველაფრის შემეჩნევი და ყველას დამხმენი. ასეთი ფუნქცია ჰქონდათ ჩემთვის პოლიციელების მარჯვენა ხელს, დგორნიკულ ინსტიტუტს და ცოტა რამ სისაძაგლით როდი გვახსენებენ თავიანთ თავს. ფირსმანის „დგორნიკი“ ისეთია, როგორც ყველა მისი დარი მეუზოვე, ის „დგორნიკები“, ვინც მოკლა ბოლშევიკი-რევოლუციონერი ბაუმანი. პოლიციამ იხსნა ბაუმანის მკვლელი, რადგან დადუპული თურმე ებრაელი იყო. ყოველ რევოლუციონერს ებრაელობის საბაბითაც სახარხობელისათვის სწირავდნენ და, რა გასაკვირია, თუ პოლიციურ დგორნიკებსაც კეტი მარჯვედ ეყურათ, იქვედნენ, ურტყამდნენ და პასუსს არ აგებდნენ.

ასეთი თვითდაჯერება იგრძობოდა და იხედება ფირსმანის მიერ დახატულ „მეუზოვეშიც“ და ვინ იტყვის, რომ ამ პორტრეტშიც არ არის გამოვლენილი მხატვრის სიძულ-

ვილი პოლიციური რეჟიმისადმი, თვითმპყრობელური წყობილებისადმი, რომლის ადმინისტრაციამ ღვინის ჰნელსარდაფში ჩაფლა და ჩაკლა ნიკალას ნიჭიც.

— იქნებ სხვას ხედავდა ფირსმანი „მეუზოვეში“, — სიღარიბეს, სიძაბუნეს, შესაბრალოს, თავისთავივით ბედ-შავსა და გარიყულ ადამიანს? — ფრისილად შემეცვითა გერმანელი მხატვარი და იდაყვეზ დაყრდნობილი კიდევ უფრო დააკვირდა თეთრზე შავით გამოხატული მოხუცი კაცის ამრეზილ სახეს.

— ვეჭვობ, „დგორნიკებს“ ისეთივე პოლიციური დამსმენობა ევლებოდათ რომანოვების რუსეთშიც, რაც კაი-ზერების გერმანიაში: პოლიციის ყურთან დგომა, „ყოციალისტიკის“ თვალყურის დევნება, უღროთ დროს მისი შელება, უცერემონიოდ ფანჯარაში შეჭვრება, — აი მათი ვალი. ვიცნობთ, რა შვილებიც იყვნენ!.. დღევანდელი მეუზოვის ჰუმანურობა სასომად როდი გამოდგება მონარქიული დგორნიკობის გასაანალიზებლად. სიღარიბე კი მათაც აწუხებდათ და სწორედ ეს აქცევდათ პოლიციის ბრჭყალებში. საბოლოოდ, ვერც მონარქიული წყობილება უუაღსებდა ერთგულებას და არც მოსასვლობა სწყალობდა ორგულობისათვის. ვერ უთანაგრძნობდა ასეთებს ფირსმანიც. იგი რევოლუციურ მოძრაობას გულით უმღეროდა და ყურთან მომდგარი „დგორნიკის“ ხედვა ვერაფერად ეპიტყვებოდა. დაიცნეთ კი, იციკოვლე, მწვავედ დასცინებდა. ამიტომ „დგორნიკი“ ისეთად დახატა, როგორც იყო, — „მეფისა და დემეტრის მსახური, პატრონისა და ფულის მორჩილი“.

— რა ერქვა იმ მეუზოვეს?

გუშინდელამდე არც მე ვიცოდი და არც ფირსმანის ბიოგრაფებს უხსენებიათ. დღეს კი, ამ დღიურის კორექტურის კითხვის დროს, ჩემდა ბედად უშანიკ ბუდაის „ფირსმანის ნაკავლეკს“ ჩაეყვი და ნიკალას მცნობ გვეჭკვართან გოგლა ლეონიდის დიალოგი ამოვკითხე:

„გოგლა პორტრეტულიან ფირსმანაშვილის წიგნს იღებს, ფურცლავს.

— ამ კაცს არ იცნობდი?

გვეჭკვორი ნახატს აკვირდება.

— როგორაა, ანდრია მეუზოვეს ეძახდნენ, აქვე „მალაკნებზე“ ცხოვრობდა.

— რომელ ნომერში, ხომ არ გასსოფს?

გვეჭკვორი ვერ იხსენებს.

— მაშ ანდრია ერქვა, დანამდვილებით იცი?

— დაიხ, ბატონო, ვე ანდრია მეუზოვე გადაკიდებულ ჰყავდა ფირსმანს, სულ ეჩხუბებოდა.

— რა უნდოდა?

— „პადიფლებს“ მინახავანებო. ნიკოს გული მოსდიოდა. აუნდა ერთხელაც გაბრაზებულმა დახატა: „ესა ხარ, რა უნდა გელაპარაკო“.

დაიხ, ისეთად დახატა ფირსმანმა ანდრია მეუზოვე, როგორც იყო, — ბრახანიი და განა მარტო ბრახანი, —

ჯმუხი, ქვეშეშევა, თვალცეცა, დამხმენი, პოლიციის სამსახურში უბადრუკად დაბერებული.

ფრანგი შანსონეტის კორტრატთან

შუა კედლისკენ გადავინაცვლე, ჩვენი ჯგუფი „მასიხობ მარგარიტას პორტრეტთან“ შეჩერდა. ერთხანს მდუმარედ ვუყურებდით, ჩვენს თვალწინ გაცოცხლდა მუშტიანი კაფე-შანტანის მომხიბვლელი ფრანგი მოცეკვავე და მომღერალი მადამუზანელი მარგარიტა. იგი ასეთხარად დაინახა ფიროსმანი, როცა პირველად იხილა და საბედისწეროდ მიენდო. იმ წუთს თავი ბედნიერად იგრძნო და ცხოვრების მიზანი იცნო. მაგრამ, მალე დასრულდა სიხმარი. მომხიბვლელმა მოცეკვავემ ნიკასას ჩასწორჩულა:

— ხელ ეკლესიაში მივდივარ სალოცავად, ნუ მოხვალ.

ნიკომ დაუჯერა, თუმცა ნახვის სურვილით იტანჯებოდა. საღამოს კი შემოსარავი ამბავი გაიგო. გაიპარა, მიიმალა, გაფრინდა.

დიდხანს ვერ ურიგდება ფიროსმანი ღვთაების ღალატს, მაგრამ ისევ ხელოვნებად დააცხრო:

— მე სიღარიბე და მწარე ცხოვრება მელის, მაგრამ მიზანი გამაჩნია, რომლისკენაც მივისწრაფი. ჩემი სიცოცხლის ბოლომდე იმ ხელოვნებას ვემსახურები, რომელიც ჩემს ხალხს სჭირდება. ფერწერა იქცევა ჩემს იმედად და საყვრელად. თქვა და მუქ-მოლურჯო ფონზე თეთრი საღებავი დასდო, თეთრით თეთრი ტანის კონტურები მოხსა.

— თეთრი ფერი, — სიყვარულის ფერია! — მხნობლა ფიროსმანი.

სიყვარულით დაწერა მხატვარმა ფრანგი შანსონეტის პორტრეტი და თითქოს ისეთხარად აამღერა, როგორც ყურში ემსობდა მისი მომჯადოებელი ღიღანი და თვალწინ ეცხა ფაფუკი თმები, ღრმად დეკოლტირებული მკერდი, ვიწროდ გამოქონილი წელით, სწორი და გრძელი ფეხები, მკაფიო და წმინდა შავი თვალები, თხელი ცხვირი და მგრძნობიარე ტუჩები. მარცხენა ხელში შავში გარეული თეთრი ყვავილების თაიგული უჭირავს, მარჯვენა მხარზე კი ყვითელი ჩიტი დაფრენია, ფრთებგაშლილი და ისევ გასაფრენად აფრთხილებული, როგორც მოფრინდა იგი მხატვრის თვალის დასაკურობად. დიახ, ყვითელი ფერის ჩიტი, — ღალატისა და დაუემდობლობის ყვითელი ფერის. ეს კარგად იცის მხატვარმა და შეგნებულადაც დაასვა მასიხობის, გაფრინების და გადაკარგულის ტყვე უხილველ მხარს.

— ასე, მხოლოდ სიხმარში თუ წარმოესახება ადამიანს ქალი! — ჩაილაპარაკა გერმანელმა მხატვარმა.

სტუდენტები დუდუნენ — ახალგაზრდები იყვნენ. — რომ არც გეტყვით ამ პორტრეტის შექმნის ისტორია, გუმანით იმასვე მივხედვებით. მხატვარმა იგი მაინც კეთილშობილური ღრსეობით დატოვა თავის მესხიერებაში, — გულდა, თანამგრძნობი, ადამიანურად, გრაციოლად და პატივრად. ფიროსმანმა იგი ყველა სხვა მანდლოს-ნისაგან გამოარჩია, — მხოლოდ მარგარიტა პიკანტური, ვიწროწელა, ყელყარყარა.

— კარგად შევინიშნავთ. ორთაჭლის ღალატში იყურა იაიმი საწინააღმდეგო ხაზებს ვხედებით. მაგრამ, მათშიც არის დანახული ადამიანური წუხილისა და ტრაგედიის კვალი. არც ერთ მათგანს არ ახლავს ერთიკისი ნიშანწყალი, არც ერთი ქალის ფიგურაში არ აჩვენს სესუსულურ-ქედონურობის საწყისს, თუმცა ხატავს ნახევრად შიშვლად. ფიროსმანი არ დასცინის და არ ამოიგვს იმ ადამიანურს, რაც მათ წარათვა მძიმე ცხოვრებაში. მხატვარი ამატებს სწორედ იმას, რაც ჰქონდა და სოციალურ-კანონიზირებული მარყუქებით წაერთვათ. ამაშია ფიროსმანის ჰუმანიზმისა და კლასობრივი სიზნავის წინააღმდეგ ფუნჯით თქმული მწვევე პროტესტის ძალა.

— დიახ, სიკეთესა და სინაზეს ვხედვით ადამიანებისა და ცხოველების თვალშიც კი. — გამოგვიტყდა რამდენიმე სტუდენტი. — შეხეთ, რა კეთილი, ჭკვიანი თვალები ირემია, აქლემი კი მოწყალეხას ითხოვს, ღრუტუნა ღორი და გოგებზე იმას სააღმუსოდ გვიხმობენ. ყვითელი ღორიც თინიერია, ვინემ ჩვენ წარმოგვედგინა. არც შავი ღომია ძალზე მრისხანე, შველი ხომ თითქოს ღალატ ტუჩებს გვიცაცუნებს, სააღდგომო ბატკანი გულმინდობილია, დათვი და დათუნიები მშვიდად მოძუძულებენ, ჩირაფი კი ხსარტი, ატლტურე და ადამიანისთვის დაფიქრებული.

— დიახ, ასეა, რადგან ასეთად ხედავდა ფიროსმანი ყოველ სულიერს და ცხოველებსაც კი ადამიანური სულით აკეთილშობილებდა.

დიდხანს დავდიოდით ფიროსმანის გამოფენის დარბაზებში. ყველა 83 სურათი თავისკენ გვიხმობდა და დრო რომ მეტი გვექონდა, საღამომდის მათთან ახლოს დარჩებოდით. მაგრამ დღე იწურებოდა და წინ კი ბერლინში დაბრუნება გველოდა. ჩემს მასპინძლებს დავემშვიდობე, ჩემს ქართულ მეგობრებს შევეურთდი და ისევ ჩვენი ჩაფერი „ტატრით“ ჩვენს მეგობრულ გერმანულ აეტოსტარადაზე გავედი.

მოზიანი უნტარ-დენ-ლინდენი

აეტოსტარადიდან სასეიმოდ მორთულ ბერლინის უმშვენიერეს, ბრანდენბურგის კარისგან გაწოლილი ქუჩა უნტარ-დენ-ლინდენზე გაჩერდით. მანამდე კი ბევრი სხვაგან ვხვდებით: კარლ-მარტალა, ალექსანდრალა, მარქსისა და ენგელსის მოედანი, რომელზედაც განლაგებულია სახელმწიფო დაწესებულებები, — გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭო და საგარეო საქმეთა სამინისტრო, მათთან ახლოს მდებარე წითელი რატუშა, ბერლინის მაგისტრატის რეზიდენცია და სააკვირვოლია, თეატრები, — გერმანიის სახელმწიფო საოპერო თეატრი, „კომიშე თეატრი“, „მეტროპოლი“, გერმანიის დრამატული თეატრი, შიფფაუბერდის სანაპიროზე გადაწყურე, ბერლინის ასსამბლი, „მაქსიმ გორკის სახელობის თეატრი“, „მეგობრობის თეატრი“, და ბერლინში ჩამოსვლის პირველსადედას გაცნობილი „ფოლქსბიუნე“, სადაც დიდის ტრიუმფით დაიწყო ქართული კულტურის დღეების გამხსნელი

ქართული სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო ანსამბლის კონცერტი.

ახლა კი შტატსოპერისაკენ მივმართებთ, ბერლინის მაგისტრატის მიერ მიწვეულ საზეიმო საღამოზე, რომელიც დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის ორ-მოდამეთორმეტე წლისთავს მიეძღვნა.

ერთი თვალის მოვლებით დავინახეთ სატახტო ქალაქის მრომელები, ინტელიგენციის, საბჭოეთისა და სოციალისტური ქვეყნების საუკეთესო წარმომადგენლები. ისინი აქ მოვიდნენ, რომ კიდევ ერთხელ აღენიშნათ დიდი ოქტომბრის რევოლუციის ცხოველყოფილობა ახალი საზოგადოებრივი ურთიერთობის გასამარჯვებლად გერმანიის ამ ნაწილში, ყველა მოძმე დემოკრატიულ ქვეყანაში.

საზეიმოდ მირთულ სცენაზე გამოჩნდა გდრ-ისა და ბერლინის მაგისტრატის თავგაცობა, სტუმრად ჩამოსვლილი სატახტო სარდლობა და საბჭოთა კავშირის ელჩი პ. აბრასიოვი. მომხსენებელმა შობამეძღვა დახატა ახალი გერმანიის წინსვლის სურათი, საბჭოთა კავშირის, სოციალისტური ქვეყნების ძმური დახმარების ძალა და მცირეოდენი შესვენების შემდეგ დაიწყო მხატვრული განყოფილება.

უჩვეულო რამ მოხდა. პარტიერისა და იარუსების სავარძელზე გერმანულ ენაზე დაგვიდღიდა საკონცერტო პროგრამები ელაგა. საზეიმო კონცერტი თორმეტი მხატვრული ნომრისაგან შედგებოდა და თორმეტგვს ქართული მომღერლები, მოცეკვავეები და დამკვრელები ასრულებდნენ.

უხედავთ თბილისი წარმომადგენი, დიდი ოქტომბრისადმი მიძღვნილი საზეიმო საღამო-კონცერტი, რომელიც ჩვენი მხატვრული ძალების საშემსრულებლო-საანგარიშო ზღუდადც იქცევა ხოლმე. კიდევ რომ შევესწრებოდნენ მოძმე დემოკრატიული ქვეყნების საუკეთესო მხატვრული კოლექტივები, — განა მარტო მათ დავუთმობდით საკონცერტო პროგრამის წაყვანას. რასაკვირველია, მათაც გამოიყვანდით და სისარულითაც შევხვდებოდით, მაგრამ რაოდენ დიდი პატივისცემა, ნდობა და დამფასებლობა უნდა მიუთხოვინა ქართული კულტურის დღემში ჩვენებურ ხელოვნებას, თუ გერმანელებმა თავიანთი უპირველესი მნიშვნელობის საზეიმო კონცერტი მილიანად ქართველ ხელოვანთ ანდეს.

და, ეს ნდობა თავინთ გამართლდა. ანზორ კავსაძემ თავისი მომღერალ-მოცეკვავეები ვეებერთელა სცენას შეასია და პირველი ნომრიდან ბოლომდე ტანსაცემას ბოლო არ ეღებოდა. გაისმა და აკაიფდა რეგავ ლაღისის „პიჩინ პარტიაჲ“, ხალხური „საქორწილო“, შრომის პიჩინ „არხალალო“, პლასტიკური „განდავან“, ზაქაიძისა და მიქაბერიძის „ჩაგრული“, სვანური „ცერული“, რუსული „ეი, უხენმე“, სალაღობო „ცანგალა და გოგონა“, მგზნებარე „მთიულური“, ტემპიანი და ტემპერამენტული „ხასანბერკა“ და ისევ სიმღერა და ბოლოს, ცეცსლოვანი ფინალური ცეკვა.

ბევრი პირველად უსმენდა და პირველად ხედავდა ქართულ სიმღერა-ცეკვას და მათი სახის გამომეტყველება მარწმუნებდა, დიდ ესთეტიკურ სიამოვნებასთან ერთად დიდი შეშინებითი კმაყოფილებაც მიიღეს.

ჩვენც ასევე. მარტო ის, რომ მხოლოდ ჩვენებურ კონცერტის უთმეს სცენა, განა მეტი არ არის რომელიმე სამაქებრო რეცენზიაზე, ერთზე კი არა, ათზეც?!

ვინც ბოლოს იცინის..

დიდი ძალა ხელოვნება. ეს გერმანელებმაც კარგად იციან და აფასებენ კიდევ. მეოდნეს შეფასებას კი ორჯერ მეტი ფასი აქვს. ამიტომ მხატვრულ შემოქმედებასაც უწლიან და სხვისისადაც ეცნობიან. ასეთ ყურადღებას მოქიბი და ხელოვნების გარდა შემოირაღურზეც ავრცელებენ. ერთი ვეიმარიც კონცა ამის დასტურად. რამდენი საიდან არ მოდის ვეიმარის ღირსშესანიშნოების სანახავად. გერმანელები კეთილშობილური ღირსებით აჩვენებენ მათ გოეთეს სახლს „ამ ფრაუნშულანის“ ქუჩაზე, შილერის სახლს, ლიხტის სახლს, დიურერის, კრანახის დროის სურათების გალერეას, გერმანული კლასიკური ლიტერატურის ბიბლიოთეკას, 85 პოეტის ლიტერატურული მემკვიდრეობისა და 600 000 ხელნაწერის არქივს, რომელიც გოეთესა და შილერის სახელს ატარებს, და ბოლოს, სასაფლაოს გოეთესა და შილერის სარკოფაგებით.

განა ყოველივე ამის შესახებ გერმანული ხალხის ჰუმანურობის მღადადებელი არაა. არის და უფასდებთ კიდევ, რაკი ზღვა ხალხი მოდის ვეიმარის სანახავად.

მაგრამ რად წამილწეს ჰიტლერებმა სისლიანი ხელებით სუფთა და წმიდათა-წმიდა ადგილები. რატომ მოხდა, რომ შევიურობით ზეაწვეულ ვაიმართან ჯოჯოხეთური ბუხენვალდიც ვააწვენს, მილიონები დასწვენს და ისტორიულ ციცილიზაციას ისტორიაში წარუშლელი ბარბაროსობის ფერფლიც გადააყარეს. ვაიმარის თავზე, ეტესტების გორაკზე, ბუხენვალდის საკონცენტრაციო ბანაკის ადგილზე ახლა მემორიალური მუზეუმი აგებულა, რომ სიკეთე-მშვენიერების გვერდით ქვეყნიერებამ არასდროს დაივიწყოს ბოროტება-გონჯიანობის თავწამოწების საშინელება.

ჰიტლერელები სხვასაც აპირებდნენ. ვაიმარში დარჩათ დაუთმავრებელი კარკასები იმ მოზაველი ციხე-აკვარიუმისა, რომელიც სამი სართულისაგან უნდა შემდგარიყო. პირველი სართული საპრობლემისათვის, მეორე სასამართლოსათვის, მესამე კი საცეკვაო ბარისათვის.

ვის უშმაღდება ჰიტლერი ამ ციხე-აკვარიუმს?

ჩვენ და ჩვენისაგან, სტალინს და ჩვენი ქვეყნის ხელმძღვანელებს. მათ მეორე სართულზე საზეიმოდ გაასამართლებდა, პირველი სართულის გამჭვირვალე რკინა-შუშის საკანში თითოეულს ცალ-ცალკე მოათავსებდა, — კი არ მოკლავდა, დასაცინად აცოცხლებდა. მესამეზე კი ჰიტლერი და მისი ელადა, შემოჯდებოდა და ბარის ორკესტრის თანხლებით საღისტურ სიცილს დააყრიდა.

არ გამოუვიდა! ოცნება ჩაქშალა!

მისი ნაღვნებარი ციხე-აკვარიუმის კარკასები კი ჰიტლერის დამცნებარ ობოლსკად რჩება.

დეე დარჩეს. დარჩეს, რათა კიდევ ერთხელ დადასტურდეს ხალხური თქმა:

— იცინის ის, ვინც ბოლოს იცინის!..

ქართულთა შორის ნაკრები-კითხვის

გაგაგრძელებული საზოგადოების ისტორიიდან

ავთანდილ თელია

XIX საუკუნის ოთხმოციანი წლების დასაწყისში მეფის რუსეთის მიერ ქართველი ხალხის ჩაგვრამ უკიდურეს საზღვარს მიაღწია.

ალექსანდრე მესამის მთავრობამ მთელი რიგი ღონისძიებები გაატარა. 80-ანი წლების დასასრულს ქართული დაწვებითი სკოლებიდან მთლიანად განდევნილი იყო ქართული ენა, ქართველ მასწავლებლებს სკოლებიდან ითხოვდნენ და მათ ნაცვლად ქართულის არამცოდნე პირებს ნიშნავდნენ.

თვითმპყრობლობის მიერ ქართველი ხალხის ჩაგვრის გაძლიერებამ ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის აღმავლობა გამოიწვია, რომლის სათავეში მოექცნენ ქართველი მესამოციანელები. მათ განათლება რუსეთის უმაღლეს სასწავლებლებში მიიღეს და მამულის სიყვარულთან ერთად საქართველოში ჩამოიტანეს რუსეთში შეთვისებული რუსი რევოლუციონერ-დემოკრატების — ჩერნიშევსკის, დობროლიუბოვის, ბელინსკისა და სხვათა პროგრესული იდეები. ისინი სხვა ქართველ პროგრესულად მოაზროვნე ადამიანებთან ერთად ქართველი ერის უფლებების დასაცავად წინ აღუდგნენ რუსიფიკატორულ პოლიტიკას. შეუპოვრად იბრძოდნენ ქართულ სკოლებში დედაენის შენარჩუნებისათვის. მკაცრი ცენზურის მიუხედავად ისინი მაინც ახერხებდნენ საბრძოლო ხასიათის წერილების

გამოქვეყნებას ქართულ და რუსულ პრესაში. მათი დაუღალავი შრომით საქართველოში შეიქმნა სხვადასხვა კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულება და სახელმძღვანელოები ქართული სკოლებისათვის, რაშიც განსაკუთრებული დამსახურება დიდ ქართველ პედაგოგს იაკობ გოგებაშვილს მიუძღვის. მან შეადგინა „დედაენა“, „ბუნების კარი“, „რუსოვ სლოვო“, რითაც ფასდაუღებელი სამსახური გაუწია ქართველ ხალხს.

ქართველი მოღვაწეები ცდილობდნენ ისეთი კულტურულ-საგანმანათლებლო თუ სამეურნეო დაწესებულებები შეექმნათ, რომლებიც უზრუნველყოფდნენ ქართული კულტურის დაცვასა და განვითარებას, ქართველი ხალხის სამეურნეო წინსვლას. ერთ-ერთ ასეთ დაწესებულებას წარმოადგენდა ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება, რომელიც დაარსდა 1879 წლის 15 მაისს. ეს საზოგადოება, მიუხედავად ცარიზმის უკიდურესი შეშოტებისა, ემსახურებოდა ქართველი ხალხის ეროვნულ საქმეს, მისი ენისა და კულტურის განვითარებას.

როგორც ი. გოგებაშვილი თავის მოგონებაში წერს, წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების დაარსების იდეა 1864 წელს ჩაისახა. მის განხორციელებას ხელი შეუწყო ზოგიერთმა ქართულმა პროგრესულმა ოჯახმა, რომლებიც განათლების ნამდვილ ცენტრს წარმოადგენდნენ. ასეთთა

რიცხვს მიეკუთვნებოდა იოსებ მამაცაშვილის ოჯახიც, სადაც იკრიბებოდა ქართველ მოღვაწეთა ძეგლი და ახალი თაობა. მათ შორის დიმიტრი ბაქრაძე, დიმიტრი მუსხელიშვილი, კონსტანტინე მამაცაშვილი, გიგე მაღალაშვილი, ვახტანგ თულაშვილი, ანტონ ფურცელაძე და სხვები.

ისინი მსჯელობდნენ სხვადასხვა სახერხობრტო საკითხზე, კითხულობდნენ რეფერატებს, რჩეულ სტატიებსა და წიგნებს, მართავენ დებატებს. აქვე დაიბადა აზრი წერაკითხვის გამავრცელებელი საზოგადოების დაარსებისა. თავდაპირველად ამ საზოგადოების კერძო წრის ხასიათი ჰქონდა, წრის ყოველ წევრს შეჰქონდა განსაზღვრული რაოდენობის ფული.

აი, როგორი ხასიათობის ვახტანგ თულაშვილი ამ წრის მოქმედებას: „1870 წელს შევიყარინით რადენიმე ახალგაზრდა ვაჭი და ქალი, რომელთაც ყოველ თვე შემოქონდათ სლარაშით თითო მანეთი, ზოგს მეტიც. მორგეული ფულით დავაარეთ სკოლა სოფ. ხოვლეში (გორის მაზრა), სადაც თ-ღი ჯავახიშვილები ცხოვრობდნენ. სკოლა იყო მარაიამის — თავად გიორგი ჯავახიშვილის მეუღლის სახელზე დაარსებული“. ამ პატარა წრეს დიდი მიზანი ჰქონდა განსახორციელებელი; მაგრამ ამისათვის არც მატერიალური და არც მორალური საშუალება არ გაჩნდა. ამიტომ წრის წევრებმა გადაწყვიტეს მთავრობის მიერ დავარსებებული უფრო ფართო საზოგადოებრივი დაწესებულების შექმნა. ამ დაწესებულების მომართვისას და ხასიათის შესახებ საზოგადოებაში ბევრი კარგი აზრი გამოითქვა. მაგრამ მეფის მთავრობის კოლონიური რეჟიმი ყოველმხრივ ხელს უშლიდა მათ საქმიანობას, რამაც განაპირობა წრის აღშლა. თუმცა საზოგადოების ზოგიერთმა წევრმა განაგრძო მეცადინეობა წერაკითხვის გამავრცელებელი საზოგადოების შექმნისათვის.

ვახტანგ თულაშვილი ივრნებს: „გაზეთში მქონდა წაკითხული, რომ პეტერბურგში მოქმედებდა წერაკითხვის გამავრცელებელი კომიტეტი. მივმართე ამ კომიტეტს, რომ თავისი წესდება გამოეგზავნა ჩემთვის, მივიღე პასუხი, ჩვენი წესდება თქვენ არ გამოვადგებათ და გირჩევთ ხარკოს მმართველს, სადაც დაწესებულია მსგავსი საზოგადოებაო. მივმართე ხარკოს, იქიდან მივიღე პასუხი, რომ წესდება დამტკიცდეს არ გვაქვს და გადაწერა ვერ ადვილი არ არისო: იმასაც უმატებდნენ, რომ ჩვენი საზოგადოების წესდების ერთი ეგზემპლარი ამ რამდენიმე წლის წინათ თბილისში ზაქარია გიორგის ძე კივისთავს გავუგზავნეთო, მაშინ მივმართე ამ სახელთან პირს, და მანაც დიდი სიხარულით გადამომცა ხარკოვის საზოგადოების წესდება“. 1876 წელს ვ. თულაშვილს მიუმართავს ი. გოგებაშვილის, კიფიანის და ნ. ცხვედაძისთვის, რათა ხარკოვის წერაკითხვის საზოგადოების წესდების საუფლებზე შეედგინათ ქართველი საზოგადოების წესდების პროექტი. ისინი კვირაში ერთხელ დადიოდნენ დ. ყიფიანის სახლში (გოგებაშვილის გამოკლებით, რომელიც ამ დროს ავად იყო), წესდების შედგენას კარგა ხანს მოუწოდნენ. მართალია, მის შე-

დგენაზე გულმოდინედ მუშაობდნენ, მაგრამ დარწმუნებული არ იყვნენ, რომ მეფის მთავრობა დაამტკიცებდა მას. საჭირო იყო სათანადო მომენტის შერჩევა. დადგა ასეთი მომენტიც: 1877 წლის აპრილი, დაიწყო რუსეთ-თურქეთის ომი, მეფის მთავრობა იძულებული იყო საქართველოში დროებით შეერბილებინა კოლონიური რეჟიმი.

აპრილშივე გამოვიდა მეფის რუსეთის მთავრობის მოწოდება, რომელშიც ლაპარაკი იყო რუსეთის მიმართ საქართველოს ერთგულებაზე და ქართველი ტომების (აქ პირველად იყო ხასხენები — Картвелинское племя) სიამაყესა და ვაჟაკობაზე.

1878 წლის დასაწყისში დამთავრდა წესდების პროექტის შედგენა. იმავე წლის 20 იანვარს პოეტ გრიგოლ ორბელიანის ბიზნაზე თავი მოიყარეს ქართველმა პროგრესულმა მოღვაწეებმა. ამ კრებაზე დიმიტრი ყიფიანმა წაითხა ქართველთა შორის წერაკითხვის გამავრცელებელი საზოგადოების წესდების პროექტი. დაიწყო მის გარშემო აზრთა გაცვლა-გაზოცვლა.

კრების გადაწყვეტილებით დ. ყიფიანს, ი. ჭავჭავაძესა და ბ. ლოღობერიძეს დავალა წესდების პროექტი მთავრობისათვის წარედგინათ დასამტკიცებლად. 4 თვე დასჭირდა წესდების პროექტის ხელის მოწერას. 1878 წლის 24 ივნისს დიმიტრი ყიფიანმა საბოლოოდ რედაქტირებული წესდების პროექტი წარუდგინა მეფის ნაცვლის მთავარმმართველის უფროსის სტაროსელსკის, რომელმაც იგი სწავლა-განათლების მზრუნველს მოძალექსკის გადასცა აზრის გამოსათქმელად მოძალექსკიმ მოითხოვა წესდების პროექტის მე-3 მუხლის შეცვლა, რომელშიც აღნიშნულია: „საზოგადოება თავის მიზანს აღწევს იმით, რომ სახალხო სკოლებში დაწყებით სწავლებას დაადგენს სამშობლო ენაზე, რომლებიც ესმით მოსწავლეებს და ზრუნავს რუსული ენის შესწავლისათვის“.² მისი შემდგენლები იძულებული გახდნენ ზოგიერთი რამ დაეთმოთ, რისთვისაც დასჭირდათ პროექტის გადაწერა, მაგრამ მესამე მუხლი, მიუხედავად მოძალექსკის არაერთგვის მოთხოვნისა, მაინც უცვლელი დატოვეს. „მოძალექსკის კი პირდაპირ ვუთხარით, თქვენ აზრი წარადგინეთ მთავრობაში და თუ ის არ დაამტკიცებს, დე ნუ დაამტკიცებთ, ჩვენ მაგ მუხლს არ შევცვლით, რადგან მაგ მუხლის შეცვლით საზოგადოებას წაერთმევა ღონისძიება თავისი დანიშნულება აღსარებისა“.³

ცოტა ხნის შემდეგ კავკასიის მეფის ნაცვლის მთავარსამმართველომ თავის მხრივ მოითხოვა ამ მუხლის შეცვლა, ამიტომ 1879 წლის 25 მარტს დიმიტრი ყიფიანმა მთავრობას წარუდგინა ვრცელი მოხსენება, სადაც მოითხოვდა წესდებაში მესამე მუხლის უცვლელად დატოვებას. ერთი კვირის შემდეგ, 31 მარტს, სტაროსელსკის დახმარებით, როგორც იქნა, მთავრობამ დაამტკიცა ქართველთა შორის წერაკითხვის გამავრცელებელი საზოგადოება.

² გაზეთი „დროება“ № 10.

³ ეურნალი „მოამბე“ № 5, 1895 წ., გვ. 49.

წესდების პროექტი და იგი დაიბეჭდა გავით „დროებაში“. წესდები შედგებოდა 4 განყოფილებისა და 25 პარაგრაფისაგან.

1879 წლის 15 მაის თბილისის გუბერნიის საადგილმამულო ბანკის დარბაზში შედგა ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების დამაარსებელი პირველი საორგანიზაციო კრება, რომელსაც ესწრებოდა „საზოგადოების“ 45 წევრი. კრება გახსნა „საზოგადოების“ დაარსების ერთ-ერთმა ორგანიზატორმა დიმიტრი ივანეს ძე ყიფიანმა. მან დამსწრეთა მოუთხრო „საზოგადოების“ დაარსების ისტორია, ილაპარაკა „საზოგადოების“ მიზნებსა და ამოცანებზე. მომხსენებელმა აღნიშნა, რომ „საზოგადოებამ“ ამჟამად ჰყავს 126 დამაარსებელი (შემდეგინი). ეს რიცხვი კი მუდამ უცვლელი უნდა იყოს. კრების გახსნის დღეს კიდევ 60-მა კაცმა გამოთქვა „საზოგადოების“ წევრობის სურვილი.

კრების გადაწყვეტილებით საზოგადოების თავმჯდომარედ ეთხზა აირჩიეს დიმიტრი ყიფიანი, მოადგილედ — ილია ჭავჭავაძე, წევრებად — ნ. ცხევედაძე, ი. გოგებაშვილი, ი. მამაბელი, რ. ერისთავი, ალ. სარაჯიშვილი, ნ. ჭანანაშვილი, დ. ავალიშვილი და გ. თულაშვილი, გამგეობის მდივნად — ალ. სარაჯიშვილი, ხაზინადრად — რ. ერისთავი.

1882 წელს დიმიტრი ყიფიანმა მოუცვლელობის გამო თავი მოხსნა საზოგადოების თავმჯდომარეობას. მის ნაცვლად აირჩიეს ივანე კონსტანტინეს ძე ბაგრატიონ-მუხრანსკი, 1885 წლიდან კი წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების გამგეობის გარდაცვალებამდე თავმჯდომარეობდა ილია ჭავჭავაძე.

იმავ წლის 29 მაის შედგა ამ საზოგადოების მორიგი კრება, გამგეობის მდივანმა გამგეობის საქმიანობის შესახებ წაიკითხა მოკლე ანგარიში. შემდეგ ილია ჭავჭავაძემ გააკეთა მოხსენება საზოგადოების ფულადი შემოსავლის შესახებ. ამ ანგარიშებიდან ჩანდა, რომ თბილისისა და ქუთაისის საადგილმამულო ბანკებმა წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების ფონდის გასაძლიერებლად თავიანთი შემოსავლიდან გადადეს თრითმეტ-თრითმეტო ათასი მანეთი. ქუთაისის ბანკის კრებამ დაადგინა, რომ ამ 11 000 მანეთიდან 8 ათასი უნდა მოხმარდეს ქუთაისის გუბერნიის წერა-კითხვის გავრცელების საჭიროებას. ხოლო 3 000 მანეთი კი გადაეცხანოს წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებას. ამას გარდა დამფუძნებლებიდან შემოსული 2 520 მანეთი, ნამდვილი წევრებიდან — 606 მანეთი, სუბქტალებიდან და სხვა ღირსძიებებიდან — 1 000 მანეთი, სულ 25 520 მანეთი. კრებამ დადგინა, ეს ფული მოლიანად მოხმარებოდა სკოლების გახსნას.

წინარეობი არსებობის მანძილზე, ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება, თავის გარშემო იკრებდა ჩვენი ქვეყნის საუკეთესო ძალებს. „საზოგადოებამ“ განსაკუთრებით ზრუნავდა მდაბით ხალხში ცოდნისა და სწავლის გავრცელებისათვის, მოწინავე პროგრესული იდეების დანერგვისათვის. ამ მიზნით იგი ხსნიდა სახალხო სკოლებს. „საზოგადოებამ“ პირველი ქართული

სკოლა გახსნა 1880 წელს. ეს იყო ქუთაისის სათავდაზნაურო სკოლა, რომელსაც წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება საკუთარი სახსრებით ინახავდა, 1880-1913 წლებში, ე. ი. 34 წლის მანძილზე, ამ სკოლაში უსწავლია 10 716 კაცი. ამავე წელს საზოგადოების ხარჯით თბილისშიც გაიხსნა სკოლა, რომელმაც მხოლოდ ორ წელიწადს იარსება.

რუსეთ-თურქეთის ომის შემდეგ და აჭარის შემორთებისას „საზოგადოებამ“ ბათუმში გახსნა პირველი ქართული სკოლა. 34 წლის მანძილზე ამ სკოლაში 3 242 მოსწავლეს უსწავლია. 1882 წელს „საზოგადოებამ“ სკოლა გახსნა წინარეობი, 1883 წელს — სოფ. ხელთუხანა და დიდ თინეთში, 1884 წელს — სოფ. სენაკში, 1897 წელს — სოფ. გომარეთში, 1906 წელს — ბორჯალოში, 1908 წელს — საურამოში, 1909-1910 წლებში — გერგეთში, ბათუმში, სოხუმში, 1911-1912 წლებში — ატენში და სხვ.

1914 წლისათვის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებას სულ 14 სახალხო სკოლა ჰქონდა გახსნილი, რომლებშიც 26 763 მოსწავლემ მიიღო პირველადწაბრებითი განათლება.

სკოლების გახსნისა და მზრუნველობის გარდა წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება, თავისი წესდების I განყოფილების შესაბამისად, მიზნად ისახავდა ბიბლიოთეკებისა და სამკითხველოების გახსნასაც. პირველი სახალხო ბიბლიოთეკა „საზოგადოებამ“ გახსნა თბილისში 1892 წელს, მეორე — 1894 წელს. 1914 წლისათვის საქართველოს სხვადასხვა კუთხეში არსებობდა 82 ბიბლიოთეკა-სამკითხველო. ამას გარდა, საზოგადოება ატარებდა სხვა კულტურულ ღირსძიებებსაც, იგი პერიოდულად სცემდა და ავრცელებდა მოსწავლეთა სახელმძღვანელოებს, საბავშვო ლიტერატურას, სამეცნიერო-პოპულარულ წიგნებს, მხატვრულ ნაწარმებებს. მან გამოსცა ი. გოგებაშვილის „დედა ენა“, „ბუნების კარი“, „რუსეთი სლოვი“, „კონა“, ნ. იაშვილის „ფიზიკა“, „გეოგრაფია“; მხატვრული ნაწარმიებიდან — შ. რუსთაველის „ვეფხისტყაოსანი“, ილიას, აკაკის, ვაჟის, ეკ. გამაშვილის, შოი მღვიმელის, ნ. ლომოურის თხზულებები; სამეცნიერო-პოპულარული ნაწარმიებიდან — ალ. ხახანაშვილის „ქართული სიტყვიერების ისტორია“, წულუკიძის „ნარკვევები პოლიტიკური ეკონომიის ისტორიიდან“; მუსიკალური ნაწარმიებიდან — დ. არაყიშვილის „ქართული სიმღერები“, ზ. ფაღალავის „ქართული რომანსები“, ი. კარგარეთელის „ქართული სიმფონია“ და სხვ.

1888-1914 წლებში წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებას სულ გამოუცია 108 სახელწოდების წიგნი. იგი ეწეოდა სხვა საქველმოქმედო საქმიანობასაც — ფულადი დახმარების სახით ხელს უმართავდა ღარიბ მოსწავლეებს, ნიჭიერებს უზრუნველავდა სტიპენდიებს, მფარველობდა ხელოვნებისა და კულტურის ძეგლებს, დაუხრწომლად ზრუნავდა ქართველ საზოგადო მოღვაწეთა სახელის უცვადაც საყოფად, „საზოგადოებამ“ ეხმარებოდა ხელმოკლე მწერ-



ტ. ჯაბადარი.
ძველი თბილისის კუთხე.

ვ. ჯაბადარი.

მეთევზეები





ვ. ჯამბაღარი.

უახზბევი.

ვ. ჯამბაღარი.

ქეაშხეთი.



ლებს — აკაკის, რაფიელ ერისთავს, ალ. ყაზბეგს, ეგნატე ნინოშვილს, ირ. ევლოშვილს.

საზოგადოების ინიციატივით 1893 წლის 25 აპრილს თბილისში ჩამოასვენეს და დიდუბის მწვერალთა პანთეონში დაასაფლავეს ნიკოლოზ ბარათაშვილი.

ამ საზოგადოების ინიციატივით ეწყობოდა მწვერალთა იუბილეები, ისტორიული თარღისდასმე მიძღვნილი ზეიმები.

1907-1909 წლებში ოც წინადა გამოიცა ილიას მხატვრული და პუბლიცისტური წერილები.

საზოგადოებამ ანდერძით მიიღო ნიკო დადიანის ბიბლიოთეკა, ილია ჭავჭავაძის სახლი და კარმიდამო საგურამოში (სადაც სკოლა გამართა), მისივე ბინა თბილისში ანდრეევის ქუჩაზე, რომელშიაც გაიხსნა ილიას მუზეუმი.

ვინ მოთვლის კიდევ რამდენი ეროვნული საქმე გაუკეთებია ამ საზოგადოებას.


ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელმა საზოგადოებამ თავისი არსებობის მანძილზე მეტად ძნელი გზა განვლო, მაგრამ მას ერთი წუთითაც არ უღალატია თავისი პირდაპირი მოვალეობისათვის. მან ბევრი რამ გააკეთა განათლების, კულტურის, ხელოვნების, ლიტერატურის, ეროვნული შეცნირებისა და შეურნეობის განვითარებისათვის და სამართლიანად დაიმსახურა ქართველი ხალხის თავყვანისცემა. იგი კიდევ მეტის გაკეთებას შესძლებდა, მაგრამ ცარიზმის აკენტები ყოველნაირად უშლიდნენ ხელს. „საზოგადოება“ მეტად რთულ და ძნელ პირობებში აარსებდა ქართულ სკოლებს და გამოსცემდა ქართულ წიგნებს, საზოგადოების წევრებს ყოველი ფეხის ნაბიჯზე ელოდათ საფრთხე. 1883 წელს ილია ჭავჭავაძე გულის-ტკივილით წერდა ჟურნალ „ივერიაში“: „მართალია მთავრობის მიერ წესდება დამტკიცდა, რომელშიც დაბეჭდილია უფლებები წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოებისა, როგორც არის, საზოგადოებამ იქონიის თავისი სკოლები, მიიღოს თავისი განკარგულებაში სოფლის სკოლები, თუ მას მიანდობს საზოგადოების სოფლის ყრილობა, სკოლაში მოაწიოს მთელი სწავლა დედა ენის და ა. შ., მაგრამ ყველაფერი ეს ფორმალური იყო. ფაქტიურად 1883 წლამდე, საზოგადოებამ მხოლოდ ერთი სკოლის გამართვა მოასწრო (ბათომში), მიზეზი ამისა არის გამეფებული ბიუ-


როკრატული რეჟიმი, რომელიც ყოველმხრივ უშუალოდ გზას ქართულ ერს თავისი კულტურის განვითარებაში. მიუვლი ირად და სამი წლობით დაღის სკოლის გახსნის თამობის წარდგენილი ჭაღალდი ერთი სამწერლოდან მეორეში, და ამ სიარულს ბოლო არა აქვს.

ჯერ, აქობამდე ბ-ნი გუბერნატორი „საზოგადოებისა-განა“ წარდგენილ სოფლის განაჩენს სკოლის გამართვის თამობაზე ამტკიცებდა. ორი ამისთანა განაჩენი უკვე დამტკიცდა, მაგრამ რა? ახლა სხვა მხრივ გაუჩნდა საზოგადოების დაბრკოლება და არც ერთი სკოლა ამ განაჩენში მოხსენებულად, დღესაც კანონიერად ნება დართული არ არის, თუმცა ერთი მათგანი კი არსებობს. ამაზე მიმართულ მიწვევა-მოწერას ბოლო არ მოეღო და მოუღებდა შემდეგშიც თუ არა გვეც არ ვიცით. ამ დაგვიანებას კიდევ როგორც იქნება გაუძლებთ იმიტომ, პირველი, რომ ჩვეული ვართ და, მეორე, იმიტომ, რომ ვიცით ჯერ მწერლობაში რისიანებები არ არის გამართული ფეხჩაქრებით სიარულისათვის. ჭირი ის არის, რომ ბ-ნი გუბერნატორი უხილდება, აღარ ამტკიცებს სოფლის სკოლების განჩინებას ვიდრე წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება სხვა მხრივ ნებართვას არ აიღებსო სკოლის გამართვის თამობაზე. მაგრამ ამ გზით სვლა „საზოგადოებას“ გაუძნელდება და დღეს ჩვენს წერა-კითხვის საზოგადოების საქმე ამ სანატრელს და ბედნიერ ყოფაშია სკოლის გამართვის შესახებ. ვინ არის პატრონი? ვინ არის ხმის ამომღები? ⁴

ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებას რევოლუციის შემდეგაც არ შეუწყვეტია თავისი მოღვაწეობა. სამტოთა ხელისუფლებამ განსაკუთრებულ ყურადღებას მიაქცია ახალგაზრდობის აღზრდის საკითხებს, პირველი დღიდანვე გააუქმა სწავლის ქირა და გამოაცხადა საყოველთაო სავალდებულო დაწყებითი სწავლება ეროვნულ ენაზე, სახალხო განათლების საქმე, სახელმძღვანელოების, წიგნების გამოცემა და მასწავლებელთა კადრების მომზადება სახელმწიფომ ითავა. წერა-კითხვის გამავრცელებელმა საზოგადოებამ თავისი მნიშვნელობა დაკარგა, თუმცა 1927 წლამდე ფორმალურად მაინც არსებობდა.

⁴ ჟურნალი „ივერია“, 1883 წ., № 2.





სულიკო მაჭავარიანი.

ც ე კ ვ ი ს ს ი ყ ვ ა რ უ ლ ი თ

სოსო თედიაშვილი

სულციშ დავითის ძე მაჭავარიანი სპეციალობით ინჟინერ-კერამიკოსია, მაგრამ 30 წლის მანძილზე გატაცებით ცეკვავდა ხალხური ცეკვების ანსამბლებში, მოღვაწეობდა როგორც დამდგმელი-ქორეოგრაფიც. მის მიერ შესრულებული ცეკვა „ქართული“ და „ყარაოხული“ შნოსა და ლაზაის მან ლანჩხუთის ჩაის ფაბრიკასთან

ჩამოყალიბა მოცეკვავეთა ჯგუფი, რომელიც კონცერტებს მართავდა ლანჩხუთის ასლო-მახლო რაიონებში, სოფლებში — ლესაში, ჩიბათში. ამ ანსამბლში 20 ახალგაზრდა იყო გაერთიანებული.

1943 წელს ს. მაჭავარიანმა თბილისის საავიაციო ქარხანაში ჩამოყალიბა მოცეკვავეთა ანსამბლი, რომელიც

მელმაც მრავალი კონცერტი გამართა ქარხნის კლუბში და მაცურებელთა მოწონება დაიმსახურა. ამავე ქარხანაში ჩამოყალიბებული იყო საესტრადო ჯგუფიც, სადაც სულიკო მაჭავარიანი მთიულურ ცეკვასა და კინტორუს ასრულებდა. მაჭავარიანი მიერ შესრულებული ცეკვები მოწონებას იმსახურებდა.

1953 წელს 26 კომისრის სახე-

ლობის ქარხანაში მაჭავარიანმა ჩამოაყალიბა მოცეკვავეთა ანსამბლი, რომელსაც მუშათა ანსამბლი ეწოდებოდა. მასში მონაწილეობდნენ ქარხნის მუშები — დურგლები, ზეიჯელები, მყავლობეები. ანსამბლში გაერთიანებული იყო 16 ვაჟი და 11 ქალი. ამ ანსამბლმა რაიონდნენ ქარხნის მიზანდასრულებული ადგილი დაისაკუთრა.

მაჭავარიანი დაიბადა 1915 წელს. 18 წლის იყო, როდესაც თბილისის ოპერის თეატრში ქართულ ცეკვებს ასრულებდა.

სტუდენტობის პერიოდში (1936 წელს) მაჭავარიანი ჩაირიცხა ლენინგრადის კავკასიური ცეკვების ანსამბლში, სადაც ცნობილ მოცეკვავე გ. კალანდაძესთან ერთად მთელურ ცეკვას ასრულებდა. გამოდიოდა ლენინგრადის კულტურის სახლში, აგრეთვე ახლო-მასლო რაიონებში — გატჩინაში, სტრელნაიასა და პეტერგოფში.

1935 წელს მაჭავარიანი მონაწილეობს პოლიტექნიკური ინსტიტუტის მოცეკვავეთა ანსამბლში და მთელური ცეკვის შესრულებისათვის სხვა მონაწილეებთან ერთად ოლიმპიადაზე პირველ ადგილს იმსახურებს. 1938 წელს სტუდენტთა ოლიმპიადაზე სულიკო მაჭავარიანს ცეკვა „ქართულის“ შესრულებისათვის მეორე პრემია აქვს მიღებული.

1945 წელს სულიკო მაჭავარიანი საქართველოს ხალხური ცეკვის სახელმწიფო ანსამბლში ირიცხება. მალე ანსამბლს თავს ანებებს და აგრძელებს საინჟინრო საქმიანობას. სულიკო მაჭავარიანს დღემდე იტაცებს ქორეოგრაფიული ხელოვნება. იგი ამჟამად წერს ნაწარმს ქართველ მოცეკვავეებზე.

ს. მაჭავარიანი საშენ მასალათა ტრესტის განყოფილების უფროსია და ამავე ტრესტის პარტიული ორგანიზაციის ხელმძღვანელი. თვითმოქმედი შემოქმედების სახით იგი მრავალ ღონისძიებას აწარმოებდა, რითაც კოლექტივის პატივისცემას იმსახურებს.

ნაბჰმლი გამოცემების (წიგნების, ჟურნალების, გაზეთების, პლაკატებისა და სხვ.) ერთ-ერთი ძირითადი თავისებურება იმაში მდგომარეობს, რომ მათი ყოველი სახეობა გათვალისწინებულია გარკვეული დროით არსებობისათვის. წიგნით, მაგალითად, სარგებლობენ დიდი ხნის მანძილზე და კითხვისას ხდება მისი შინაარსის შეთვისება (გამონაკლისს ამ მხრივ წარმოადგენენ საცნობარო გამოცემები). გაზეთის არსებობა კი მოკლე დროით განისაზღვრება (ერთი, ან რამდენიმე დღე). მის გვერდებზე მოთავსებული მასალები იკითხება შედარებით სწრაფად და ამორჩევით. მათი წაკითხვის პროცენტული რაოდენობა დამოკიდებულია მკითხველთა ინტერესებსა და პროფესიაზე. საჭიროა აღინიშნოს, რომ მცირე მოცულობის სტატეგიისაგან შემდგარი გაზეთების წაკითხვის პროცენტულობა შეტია, ვიდრე დიდი მასალების შემცველი გაზეთებისა; საქმე იმაშია, რომ მცირე სტატეგის მათი შინაარსისაგან დამოუკიდებლად, ადვილად ითვისებს მკითხველი. საზღვარგარეთული გაზეთები, როგორც წესი (გამონაკლისს წარმოადგენენ გდრ და იტალია), შეიცავენ მცირე მოცულობის მასალებს.

ჟურნალის გვერდებზე მოთავსებული მასალებიც ამორჩევით იკითხება. გამოყენების ხანგრძლივობით ჟურნალს საშუალოდ მდგომარეობა უჭირავს წიგნსა და გაზეთს შორის. ყველა გამოცემისაგან განსხვავებით, შედარებით ადვილად აქვთ მება დროში პლაკატი, რომელიც მკითხველებზე (მაყურებელზე) მოქმედებს წამიერად, მაშინვე.

გამოცემების განსხვავებული დრო და აღქმის (შეთვისების) პირობები გავლენას ახდენენ მათი გაფორმების პირიციბებზე.

ყველა სახის გამოცემისათვის წაყენებული მოთხოვნები იმაში მდგომარეობს, რომ გაფორმება უნდა შეესაბამებოდეს გამოცემის სახესა და დანიშნულებას, რომ გამოცემა იყოს მაქსიმალურად ადვილი წასაკითხი და ესთეტიკურად გამიზნული. მაგრამ გამოცემის ყოველი სახისათვის დამახასიათებელია გაფორმების გარკვეული სისტემა. მაგალითად, გაზეთის გვერდების დაკაბადონებისას ტექსტისა და სათარუების გამოყოფა უნდა იყოს შედარებით კონტრასტული, ვიდრე წიგნში. პლაკატის წარწერები, როგორც წესი, ძალზე მკვეთრი და შესამჩნევია. პლაკატების შედგენისას გამოიყენება სპეციალური საპლაკატო შრიფტები.

სხვადასხვა სახის გამოცემის გაფორმების ესთეტიკური მხარეც სხვადასხვაა. წიგნის გაფორმებისათვის ტექსტისათვის შერჩეული შრიფტის სახე დამოკიდებულია გამოცემის შინაარსზე. გაზეთის გაფორმებისას კი მთავარი ყურადღება ეთმობა შრიფტის გამოხატველობის მხარეს, გაფორმების მთლიანობას, რომელიც გაზეთის ანიჭებს განსაზღვრულ სახეს.

გაზეთის გაფორმების სირთულე მდგომარეობს შემდეგში: მის გვერდებზე სხვადასხვაგვარი მასალა ისე უნდა იყოს განლაგებული და გამოყოფილი, რომ მკითხველმა ერთი თვალის გადავლებით შესძლოს მისთვის საჭირო მასალის მოძებნა. ამასთან სასურველია, ტექსტის ან გაფორმების არც ერთი ელემენტი არ გამოჩნდეს მკითხველს (მაყურებელს). ასეთი გაფორმება მიიღწევა შრიფტების შერჩევით,

გაზეთის გაფორმების ხელოვნება

გურამ გორდელაძე

სვეტების ფორმატისა და რაოდენობის განსაზღვრით, ილუსტრაციების მოხერხებული განლაგებითა და სხვა ელემენტების გამოყენებით. მთავარ როლს ასრულებს შრიფტების შერჩევა. აი, რას წერდა გაზეთის გაფორმების ცნობილი სპეციალისტი ინგლისელი კომუნისტი ალენ ხატი: „გაზეთის გაფორმებაში მე ვგულისხმობ შრიფტოგრაფიას, ე. ი. ტექსტისა და სათაურებისათვის შრიფტის სახის შერჩევას, აგრეთვე შრიფტების, კლიშეებისა და გვერდის გაფორმების სხვა ელემენტების განლაგებას...“¹

კიდევ უფრო რთულდება გაზეთის გაფორმება ფერადი საღებავის გამოყენებისას, რომელიც შავ-თეთრ ფონზე დიდ როლს ასრულებს საგაზეთო მასალების დიფერენცირებაში. ფერი გაზეთში ასრულებს არა მარტო ფუნქციონალურ-განმომხატველობით როლს, არამედ დეკორატიულსაც (ფერის გამოყენებას დიდი მნიშვნელობა აქვს რეკლამების მოთაველებისას, განსაკუთრებით მას მიმართავენ კაპიტლისტურ პრესაში). გარკვეულ შემთხვევაში დომინირებს ფუნქციონალურ-განმომხატველობითი მხარე, როცა ფერით გამოიყოფა ესა თუ ის სათაური, სხვა შემთხვევაში დეკორატიული მხარე, როცა გარკვეული ფერის ხაზებით ან ჩარჩოებით გამოიყოფა ესა თუ ის სტატია. ფერის გამოყენების ფუნქციონალური გამომხატველობითი და ესთეტიკური მხარე განსაკუთრებით თავს იჩენს, როცა გაზეთში მოთავსებულია მრავალსაღებავიანი ილუსტრაცია. ასეთი ილუსტრაციების გამოყენება განსაკუთრებით საჭიროა პიონერულ, სპორტულ, ტურისტულ გაზეთებსა და მათს დამატებებში. მრავალსაღებავიანი ილუსტრაციები ამჟამად პრაქტიკაში მცირედ გამოიყენება, რაც აიხსნება გაზეთის ბეჭდვის თავისებურებისა და ამჟამად გაზეთის ბეჭდვის ტექნოლოგიის არასათანადო სრულყოფით.

გაზეთის გაფორმების საშუალებების მრავალგვარობა, განსაკუთრებით ფერადი გაზეთების გაფორმებისას, განსაზღვრავს მათი გაფორმების სირთულეს. ეს სირთულე გამომდინარეობს იქიდან, რომ საჭირო ხდება შერჩევითი ურთიმოკავშირისა და კონტრასტების დამკარგებელი ყველაზე ხელსაყრელი ვარიანტი, მაგალითად, შრიფტების შერჩევა ფეროა კომპოზიციასთან შეხამებით და სხვ. გაფორმებაში, ვთქვათ, ერთი გარნიტურისა და ერთი მოხაზულობის შრიფტებსა და ერთი გარნიტურისა და მოხაზულობის სათაურების გამოყენებისას შესაძლებელია ათობით სხვადასხვა ვარიანტი. გაზეთის კომპოზიციის ფერის გამოყენებისას გაფორმების ვარიანტების რაოდენობა კიდევ უფრო იზრდ-

